

# მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგი

## შუალედური ანგარიში

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Kingdom of the Netherlands

FREE PRESS UNLIMITED

1 აპრილი - 31 ივლისი, 2016

ავტორი:
თამარ ხორბალაძე

რეცენზენტი:
ჟან მარი კოტი, FPU-ს ექსპერტი

მკვლევრები:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე, რომან ბაინდურაშვილი,
თამარ სოფრომაძე, თინა გოგოლაძე, ირაკლი ცხადაძე, მარიამ ცუცქირიძე,
ნათია გოგელია, ნათია გოგოლაშვილი, დალი ქურდაძე

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია / IBDesign

Kingdom of the Netherlands

„ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. მასალაში წარმოდგენილი შეფასებები და პოზიცია შესაძლოა არ წარმოადგენდეს ნიდერლანდების სამეფოს პოზიციას.

© 2016, მედიის განვითარების ფონდი

MDFGEORGIA.GE
MEDIAMETER.GE/GE

# შესავალი

„მედიის განვითარების ფონდი“ 2016 წლის 1 აპრილიდან 31 ოქტომბრამდე საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის“ ფარგლებში, წინასაარჩევნო მედია-მონიტორინგს ახორციელებს.

მონიტორინგის მიზანია, წინასაარჩევნო პერიოდში შეისწავლოს რაოდენობრივი და თვისობრივი თვალსაზრისით როგორ არიან პოლიტიკური სუბიექტები წარმოდგენილი პრაიმ თაიმის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებსა და ონლაინ მედიაში; უზრუნველყოფს თუ არა მედია მოქალაქეებს სათანადო ინფორმაციით იმისათვის, რომ მათ ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. პროექტის მიზანია კვლევის მიგნებების გამოქვეყნების გზით, გამოავლინოს არსებითი პრობლემები და მოქალაქეების ყურადღება მათი წყაროების სანდოობაზე მიაპყროს.

მეთოდოლოგია. მონიტორინგის მეთოდოლოგია მედიის განვითარების ფონდისთვის Free Press Unlimited-ის (FPU) კონსულტანტმა დომინიკ ტიერმა შეიმუშავა.

მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებები შეირჩნენ: საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე 20:00 სთ-ზე), რუსთავი 2 (კურიერი 21:00 სთ-ზე), იმედი (ქრონიკა 20:00 სთ-ზე), მაესტრო (მაესტროს კონტაქტი 20-ზე), კავკასია (დღეს 20:30-ზე), ტაბულა (ფოკუსი 19:00), GDS (20:30). 1 ივნისიდან ასევე დაემატა ტვ ობიექტივი (ახალი ამბები 19:30) რომლის საინფორმაციო გამოშვება ეთერში 16 მაისიიდან გავიდა.

ონლაინ მედიიდან მონიტორინგის სუბიექტები არიან: ინტერპრესნიუსი (IPN), PIA, "ნეტგაზეთი", "პირველი რადიო", "მარშალპრესი".
მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა, როგორც აუდიტორიის მოცვის, ასევე გავლენის ნიშნით მოხდა. გათვალისწინებული იყო, როგორც სატელევიზიო რეიტინგები, ასევე მედიის განვითარების ფონდის მიერ 2016 წელს, მონიტორინგის დაწყებამდე ჩატარებული “პოლიტიკური პარტიების საჭიროებების კვლევა”[1], სადაც პოლიტიკურად აფელირებული მედია საშუალებები თავად პოლიტიკურმა სუბიექტებმა დაასახელეს.

წინამდებარე შუალედური ანგარიში 2016 წლის 1 აპრილიდან 31 ივლისის პერიოდის მონიტორინგის შედეგებს ასახავს. 1 აპრილიდან 1 ივნისამდე მონიტორინგი კვირის საინფორმაციო გამოშვებებზე ხორციელდებოდა (შაბათ-კვირის გარდა); შერეული საინფორმაციო ფორმატის შემთხვევაში (მაგალითად, ტელეკომპანია GDS-ის მთავარი გამოშვება) მონიტორინგის სამიზნეა გადაცემის საინფორმაციო ნაწილი. 1 ივნისიდან მონიტორინგი შაბათ-კვირის პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვებებისა და ჟურნალების ჩათვლით ხორციელდება.

ონლაინ-მედიაში დაკვირვება სააგენტოების ტექსტობრივ და ფოტო ნაწილზეც ხდება, თუმცა თვისობრივ ნაწილში თანმხლები ვიდეო-მასალებიც არის განხილული.

მონიტორინგი ხორციელდება რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდით, შემდეგი ცვლადების მიხედვით: პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება; სუბიექტების გაშუქების კონტენტის და კონტექსტის ტონი (პოზიტიური/ნეგატიური/ნეიტრალური); პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა; გენდერული წარმომადგენლობა; თვისობრივ ნაწილში შეფასებულია წინასაარჩევნო მედია-ეთიკის ისეთი საკითხები, როგორიცაა - სიზუსტე, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, ბალანსი, ვიზუალური და ვერბალური მანიპულაცია, სოციოლოგიური კვლევების გაშუქება.

მონიტორინგის თვისობრივი ნაწილის ანალიზი გაკეთდა შემდეგი კანონებისა და თვითრეგულრების, სარეკომენდაციო დოკუმენტების მოთხოვნებისა და პრინციპების გათვალისწინებით: საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ასევე - ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R(99)15.

ადვოკატირება. მონიტორინგის პერიოდში მედიის განვითარების ფონდს ლეიბორისტულმა პარტიამ ორჯერ მიმართა. პარტიის განცხადებით, ტელეკომპანია “იმედის” საინფორმაციო სამსახური მათი ლიდერის შალვა ნათელაშვილის შეხვედრებს ამომრჩეველთან, კანდიდატების წარდგენასა და ბრიფინგებს არ აშუქებდა და ჟურნალისტები საარჩევნო ღონისძიებებს არ ესწრებოდნენ. ერთ-ერთ მაგალითად დასახელებული იყო 12 აგვისტოს დიდგორზე პარტიის მიერ დაგეგმილი საარჩევნო ღონისძიება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცია შედგა ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო სამსახურთანაც, სადაც ლეიბორისტული პარტიის პრეტენზიებს იცნობენ. რედაქციის განცხადებით, მათ

[1] http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/33

ჰქონდათ პრობლემების გადაჭრის მცდელობაც, კომუნიკაცია პარტიის წარმომადგენლებთანაც და ტელეკომპანია გამოთქვამს მზადყოფნას პარტიის ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება გააშუქოს.

მედიის განვითარების ფონდის მონიტორინგის (1 აპრილი-31 ივლისი) თანახმად, "იმედის" მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ლეიბორისტულ პარტიას 155 წამი დაეთმო, რაც ამავე არხზე გაშუქებული პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 0,18%-ია. აღსანიშნავია, რომ პარტია საერთოდ არ გაშუქებულა მაისში, ივნისში კი, მხოლოდ 3 წამი დაეთმო. ამ მონაცემით ტელეკომპანია იმედს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს მონიტორინგის სამიზნე ტელევიზიებს შორის.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით კი, რომელიც 8 ივნისიდან 8 ივლისამდე პერიოდს მოიცავს, ლეიბორისტული პარტიას დღის საათებში მხოლოდ 53 წამი დაეთმო, პრაიმ-ტაიმში კი პარტია არ გაშუქებულა.

საკითხის შესწავლის შემდეგ მედიის განვითარების ფონდმა ტელეკომპანია "იმედს" რეკომენდაციით[2] მიმართა, უზრუნველეყო წინაასარჩევნო პერიოდში კვალიფიციური სუბიექტებისთვის კანონმდებლობით და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი თანასწორი მოპყრობის პრინციპი.

5 სექტემბერს ლეიბორისტულმა პარტიამ მედიის განვითარების ფონდს "იმედის" საინფორმაციო სამსახურის მიერ მათი საარჩევნო ღონისძიებების გაშუქებასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მიმართა, რაც "იმედის" საინფორმაციო სამსახურის მიერ დუშეთში შალვა ნათელაშვილის მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენის ღონისძიების არგაშუქებას შეეხებოდა.

ანგარიშის სტრუქტურა. ანგარიშის I ნაწილში წარმოდგენილია პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალი ერთიანი მონაცემები, რომელიც პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირ/ირიბ გაშუქებას, კონტენტისა და კონტექსტის ტონს, ასევე იმ თემატიკას მოიცავს, რომელთა მიმართებაშიც პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება ხდება. მე-2 ნაწილში რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები ინდივიდუალური ტელევიზიების მიხედვით არის წარმოდგენილი. მე-3 ნაწილი ონლაინ მედიის ერთიან მონაცემებს მოიცავს, ხოლო მე-4 ინდივიდუალურ ონლაინ გამოცემებს. მე-5 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების გენდერულ წარმომადგენლობას და სტერეოტიპებს შეეხება, მე-6 – სიძულვილის ენას, ხოლო დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები.

სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი პრინციპით: ინსტიტუტები (მთავრობა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ცესკო, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისო კომისია); კვალიფიციურ პოლიტიკური პარტიები[3]; პარტიები, რომელთაც წარმომადგენელი ჰყავთ პარლამენტში[4] და არასაპარლამენტო პარტიები, რომელთა გაშუქება 1%-ს აღემატებოდა დათვლილია ცალკე[5]; კატეგორიაში "სხვა" გაერთიანებულია ის პარტიები, რომელთა გაშუქება დიაგრამებზე დამოუკიდებლად გვაქვს წარმოდგენილი. პარტიები, რომელთა გაშუქებაც 1%-ზე ნაკლებია და დამოუკიდებელი (უპარტიო) დეპუტატები; „არასაპარლამენტო ოპოზიციაში" გაერთიანებულია პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი არჩევით ორგანოებში და, ამასთან, მათი გაშუქება 1%-ზე დაბალია.

[2] MDF ტელეკომპანია "იმედს" რეკომენდაციებით მიმართავს, 19 აგვისტო, 2016 http://mdfgeorgia.ge/geo/view_news/463

[3] კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალი პარტიები კოალიციის დაშლამდეც და შემდეგაც დაჯგუფებულია დამოუკიდებლად.

[4] „გირჩი", „თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის", „ახალი საქართველო".

[5] სახელმწიფო ხალხისთვის.

# სარჩევი


მთავარი მიგნებები 4

1. პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალი ამბების ერთიანი მონაცემები 7

2. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალ ამბებში 10

3. პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალი ამბების მონაცემები ტელევიზიების მიხედვით 11

3.1. საზოგადოებრივი მაუწყებელი; 11

3.2. რუსთავი 2; 15

3.3. იმედი; 20

3.4. მაესტრო; 24

3.5. GDS; 30

3.6. ტაბულა; 34

3.7. კავკასია; 38

3.8. ობიექტივი. 41

4. ონლაინ მედიის ერთიანი მონაცემები 47

5. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა ონლაინ მედიაში 50

6. ონლაინ მედიის მონაცემები გამოცემების მიხედვით 51

6.1. ინტერპრესნიუსი 51

6.2. PIA 56

6.3. ნეტგაზეთი 61

6.4. პირველი რადიო 65

6.5. მარშალპრესი 69

7. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა და სტერეოტიპები ტელე და ონლაინ მედიაში 75

8. სიძულვილის ენა 79

რეკომენდაციები 82

# მთავარი მიგნებები

ტელევიზიების პრაიმ-ტაიმის საინფორმაციო გამოშვებების და ონლაინ მედიის 4 თვის (1 აპრილი - 31 ივლისი) მონიტორინგის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩეველს მრავალფეროვანი ინფორმაციის და პოლიტიკური შეხედულებების მიღების შესაძლებლობა აქვს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში სახეზეა გარეგნული პლურალიზმის ნიშნები, როდესაც აუდიტორიას, განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მედია პლატფორმების ერთობლიობით, შეუძლია საერთო სურათის შექმნა. მონიტორინგის შედეგად შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა:

## ტელევიზიები

- მონიტორინგის ობიექტმა რვავე ტელევიზიამ საკვლევი სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო (34,6%) მთავრობას დაუთმო. ყველაზე დიდი მოცულობით კი მთავრობა ტვ იმედსა (41,2%) და GDS-ზე (41,1%) გაშუქდა, ყველაზე ნაკლებად - რუსთავი 2 -ზე (25%).
- მმართველი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ტაბულამ (27,4%) და რუსთავი 2-მა(25,1%) გააშუქეს, ყველაზე ნაკლებად კი - ტვ ობიექტივმა (15,8%). ამასთან, აღნიშნულ ტელევიზიებში ამ სუბიექტის ირიბი გაშუქება პირდაპირს აღემატება.
- ჯამურად მთავრობისა და სახელისუფლებო პარტიის გაშუქების საერთო მონაცემი - (56,5%), ოპოზიციური პარტიების გაშუქების ერთიან მონაცემს (36,4%) აღემატებოდა. ყველაზე დიდი სხვაობა ამ სუბიექტებს შორის ტელეკომპანია „იმედის“ (მთავრობა და ქართული ოცნება - 62,8%; ოპოზიცია - 30,7%) შემთხვევაში გამოიკვეთა.
- ქართული ოცნების შემდეგ ყველაზე მაღალი გაშუქების მაჩვენებელი
7 ტელეარხზე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს (15,5%), რომელიც ყველაზე დიდი მოცულობით რუსთავი 2-ზე (19,7%) გაშუქდა, ყველაზე ნაკლებად - ტვ ობიექტივზე (9,8%). ერთადერთი გამონაკლისი, სადაც მმართველი პოლიტიკური გუნდის შემდეგ „პატრიოტთა ალიანსი“ (10,2%) ლიდერობს, ტვ “ობიექტივია”.
- ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით მთავრობა მაესტრომ (15%) გააშუქა, ყველაზე დაბალით - რუსთავი 2-მა (4%). ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით მთავრობა რუსთავი 2-მა (35%), ყველაზე დაბალით - GDS-მა (6%) და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (8%) გააშუქეს.
- ყველაზე პოზიტიურად „ქართული ოცნება“ მაესტროზე (18%), ყველაზე ნეგატიურად რუსთავი 2-სა (32%) და კავკასიაზე (28%) გაშუქდა. პარტიას ყველაზე ნაკლები ნეგატიური ტონი GDS-სა (8%) და საზოგადოებრივ მაუწყებელზე (12%) ჰქონდა.
- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი" ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი გამოიკვეთა მაესტროსა (9%) და რუსთავი 2-ზე (8%), ყველაზე ნეგატიური კი - ობიექტივსა (30%) და იმედზე (29%).
- საარჩევნო ადმინისტრაციის - ცესკოს - გაშუქების წილი საერთო მონაცემებში შედარებით დაბალია (0,7%), ისევე როგორც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის (0,1%).
- პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკისადმი კრიტიკული მიდგომის მაჩვენებელი, ანუ კონტექსტის ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი, ტელეკომპანია მაესტროს (9%), ხოლო ნეგატიურის რუსთავი 2-ის (48%) შემთხვევაში გამოიკვეთა.
- გაშუქების თემატიკაში ყველაზე ხშირად წინასაარჩევნო კამპანიების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები (17,5%) ფიგურირებს, რომელსაც მართლმსაჯულებისა (14,2%) და პოლიტიკური დაპირისპირების თემა (10,7%) მოსდევს, რაც წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პროცესის რადიკალიზაციის ხარისხზე მიანიშნებს. პოლიტიკურ სუბიექტებთან მიმართებით ისეთი საკითხების გაშუქება, როგორიცაა განათლება, გარემოს დაცვა, კონფლიქტური რეგიონები, ლტოლვილები, ჯანდაცვა, სოციალური პრობლემები, ადამიანის უფლებები - უმცირესობები 3%-ს ქვემოთაა.
- თვისობრივი კვლევა აჩვენებს, რომ გაშუქების ჟურნალისტური სტანდარტი მონიტორინგის სამიზნე ტელემედიაში არაერთგვაროვანია. თუმცა, თითქმის ყველგან გვხვდება ჯეროვანი ბალანსის დარღვევის შემთხვევები: როცა მოვლენა ან ერთი მხარის პოზიციიდან შუქდება, ან მხარეების კომენტარები ჩაწერილია, თუმცა ბალანსი ხელოვნურია და იგი რომელიმე მხარის მიმართ არის გადახრილი.
- არის შემთხვევები, როცა სახელისუფლებო ღონისძიებების, მათ შორის ინფრასტრუქტურის, ბიზნეს-პროექტების გაშუქების დროს, ტელევიზიები (GDS, იმედი, მაესტრო) გასაშუქებელ თემასთან მიმართებით სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების შეფასებით არ ინტერესდებიან, რაც ბალანსს მთავრობის სასარგებლოდ არღვევს.
- გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როცა ოპოზიციის მოსაზრებად მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტიის წევრების კომენტარებია წარმოდგენილი (მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“ ტვ ობიექტივზე; "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ტვ ტაბულა).
- წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტი, რომელიც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისგან დაცვას ისახავს მიზნად, სრულფასოვნად არცერთ მედიაში არ არის დაცული. აღნიშნულის გამო 22 ივლისს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ გაავრცელა მიმართვა[6], რომელშიც მედია საშუალებებს

[6] კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია (22 ივლის, 2016), განცხადება წინაასაარჩევნო პერიოდში მედიასაშუალებების მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. http://bit.ly/2bd0wWZ

წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები შეახსენა. თითქმის ყველა ტელევიზიაში გვხვდება კვლევის შესახებ სავალდებულო რეკვიზიტების არასრულფასოვნად წარმოდგენის პრობლემა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ("იმედი", GDS), კითხვის არასწორი ან არასრულფასოვანი ფორმულირება, რაც შეცდომაში შემყვანია.

- გაშუქებისას ქალ პოლიტიკოსთა წარმომადგენლობის წილი (16%), კაც პოლიტიკოსებთან შედარებით, მცირეა (84%). ქალ პოლიტიკოსებს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ობიექტივზე (19%), ყველაზე დაბალი კი - საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მაესტროსა და GDS-ზე (15%) აქვთ. ტელემედიაში ქალი პოლიტიკოსების პირდაპირი გაშუქების წილი უფრო მაღალია ( 77%), ვიდრე კაცი პოლიტიკოსების შემთხვევაში (65%).
- მონიტორინგის პერიოდში მედიამ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან გამოვლენილი გენდერული სტერეოტიპების შემცველი 4 განცხადება გააშუქა, რომელთა წყარო კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები იყვნენ.
- მართალია თავად ტელემედია სიძულვილის ენის წყარო არ ყოფილა, მაგრამ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან სიძულვილის ენის შემცველი 25 განცხადებიდან უმეტესობა ჟურნალისტებმა კომენტარის გარეშე მიაწოდეს მაყურებელს და არ აღუნიშნავთ, თუ რა ტიპის გამოხატვა იყო სახეზე. გაშუქებული განცხადებებიდან 17 ჰომოფობიური, 5 პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ძალადობის წამახალისებელი, 1 რასისტული, 1 ფსიქიურად დაავადებულთა მიმართ დისკრიმინაციული, 1 ინდივიდუალური შეურაცხყოფის გამომხატველი იყო. ჰომოფობიის ყველაზე მეტ შემთხვევაში (13) წყარო მმართველი პოლიტიკური კოალიციის - ქართული ოცნების წარმოადგენლები იყვნენ. ტელევიზიებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური შინაარსის განცხადება (5) კი საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა, აქედან 2 შემთხვევაში არ იყო აღნიშნული, რომ გამოხატვა ჰომოფობიური შინაარსის იყო.

## ონლაინ-მედია

- მონიტორინგის სამიზნე 5 ონლაინმედია საშუალებაში გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას აქვს. მთავრობა ყველაზე დიდი მოცულობით სააგენტოებმა PIA-მ (54,6%) და IPN-მა (53,9%) გააშუქეს, ყველაზე ნაკლებით - პირველმა რადიომ (33,1%). ონლაინ მედიაში მთავრობის გაშუქების მაღალი მაჩვენებელი იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ აღნიშნულ სააგენტოებს (IPN და PIA) საბიუჯეტო ორგანიზაციებთან 2016 წელს ინფორმაციის გავრცელების მიზნით ყველაზე მეტი საკონტრაქტო ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული[7].
- მმართველ პოლიტიკურ პარტიას „ქართულ ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარშალპრესზე (27%), ყველაზე ნაკლები IPN-ზე (14.4%) ჰქონდა. ორივე შემთხვევაში პირდაპირი გაშუქება მნიშვნელოვნად აჭარბებს ირიბს.
- მონიტორინგის სამიზნე ონლაინ-მედიაში ხელისუფლებისა და სახელისუფლებო პარტიის ჯამური გაშუქება 64,6%-ია, რაც დაახლოებით 2,3-ჯერ მეტია ოპოზიციური პარტიების გაშუქების მთლიან მაჩვენებელზე (28,2%). ამ ორი სუბიექტის ყველაზე მაღალი ჯამური მაჩვენებელი (71,2%) სააგენტო PIA-ს ჰქონდა.
- ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებლით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გაშუქდა. ყველაზე მაღალი გაშუქება პარტიას ნეტგაზეთსა (13,9%) და მარშალპრესზე (13,7%) ჰქონდა, თუმცა მარშალპრესზე პირდაპირ გაშუქება მხოლოდ 2,5%-ს შეადგენდა. ყველაზე ნაკლებად ნაციონალურ მოძრაობას PIA აშუქებდა (5%).
- მთავრობა ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით მარშალპრესმა (29%), ყველაზე დაბალით PIA-მ (5%) გააშუქეს. აღნიშნულ სააგენტოებზე მთავრობას ყველაზე დაბალი ნეგატიური ტონი აღენიშნა: PIA (1%) და მარშალპრესს (2%). გაშუქების ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი მთავრობას პირველ რადიოსა (17%) და ნეტგაზეთზე (11%) ჰქონდა.
- „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო" მიმართ ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი გამოიკვეთა მარშალპრესზე (24%), ყველაზე დაბალი - IPN-სა (8%) და პირველი რადიოზე (8%). ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით „ქართული ოცნება" პირველ რადიოზე (25%) იყო წარმოდგენილი, ყველაზე დაბალით - მარშალპრესსა (2%) და PIA-ზე (3%).
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი ნეტგაზეთის (8%) შემთხვევაში გამოიკვეთა, ყველაზე დაბალი - IPN-სა (1%) და PIA-ზე (2%). ნაციონალური მოძრაობის ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარშალპრესსა (72%) და PIA-ს (43%) აქვს.
- ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით ონლაინ-მედიაში გაშუქებულია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო", რომლის წილი მთლიან გაშუქებაში სულ 2,2%-ია.
- ონლაინ მედიაში პრეზიდენტის გაშუქების წილი 6,5%-ია; ცესკოს 0,5% და უწყებათაშორისო კომისიის - 0,01%.
- პოლიტიკური სუბიექტების თემატიკისამი კრიტიკული მიდგომის, ანუ კონტექსტის ტონის მაჩვენებლები ასეთია: ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი „მარშალპრესს" (14%) აქვს; ყველაზე

[7] MDF (16 ივნისი, 2016), "რეკლამის და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების პრაქტიკა" http://mediameter.ge/ge/research/reklamis-da-inpormaciis-gavrcelebis-miznit-mediashi-sabiujeto-resursebis-ganacilebis

დაბალი პირველ რადიოს (1%). ნეგატიური კონტექსტის ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნეტგაზეთს (31%), ყველაზე დაბალი კი - PIA-ს (8%) აქვს.

- პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება ონლაინ მედიაში ყველაზე ხშირად წინასაარჩევნო კამპანიების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს უკავშირდებოდა (21,8%). მეორე და მესამე ადგილზე საგარეო ურთიერთობების (10,6%) და პრემიერის აქტივობების გაშუქება გვხვდება (8,4%). მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის საკითხებს (7,2%). თემატიკის პრიორიტეტულობის ეს მაჩვენებელი იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ სხვადასხვა სამთავრობო უწყებები ონლაინ გამოცემებში ინფორმაციას საფასურის სანაცვლოდ ანთავსებენ.
- თვისებრივი გაშუქების მხრივ გამოიკვეთა შემთხვევები, როცა რამდენიმე მედია-საშუალება ერთ მოვლენას ერთგვარად, ტენდენციურად აშუქებს და მნიშვნელოვან დეტალებს არაწორად გადმოსცემს (მაგალითად, კორცხალის ინციდენტი) ან პოლიტიკურ სუბიექტებს აშუქებს სისტემატურად მიკერძოებულად.
- ნეტგაზეთის გარდა, სხვა ონლაინ გამოცემებში ბალანსი არა ერთ ცალკე აღებული სიახლის ფარგლებშია უზრუნველყოფილი, არამედ რამდენიმე სიახლის ერთობლიობაში.
- ზოგიერთი გამოცემა (მაგალითად „მარშალპრესი“, PIA) ხშირად არასათანადო წყაროზე დაყრდნობით, გადაუმოწმებელ და მიკერძოებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს.
- რამდენიმე მედია-საშუალებაში (მაგალითად, მარშალპრესსა და პირველი რადიოში) გვხვდება ფოტო-მანიპულაციის მაგალითები, მათ შორის "მარშალპრესზე" ჰომოფობიური შინაარსის.
- ასევე გვხვდება სავარაუდოდ სარეკლამო, იდენტური შინაარსის წინასაარჩევნო ან სამთავობო ინფორმაცია, რომელიც არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. გამონაკლისია IPN, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში სარეკლამო მასალების გამიჯვნას ახდენს, თუმცა არა სისტემატიურად.
- ტელევიზიის მსგავსად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქების კანონმდებლობით დადგენილი წინასაარჩევნო სტანდარტი ონლაინ მედიაშიც არ არის სრულფასოვნად დაცული. ხდება არა მხოლოდ რეკვიზიტების არასრულად მითითება, არამედ კითხვის მკითხველისთვის მანიპულაციური მიწოდება (PIA, მარშალპრესი).
- ონლაინ მედიაში, ისევე როგორც ტელემედიაში, ქალთა წარმომადგენლობა (15%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება კაც პოლიტიკოსთა მაჩვენებელს (85%); ქალი პოლიტიკოსები ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გაშუქდა PIA-ზე (19%), ყველაზე ნაკლებით (12%) მარშალპრესზე. ქალი პოლიტიკოსების პირდაპირ უფრო ხშირად არიან გაშუქებულები (58%), ვიდრე კაცი პოლიტიკოსები (50%).
- სიძულვილის ენის მონიტორინგის შედეგების თანახმად, ონლაინ-მედიიდან ყველაზე მეტი (11) სიძულვილის ენის შემცველი მასალა გამოაქვეყნა სააგენტო მარშალპრესმა. მხოლოდ ნეტგაზეთს ჰქონდა აღნიშნული 2 შემთხვევაში რესპონდენტების მიერ გამოყენებული ლექსიკის ჰომოფობიური ხასიათი, ხოლო ინტრეპრესნიუსს 1 შემთხვევაში სათაურში ჰქონდა შეფასებული განცხადება შეურაცხმყოფლად.

# 1. პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალი ამბების ერთიანი მონაცემები

ტელევიზიების პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალი ამბების 4 თვის მონიტორინგი (1 აპრილი-31 ივლისი) აჩვენებს, რომ ერთიან მონაცემებში ყველაზე დიდი ადგილი მთავრობას (34,6%) და მმართველ პოლიტიკურ ძალას - "ქართულ ოცნებას" (21,9%) დაეთმო, რამაც ჯამურად (56,5%) შეადგინა. ამ ორი სუბიექტის წილი საერთო გაშუქებაში ონლაინ-მედიის შესაბამის მაჩვენებელს (64,6%) 8%-ით ჩამოუვარდება.

„ქართული ოცნების“ შემდეგ, გაშუქების მხრივ პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი "ერთიან ნაციონალური მოძრაობას" (15,5%) აქვს. სხვა კვალიფიციურ პარტიებს შორის კი ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: "თავისუფალი დემოკრატები" (4,7%), "რესპუბლიკური პარტია" (4,5%), "პატრიოტთა ალიანსი" (1,3%), „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ (1%) და "ეროვნული ფორუმი" (1%). 1%-ს ქვემოთ შემდეგი კვალიფიციური სუბიექტები მოხვდნენ: "ლეიბორისტულ პარტია" (0,8%), "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (0,5%) და "კონსერვატიული პარტია" (0,5%).

არჩევნების წელს დაარსებული პარტიებიდან, ყველაზე ხშირად პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ შუქდება (1,7%). მას ჩამორჩებიან “გირჩი” (0,9%), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველო“ (0,4%) და „ახალი საქართველო“ (0,3%).

არასაპარლამენტო ოპოზიციას 2,1% აქვს დათმობილი.

მთლიანი გაშუქების ფორმით ტელე-მედიაში პრეზიდენტის წილი 6,3%-ია. ცესკოს - 0,7%, უწყებათაშორისი კომისიის - 0,1%.

დიაგრამა 1.1 პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, ტელევიზიები




დიაგრამა 1.2. 1%-ზე დაბალი გაშუქების სუბიექტები, ტელევიზიები



**პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება.** როგორც დიაგრამა 1.3. აჩვენებს, ირიბი გაშუქება პირდაპირს ყველაზე მკვეთრად მთავრობის შემთხვევაში აღემატება (ირიბი 38%, პირდაპირი 32%). კიდევ 3 სუბიექტი, რომელთა მიმართებით ირიბი გაშუქება პირდაპირზე მეტია ქართულ ოცნება (ირიბი 23%, პირდაპირი 20,3%), პრეზიდენტი (ირიბი 7,4%, პირდაპირი 5,3 %) და ცესკოა (ირიბი 0,8%, პირდაპირი 0,4%).

სხვა სუბიექტების შემთხვევაში, ვითარება ერთგვაროვანია, პირდაპირი გაშუქება ან აჭარბებს ირიბს, ან თანაბარია. გამონაკლისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია, რომელიც მხოლოდ ირიბი ფორმით შუქდებოდა (0,1%).

დიაგრამა 1.3. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, ტელევიზიები




**პოლიტიკური სუბიექტების კონტენტის და კონტექსტის ტონი.** ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით, მმართველი პოლიტიკური ძალა "ქართული ოცნება" (21%) გაშუქდა, რომლის პოზიტივიც 7% იყო. თანაბარი ნეგატიური ტონით გაშუქდა მთავრობა (17%) და ნაციონალური მოძრაობა (17%), თუმცა მთავრობის პოზიტივი (9%) ნაციონალური მოძრაობის შესაბამის მაჩვენებელზე (5%) მაღალი იყო. ეროვნული ფორუმის (ნეგატიური 10%, პოზიტიური 3%) და რესპუბლიკური პარტიის (ნეგატიური 7%, პოზიტიური 2%) ნეგატიური ტონი პოზიტიურს აღემატებოდა.

ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით ახლადდაფუძნებული პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის" (პოტიური 16%, ნეგატიური 4%) გაშუქდა, კვალიფიციური პარტიებიდან კი – „თავისუფალ დემოკრატები" (პოზიტიური 10%, ნეგატიური 2%). პატრიოტთა ალიანსის და არასაპარლამენტო ოპოზიციის შემთხვევაში პოზიტიური ტონი ნეგატიურს თანაბრად აღემატებოდა (პოზიტიური 7, ნეგატიური 3%).

საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით (96%) "დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო" გაშუქდა, რომლის პოზიტიური და ნეგატიური ტონიც ორივე 2-2% იყო.

1%-ს ქვემოთ გაშუქებული პოლიტიკური სუბიექტებიდან ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (25%) ახალ საქართველოს ჰქონდა, მისი პოზიტიური გაშუქების ტონი კი (7%) იყო. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს ნეგატიური ტონი (7%)-ია, რომლის პოზიტიური მაჩვენებელი 1% იყო. კონსერვატორების (ნეგატიური 4%, პოზიტიური 1%) და მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის (ნეგატიური 3%, პოზიტიური 2%) შემთხვევაში ნეგატიური გაშუქება აჭარბებს პოზიტიურს. გირჩის (პოზიტიური 5%, ნეგატიური 2%) და ლეიბორისტების (პოზიტიური 6%, ნეგატიური 3%) შემთხვევაში კი პირიქით, პოზიტიური ნეგატიურზე მეტია.

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის გაშუქებაში ნეგატიური ტონი (9%) სჭარბობს პოზიტიურს (2%), ისევე როგორც ცესკოს შემთხვევაში (ნეგატიური 12%, პოზიტიური 3%). უწყებათაშორისი კომისიის გაშუქების ტონი კი 100%-ით ნეიტრალური იყო.

დიაგრამა 1.4. კონტენტის ტონი, ტელევიზიები







კონტექსტის ტონი. ტელევიზიების მიერ პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებაში სტატისტიკურად ჭარბობს კონტექსტის ნეიტრალური ტონი. თუმცა სტატისტიკა იძლევა საშუალებას გაიმიჯნოს მედია, რომელიც სხვადასხვა თემატიკას მეტ-ნაკლები კრიტიკულობით აშუქებს.

მონაცემები აჩვენებს, რომ კრიტიკული თემატიკის გაშუქება, ანუ ნეგატიური კონტექსტის მქონე მასალები ტელემედიაში მნიშვნელოვნად აჭარბებს პოზიტიური კონტექსტის მასალებს.

კონტექსტის ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რუსთავი2-ს (48%) აქვს, მეორე ადგილზეა „ობიექტივი“ (35%), რომელსაც მცირედი სხვაობებით საზოგადოებრივი მაუწყებელი (34%), კავკასია (33%) და იმედი (32%) მოსდევენ. ტაბულას ნეგატიური კონეტექსტის წილი 26% იყო, ხოლო მაესტროს და GDS-ის ყველაზე დაბალი - 22%.

კონტექსტის ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით გამოირჩევა მაესტრო (9%), რიგით მეორე პოზიტიურ კონტექსტის ტონში საზოგადოებრივი მაუწყებელია - (6%). რუსთავი 2-ს, კავკასიას და GDS-ს კონტექსტის იდენტური პოზიტიური წილი (5%) აქვთ, "იმედი", „ტაბულა" და ობიექტივი" კი მათ იდენტური მონაცემებით მცირედით ჩამორჩება (4%).

დიაგრამა1.5. კონტექსტის ტონი, ტელევიზიები



## 2. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა პრაიმ-ტაიმის სატელევიზიო ახალ ამბებში

ტელე მედიის პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებების (10 229 მასალა) 4 თვის (1 აპრილი -31 ივლისი) ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა ყველაზე ხშირად (17,5%) წინასაარჩევნო კამპანიების ფარგლებში განხორციელებულ მათ აქტივობებს უკავშირდებოდა. მეორე ადგილზე იყო მართლმსაჯულების თემა (14,2%), რომელშიც გაერთიანებული გვაქვს სასამართლო (მათ შორის, რუსთავი 2-ის, საკონსტიტუციო სასამართლოს, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების, თავისუფალ დემოკრატებთან დაკავშირებული ე.წ. კაბელების პროცესები და სხვა), სასჯელ-აღსრულების სისტემის, ე.წ. სამართლიანობის აღდგენის, სხვადასხვა ტიპის დანაშაულის და სხვა რელევანტური თემატიკა. მესამე ადგილზე (10,7%) პოლიტიკური დაპირისპირების საკითხებია, რაც წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პროცესის რადიკალიზაციის ხარისხზეც მიანიშნებს. შემდეგ ადგილზეა საგარეო ურთიერთობები (9,4%) და საარჩევნო კანონმდებლობასთან და არჩევნების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები (9,1%).

დიაგრამა 2.1. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა TV მედიაში




თუ წინასაარჩევნოდ პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკის პრიორიტეტულობას ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2016 წლის ივნისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის[8] შედეგებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ რესპონდენტთა მიერ დასახელებული ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების ხუთეული (სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ფასების ზრდა/ინფლაცია, პენსიები) პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების შესაბამის მაჩვენებელთან თანხვედრაში არ არის. მეტიც – მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის და კონფლიქტების თემა, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევაში მესამე პრიორიტეტად არის წარმოდგენილი, წინასაარჩევნო ტვ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობით გაშუქებული თემების სულ 1,6 %-ს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა განათლება (1,5%), სოციალური საკითხები (1%), ჯანდაცვა (0,5%) და ადამიანის უფლებები – უმცირესობების საკითხები (0,9%) მედიის მიერ პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკაში ყველაზე მცირე მოცულობით გვხდება.

---

[8] NDI (ივნისი, 2016), საზოგადოების განწყობა საქართველოში
https://www.ndi.org/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_GEO_VFF%20(2).pdf

# 3. პრაიმ-თაიმის სატელევიზიო ახალი ამბების მონაცემები ტელევიზიების მიხედვით

## 3.1. საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ: საზოგადოებრივი მაუწყებელი 1956 წელს დაარსებული სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის ბაზაზე შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 2004 წელს პარლამენტმა მაუწყებლობის შესახებ კანონი მიიღო. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც 2 სატელევიზიო და 2 რადიო არხზე მაუწყებლობს, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, საჯარო დაფინანსებით მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას,[9] დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. არხის მმართველობას პარლამენტის მიერ დამტკიცებული 9 კაციანი სამეურვეო საბჭო და მის მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი ახორციელებენ. TVMR საქართველოს მონაცემებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის 2015 წლის საშუალო წლიური რეიტინგი (ARM) 0,74%, ხოლო წილი (SHR) მედია ბაზარზე 3,92% იყო.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. 4 თვის (1 აპრილი - 31 ივლისი) მონიტორინგის საერთო მონაცემების (1763 მასალა) თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი (13) სუბიექტი იყო წარმოდგენილი იმათგან, ვისი გაშუქებაც 1% და 1%-ს ზემოთ იყო. ყველაზე დიდი მოცულობა მთავრობას (39,2%) და ქართულ ოცნებას (16,5%) დაეთმო, რამაც ჯამურად 55,7% შეადგინა.

სხვა პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (13%) "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" აქვს, რომელსაც "რესპუბლიკური პარტია" (5,7%), "თავისუფალი დემოკრატები" (4%), ჯამურად 1%-ზე დაბალი გაშუქების მქონე პარტიები (3,8%) და არასაპარლამენტო ოპოზიცია (2,1%) მოსდევენ.

შედარებით დაბალი გაშუქება აქვთ სხვა კვალიფიციური პარტიებს: "პატრიოტთა ალიანსი" - 1,5%, "ეროვნული ფორუმი" - 1,1%, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" - 1,1% , "ლეიბორისტული პარტია" -1%, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 0,7% და "კონსერვატორები" - 0,6%.

ახლადშექმნილი პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს „სახელმწიფო ხალხისთვის“ (1,4%), მას ოდნავ ჩამორჩება "გირჩი" (1,1%), შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვთ ახალ საქართველოს (0,6%) და "თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის" (0,3%).

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის მთლიანი გაშუქების წილი 7,6%-ია, ხოლო ცესკოს - 1%.

დიაგრამა 3.1.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი




[9] http://www.tvmr.ge/ka#!ka/news/44/წლის

პირდაპირი და ირიბი გაშუქება. 4 თვის მონაცემებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქების ფორმით ყველაზე დიდ ადგილს მთავრობას (პირდაპირი 39,1%, ირიბი - 39,4%) და „ქართულ ოცნებას“ (პირდაპირი 16,7%-ია, ირიბი – 16,2%) უთმობდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ორთავე შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებლები თითქმის იდენტურია.

განსხვავებული ვითარებაა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (პირდაპირი-11,9%, ირიბი – 13,9%), პრეზიდენტის (პირდაპირი - 5,7%, ირიბი - 9,3%), არასაპარლამენტო ოპოზიციის (პირდაპირი - 1,8%, ირიბი - 2,4%), "სახელმწიფო ხალხისთვის" (პირდაპირი - 1%; ირიბი - 1,7%) და ცესკოს (პირდაპირი - 0,7%, ირიბი - 1,3%) შემთხვევაში, როცა ირიბი გაშუქება აჭარბებს პირდაპირს. დანარჩენ სუბიექტებთან კი სურათი ერთგვაროვანია და პირდაპირი ან ირიბს აჭარბებს, ან მონაცემები თითქმის თანაბარია.

დიაგრამა 3.1.2 პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, საზოგადოებრივი მაუწყებელი – პირველი არხი




კონტენტის ტონი სუბიექტების გაშუქებაში. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით (99%), 1%-იანი ნეგატივის პირობებში პირველმა არხმა ეროვნული ფორუმი გააშუქა. მაღალი ნეიტრალური ტონით იყვნენ ასევე წარმოდგენილი შემდეგი სუბიექტები: არასაპარლამენტო ოპოზიცია (96%), რომლის ნეგატივი 1%, ხოლო პოზიტივი 3% იყო; "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი - საქართველო" (94%), 3%-იანი ნეგატივითა და 3% პოზიტივით; "რესპუბლიკური პარტია" (93%), რომელსაც 6% ნეგატივი და 1% პოზიტივი ჰქონდა.

ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით (15%) ჯამურად ის სუბიექტები არიან წარმოდგენილი, ვისი გაშუქებაც 1%-ზე დაბალი იყო, ხოლო ინდივიდუალური სუბიექტებიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (14%), რომლის პოზიტიური ტონი 5% იყო. მაღალი ნეგატივი აქვს ასევე ცესკოს (13%), რომელსაც ნეგატიური ტონით „ქართული ოცნება“ (12%) ჩამორჩება. მმართველი პარტიის პოზიტიური ტონალობა 8%-ია. შედარებით დაბალია მთავრობის ნეგატიური ტონი (8%), "რესპუბლიკური პარტიის" (6%), პრეზიდენტის (6%), "გირჩის" (4%), "ლეიბორისტული პარტიის" (3%), "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო" (3%) და სხვათა მონაცემები.

მართალია, დაბალი გაშუქებით, მაგრამ მაღალი პოზიტიური ტონით გამოირჩევიან შემდეგი სუბიექტები: პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პოზიტიური 16%, ნეგატიური 1%), "ლეიბორისტული პარტია" (პოზიტიური 13%, ნეგატიური 3%) და "თავისუფალი დემოკრატები" (პოზიტივი 10%, ნეგატიური 1%). ახალი პარტიებიდან მაღალი პოზიტიური ტონი (9%) აქვს "გირჩს", რომლის ნეგატიური ტონი 4%-ია.

დიაგრამა 3.1.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების კონტენტის ტონი-საზოგადოებრივი მაუწყებელი – პირველი არხი




სუბიექტების წილი ტელევიზიის პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში. პოზიტიური კონტენტის ყველაზე დიდი მოცულობა მთავრობასა (47,7%) და "ქართულ ოცნებაზე" (22,3%) მოდის, რაც მთლიანობაში პოზიტიური ტონის 70%-ს შეადგენს. ქართული ოცნების წილი პოზიტიურსა და ნეგატიურ ტონში თითქმის იდენტურია (ნეგატივი 22, 2%). ყველა სხვა სუბიექტზე კი პოზიტიური გაშუქების 30% ნაწილდება. მთავრობის წილი (37,3%) ნეგატიურ კონტენტში სხვა სუბიექტებზე მაღალია, თუმცა, პოზიტივს ჩამოუვარდება.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წილი პოზიტიურ კონტენტში - 10%, ხოლო ნეგატიურში 2-ჯერ მეტი - 20,3%-ია. "თავისუფალი დემოკრატების" წილი პოზიტიურ კონტენტში - 6,3%, ნეგატივში კი - 0,5%-ია. "სახელმწიფო ხალხისთვის" წილი პოზიტივში - 3,5%, ხოლო ნეგატიურ ტონში - 0,2%-ია. "ლეიბორისტული პარტიის" წილს პოზიტიურ ტონში (2,2 %), ნეგატიურში (0,3%) ჩამორჩება, ისევე როგორც "გირჩის" წილი პოზიტიურ ტონში (1,6%), ნეგატიურს (0,3%) აღემატება.

პრეზიდენტის წილს პოზიტიურ კონტენტში (2,3%), ნეგატიური ტონის წილს 2-ჯერ აღემატება (4,7%). ახლად დაფუძნებული პარტიებიდან საკმაოდ მაღალია “თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის” წილი ნეგატიურ კონტენტში (6,1%), ხოლო მისი წილი პოზიტიურ ტონის კონტენტში კი - 0,2%ია.

დიაგრამა 3.1.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში – საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი არხი






## თვისებრივი მონაცემები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგმა გამოკვეთა, რომ მაუწყებელი გამოირჩევა პოლიტიკურ სუბიექტთა ფართო სპექტრის გაშუქებით და ძირითადად იცავს ეთიკურ სტანდარტებსა და ბალანსს. თუმცა გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როცა დარღვეულია როგორც ბალანსი მხარეთა შორის, ასევე წარმოდგენილია არასრული ინფორმაცია, რაც ფაქტობრივ სიზუსტესთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნის. საზოგადოებრივი აზრის კვლევების გაშუქების დროს, ტელეკომპანია ძირითადად იცავს სტანდარტს, თუმცა კვლევის სანდოობისადმი წაყენებული ყველა მოთხოვნა და აუცილებელი რეკვიზიტი ყოველთვის წარმოდგენილი არ არის.

ფაქტობრივი სიზუსტე/სრულფასოვანი ინფორმაცია. 22 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიმართ ფიზიკური ძალადობის შესახებ სიუჟეტის (22 მაისი, 20:01 წუთზე) წარდგენისას წამყვანმა აქცენტი ინციდენტზე სამართალდამცავთა მხრიდან რეაგირებაზე გააკეთა, ასევე აღნიშნა, რომ დაზიანებები 10-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო, რომელთა შორის "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები და მოქმედი დეპუტატები იყვნენ. ჟურნალისტმა კი სიუჟეტში შემდეგი განაცხადა:

> "თვითმხილველების განცხადებით, სიტუაცია კორცხელის საარჩევნო უბანთან დღის პირველ ნახევარში დაიძაბა, როცა საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ნიკა მელია გამოჩნდა. სიტყვიერი დაპირისპირება მალევე ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა."

სიუჟეტი ასახავდა ორივე დაპირისპირებული მხარის პოზიციებს, თუმცა თავად თვითმხილველების სინქრონი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფიზიკური დაპირისპირება ნაციონალური მოძრაობის წევრის გამოჩენამ გამოიწვია, წარმოდგენილი არ ყოფილა. არც ერთ რესპონდენტს, არც თავად ჟურნალისტს სიუჟეტში არ უსაუბრია, თუ რა რეაგირება მოახდინეს სამართალდამცავებმა ადგილზე ინციდენტის აღსაკვეთად. მართალია, სიუჟეტში აღნიშნულია, რომ ჟურნალისტებს საქმიანობაში ინციდენტში მონაწილე პირები ხელს უშლიდნენ და ბოთლებს და ქვებსაც კი ესროდნენ, მაგრამ არ ყოფილა წარმოდგენილი თავად დაზარალებული ჟურნალისტების კომენტარები. ასევე სხვა მედია საშუალებით გაშუქებული კომენტარები, რომელთა თანახმად, სპორტსმენები ჟურნალისტს გადაღებული მასალის წაშლას სთხოვდნენ.

არასათანადო ბალანსი/არასრული ინფორმაცია. 30 ივლისს "მოამბემ" 20:00 მოამზადა სიუჟეტი, რომელიც შეეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ერთი ნაწილის ბრალდებებს სხვა მოსამართლეების მიმართ ე.წ. "კაბელების საქმესთან" დაკავშირებით. პლენუმის 5 წევრის ბრალდება სასამართლოში შესული საქმეების კანონდარღვევით მიღებასა და რეგისტრაციაში გატარებას შეეხებოდა, რის საილუსტრაციოდაც ე.წ. "კაბელების საქმე" იყო მოყვანილი, რომელიც თავის მხრივ პოლიტიკურ სუბიექტ "თავისუფალ დემოკრატებს" და მათ ლიდერს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს უკავშირდება.

სიუჟეტში მოყვანილია დაპირისპირებული ორი მხარის, ასევე მოსარჩლის კომენტარი: ერთი მხარე აცხადებს, რომ სარჩელს შაბათ-კვირას 3 გვერდი დაემატა, რაც ხარვეზის დადგენის საფუძველია, ხოლო მოსამართლეთა მეორე მხარის, ასევე მოსარჩელეთა ("თავისუფალი დემოკრატების") მტკიცებით, სარჩელის დაზუსტება აპრობირებული პრაქტიკაა. ჟურნალისტს არ შეუსწავლია სარჩელების რეგისტრაციისა და დასაშვებობისთვის დადგენილი საკანონმდებლო და შიდანორმატიული წესები, რამდენად შესაძლებელია, არსებული რეგულაციებით სარჩელის დაზუსტება. შესაბამისად, სიუჟეტიდან მაყურებელმა ვერ მიიღო ინფორმაცია, სამართლებრივად რამდენად საფუძვლიანი იყო როგორც ერთი მხარის ბრალდებები, ასევე მოპასუხე მხარის საპასუხო არგუმენტები.

ჟურნალისტი სიუჟეტში ასევე იხსენებს ძველ ბრალდებებს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი კოლეგიის მიმართ, რომ ისინი გახმაურებულ საქმეებს (რუსთავი 2-ის, კაბელების, თბილისის ყოფილი მერის) ფორსირებულ ტემპებში განიხილავენ. სიუჟეტში არ არის მოყვანილი საქმეების განხილვის ხანგრძლივობის საშუალო სტატისტიკა და არ არის ნაჩვენები, წარმოადგენს თუ არა კერძო ტელევიზიისა (რუსთავი 2) და ოპოზიციური პარტიების ("თავისუფალი დემოკრატების" და "ნაციონალური მოძრაობის") საჩივრების განხილვის ვადები გამონაკლისს საერთო წესიდან.

ბალანსი. 17 მაისს "მოამბემ" (20:21 წუთზე) ე.წ. კაბელების საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით სიუჟეტი მოამზადა. აღნიშნული განაჩენის თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს პატიმრობა მიესაჯათ. სიუჟეტი შეეხება თავისუფალი დემოკრატების ბრალდებებს იმის შესახებ, რომ მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილი პროკურატურის მითითებებს ასრულებდა. სიუჟეტში ასევე მოყვანილია არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კომენტარები, რომლებიც გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე საუბრობენ. მასალაში პროკურატურის კომენტარი წარმოდგენილი არ არის, მოყვანილია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გავრცელებული განცხადების ამონარიდი, რაც მთლიანობაში არასათანადო ბალანსს ქმნის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება/ფაქტობრივი სიზუსტე. 28 ივნისს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რუსთავი 2-ის დაკვეთით კომპანია გერმანულ-ამერიკული კომპანია GFK-ის მიერ შესრულებული კვლევა გააშუქა. გაშუქების დროს ტელეკომპანიამ მთავარი აქცენტი კვლევის ჩამტარებელი კომპანიის არასანდოობაზე გააკეთა, რისთვისაც კომპანიის საქმიანობიდან მხოლოდ პრობლემური მაგალითები მოიყვანა (მაგალითად, ის, რომ 2012 წელს კომპანიის მიერ ჩატარებული

ეგზიტპოლების შედეგები არ დაემთხვა არჩევნების შედეგებს; ყირიმსა და თურქეთში შექმნილი სხვადასხვა პრობლემები).

ამას გარდა არასრულფასოვნად მოხდა კვლევის შედეგების გაშუქება. მაგალითად, ქართული ოცნების და ნაციონალური მოძრაობის რეიტინგები ისე დასახელდა, ("ქართული ოცნება" - 22,4%; "ნაციონალური მოძრაობა" - 21.7%; "სახელმწიფო ხალხისთვის" - 7.8%), რომ ჟურნალისტმა არ აღნიშნა, როგორი იყო იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც კითხვაზე „თუ ჩავთვლით, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობთ, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?“, შემდეგი პასუხი გასცა: უარი განაცხადა (10%) ან აღნიშნა, რომ უჭირდა პასუხის გაცემა/გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ ჰქონდა (19.4 %), ხმას არცერთ პარტიას არ აძლევდა (3.9%). გაშუქების დროს ტელეკომპანიას ასევე არ მოუწოდებია ინფორმაცია კვლევის ცდომილების ფარგლების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არსებითია შედეგების სრულფასოვანი აღქმისთვის.

ჟურნალისტი სიუჟეტში ამბობს:

> „რაც შეეხება მეთოდოლოგიას და ვინ არის კონტრაქტორი კომპანია, რომელმაც საველე კვლევები ჩაატარა, უცნობია. რუსთავი2-ს ეს მონაცემი ამ დრომდე არ გამოუქვეყნებია. მხოლოდ ის გაასაჯაროვა, რომ ივნისში ჩატარდა და 2200 ადამიანი მონაწილეობდა.“

რუსთავი 2-ს მართლაც არ დაუსახელებია კვლევის საველე სამუშაოების შემსრულებელი, თუმცა სხვა მონაცემები, მათ შორის მეთოდოლოგიაც როგორც ტელევიზიით გააშუქა, ასევე ეს მონაცემები ვებ-გვერდზეც არის ხელმისაწვდომი, რითაც მაუწყებელმა არასწორი ინფრომაცია გაავრცელა.

14 აპრილს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, (20:23 წუთზე), რუსთავი 2-ის, მაესტროს, „კავკასიას“ და რამდენიმე სხვა ტელეკომპანიის მსგავსად, გააშუქა სააგენტო GHNის მიერ გამოქვეყნებული ქართული ოცნების შიდა კვლევა. მოწოდებული იყო მხოლოდ რამდენიმე პარტიის რეიტინგი და ქართული ოცნებისა და ორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის კომენტარები.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი არ ადასტურებდა, რომ აღნიშნული კვლევა მათი პარტიის შიდა კვლევა გახლდათ და ამბობდა, რომ მათი კვლევის შედეგები რადიკალურად განსხვავებულია. ტელეკომპანიას არ მოუწოდებია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ მოიპოვა აღნიშნული შედეგები სააგენტომ. არ უცდია ასევე კვლევის დეტალებისა და რეკვიზიტების (გამოკითხულთა რაოდენობა, მეთოდი, შემსრულებელი, ცდომილება და ა.შ.) მოპოვება.

# 3.2. რუსთავი 2

რუსთავი 2-ის შესახებ: 1994 წელს რუსთავი 2[10]ეროსი კიწმარიშვილმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა დააფუძნეს. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდა, 2004-2012 წლებში რუსთავი 2-ის საკუთრება 20-ჯერ შეიცვალა. პირველი ცვლილება 2004 წელს განხორციელდა, რომლის შედეგადაც ტელეკომპანიის წილები ქიბარ ხალვაშის და მისი კომპანიის საკუთრებაში აღმოჩნდა. იმ პერიოდში ქიბარ ხალვაში თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირი იყო.
2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 4 თვით ადრე სააპელაციო სასამართლომ რუსთავი 2-ის ქონება ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს და მის კომპანია "პანორამას" მიაკუთვნა. ტელეკომპანიის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხი მის ამჟამინდელ მფლობელებს ლევან და გიორგი ყარამანაშვილებს, ასევე შპს "ტელეკომპანია საქართველოს" უზენაეს სასამართლოში აქვთ გასაჩივრებული. TVMR საქართველოს მონაცემებით[11], 2015 წელს ტელებაზარზე რუსთავი 2 ლიდერობდა და მისმა საშუალო წლიურმა რეიტინგმა (AMR) 5,43% შეადგინა, წილმა (SHR) კი - 28,78%.

## რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. რუსთავი 2-ის 4 თვის (1 აპრილი-31 ივლისი) მონიტორინგის თანახმად, ტელეკომპანიამ პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში მთლიან გაშუქებაში (1 728 მასალიდან) ყველაზე დიდი ადგილი მთავრობას (28,2%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (25,1%) დაუთმო, რამაც ჯამურად 53,3% შეადგინა.

რაც შეეხება სხვა კვალიფიციურ პარტიებს, გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (19,7%) "ნაციონალურ მოძრაობას" აქვს, რომელსაც "თავისუფალი დემოკრატები" (7,5%) და "რესპუბლიკელები" (3,3%) მოსდევენ. სხვა მედია საშუალებებთან შედარებით რუსთავი 2-ზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გაშუქების

[10] Mediameter, MDF, რუსთავი 2, http://mediameter.ge/ge/media-profiles/rustavi-2
[11] http://www.tvmr.ge/ka#!ka/news/44/წლის

მაჩვენებელი აქვს „ლეიბორისტულ პარტიას“ (1,6%), სხვა დანარჩენ კვალიფიციურ სუბიექტს კი - 1%-ზე ნაკლები: "ეროვნული ფორუმი" - 0,7%, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ - 0,7%, "პატრიოტთა ალიანსი" - 0,6%, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 0,4%, "კონსერვატორები" კი - 0,1%. არასაპარლამენტო ოპოზიციის აქტივობებს საერთო მონაცემებიდან 1,9% დაეთმო.

ახალშექმნილი პარტიებიდან ყველაზე მაღალი გაშუქება (2,9%) „სახელმწიფო ხალხისთვის“ პარტიას აქვს, შედარებით დაბალია სხვების წილი: "გირჩი" - 0,4% და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ - 0,3%.

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის წილი მთლიან გაშუქებაში 5,2%-ია, ცესკოს კი - 0,6%.

დიაგრამა 3.2.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, რუსთავი 2




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. ნაციონალური მოძრაობის (პირდაპირი 26%, ირიბი 12,8%) და "თავისუფალი დემოკრატების" (პირდაპირი 11,2%, ირიბი 3,3%) შემთხვევაში პირდაპირი გაშუქება მნიშვნელოვნად სჭარბობს ირიბს. მთავრობის და „ქართული ოცნების“ შემთხვევაში კი პირიქით, ირიბი აღემატება პირდაპირს: მთავრობა - ირიბი 36%, პირდაპირი 21,3%; „ქართული ოცნება“ - ირიბი 31,2%, პირდაპირ 19,7% პირდაპირი.

როგორც დიაგრამა 3.2.2-დან ჩანს, პრეზიდენტის გარდა, ყველა სხვა სუბეიქტის შემთხვევაში სურათი ერთგვაროვანია და პირდაპირი აღემატება ირიბს ან თითქმის თანაბარია. იდენტური ვითარებაა სხვა კატეგორიაში გაერთიანებული იმ კვალიფიციური სუბიექტების მიმართ, რომელთა გაშუქება 1%-ზე ნაკლები იყო.

პრეზიდენტის გაშუქებაში ირიბი (6,3%) აჭარბებს პირდაპირს (4,2%), ცესკოს გაშუქებაში კი პირიქით, პირდაპირი (3,8%) ირიბზე (1,9%) მაღალია.

დიაგრამა 3.2.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, რუსთავი 2



**ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐᲨᲘ.** ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით რუსთავი 2 ლეიბორისტულ პარტიას (96%), არასაპრლამენტო ოპოზიციას (96%), "რესპუბლიკურ პარტიას" (91%), კატეგორია "სხვაში" გაერთიანებულ 1%-ის ქვემოთ წარმოდგენილ პარტიებს (91%), პრეზიდენტს (88%), "თავისუფალ დემოკრატებს" (88%) და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" (84%) აშუქებდა. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი მთავრობის (35%) და "ქართული ოცნების" (32%) შემთხვევაში იკვეთება. ნეგატიური ტონის მხრივ შემდეგ მოდის პრეზიდენტი (11%), "ნაციონალური მოძრაობა" (8%) და "რესპუბლიკური პარტია" (8%), რომელთაც იდენტური მონაცემები აქვთ. ამასთანავე "ნაციონალური მოძრაობის" პოზიტივი - 8%, ხოლო "რესპუბლიკელების" კი 1%-ია.

პარტიის გაშუქების მოცულობიდან ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით არის წარმოდგენილი ახლად დაფუძნებული პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის" (18 %, ნეგატიური 2%), ასევე "თავისუფალი დემოკრატები" (11%, ნეგატიური 1%). ორთავე პარტიას შედარებით დაბალი ნეგატიური ტონი აღენიშნებათ.

ცესკოს გაშუქების პოზიტიური ტონი - 4,5%, ხოლო ნეგატიური 15.8%-ია.

დიაგრამა 3.2.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, რუსთავი 2




**ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲨᲘ.** პოზიტიურ გაშუქებაში ყველაზე მეტი დრო "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო (29,5%), ნეგატიურ კონტენტში კი - 7,8%. მთავრობის წილი პოზიტიურ კონტენტში - 25%, ნეგატიურში კი 47,1% იყო. თავისუფალი დემოკრატების წილი პოზიტივში -15,9%, ნეგატივში კი 0,5% იყო. "ქართული ოცნების" წილს პოზიტიურ კონტენტში (14,1%), ნეგატიურ კონტენტში წილი (38,7%) აღემატებოდა; "სახელმწიფო ხალხისთვის" წილი პოზიტიურ კონტენტში (10,6%) კი ნეგატიურ კონტენტში წილს (0,2%) მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

სხვა პარტიების მონაცემები ასე გამოიყურება: "პატრიოტთა ალიანსი" - პოზიტიურ კონტენტში - 1,1%, ნეგატიურში - 0,02%; "ლეიბორისტებ"ი - პოზიტიურში - 0,9%, ნეგატიურში - 0,1%;

"რესპუბლიკელები" - პოზიტიურში - 0,4%, ნეგატიურში - 1,3%. სხვა დანარჩენ პარტიებს - 1 %-ზე ნაკლები წილი აქვთ.

ინსტიტუტებიდან პოზიტიურ გაშუქებაში პრეზიდენტის წილი 1%-ია, ნეგატიურში კი - 2,8%; ცესკოს პოზიტივში - 0,5%, ნეგატივში კი - 0,4% ჰქონდა.

დიაგრამა 3.2.4. პოლიტიური პარტიების წილი ტელევიზიის პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში – რუსთავი 2




## თვისებრივი მონაცემები

ტელეკომპანია რუსთავი 2, ტელევიზიებს შორის მთავრობისა და ქართული ოცნების მიმართ ყველაზე მაღალი კრიტიკულობით გამოირჩევა, რასაც რაოდენობრივი მონაცემებიც ცხადყოფს. პოლიტიკური სუბიექტების კონტენტის ტონში ჯამურად ყველაზე მაღალი ნეგატიური გაშუქება (67%) მთავრობასა და მმართველ პოლიტიკურ გუნდს სწორედ რუსთავი 2-ზე აქვთ (კავკასია 49%, ობიექტივი 44%, ტაბულა 21%, მაესტრო 24%, იმედი 22%, საზოგადოებრივი მაუწყებელი 20%, GDS 14%). ტელეკომპანია ძირითადად ასახავს განსხვავებული პოლიტიკური სუბიექტების სპექტრს. როგორც წესი, სიუჟეტებში წარმოდგენილია მხარეების პოზიცია, თუმცა არის შემთხვევები, როცა ბალანსი ხელოვნურია და გადახრილია რომელიმე მხარის მიმართ.

მიკერძოება/არასაკმარისი წყაროები/ფაქტობრივი სიზუსტე. 11 ივლისის სიუჟეტი "საჩუქარი სახელმწიფოს" (21.33) შეეხებოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის "ქართუ ჯგუფის" მიერ სახელმწიფოსთვის საკონცერტო დარბაზ "ბლექ სი არენას" გადაცემის ფაქტს. სიუჟეტი მხოლოდ ცალმხრივად არის გაშუქებული და მასში ყურადღება არის გამახვილებული მხოლოდ იმაზე, რომ 200 მილიონიანი შენობის შენახვა, შესაძლოა, სახელმწიფოს მძიმე ფინანსურ ტვირთად დააწვეს. სიუჟეტის წარდგინებაში ეს მოსაზრება ზოგადად პრომოუტერების პოზიციად არის მოწოდებული, ხოლო სიუჟეტი მხოლოდ 1 პრომოუტერის პოზიციას ასახავს.

სიუჟეტში მოცემულია ჟურნალისტის შემდეგი კომენტარი: "10 000 კაცზე გათვლილი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონცერტო დარბაზი. სწორედ პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა, რამდენი დაუჯდება ობიექტის შენახვა გადასახადის გადამხდელებს. მით უმეტეს, რომ წინასწარ ხარჯები განსაზღვრული არ არის."

მიუხედავად იმისა, რომ კითხვა ლეგიტიმურია, სიუჟეტში არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, დაასაბუთოს, მის მიერ გამოთქმული ვარაუდი დამატებითი ხარჯების შესახებ. ეს მოსაზრება მხოლოდ რესპონდენტების კომენტარებშია გამოთქმული, მათ შორის არის ნაციონალური მოძრაობის პერიოდის კულტურის ყოფილი მინისტრი. არ არის წარმოდგენილი კულტურის სამინისტროს პოზიცია, ამასთანავე, ჟურნალისტს არ უცდია გადაემოწმებინა ოფიციალურ სტრუქტურაში, აქვს თუ არა სამინისტროს საკონცერტო დარბაზის განვითარების ბიზნესგეგმა, რა ფორმით აპირებს სახელმწიფო მის მართვას – პირდაპირ თუ კერძო კომპანიის მეშვეობით, რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ამჟამად დარბაზის შენახვა და გრძელვადიან პერსპექტივაში რა იგეგმება მისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სიუჟეტში მეორე მხარის პოზიციას "ქართუ ჯგუფის" და საკონცერტო დარბაზის დირექტორი წარმოადგენენ და არა კულტურის სამინისტრო, რომელიც ამ შემთხვევაში სათანადო წყარო იქნებოდა ბალანსის მისაღწევად.

ბალანსი. 18 მაისს რუსთავი 2-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ე.წ. კაბელების საქმეს ორი სიუჟეტი მიეძღვნა. სიუჟეტები (21:08 და 21:15) შეეხება თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების დაპატიმრებას იმ პერიოდის საქმიანობასთან დაკავშირებით, როცა მინისტრი პარტია "თავისუფალი

დამოკრატების" ლიდერი, ირაკლი ალასანია იყო. სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანს 7 წლით პატიმრობა ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელების შესყიდვის დროს 4 მილიონი ლარის გაფლანგვის საფუძვლით მიუსაჯა.

აღნიშნული პირების დაპატიმრებას და სასამართლოს მიერ მათთვის აღმკვეთი ღონისძიების მისჯას "თავისუფალი დემოკრატები", სხვა ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობოების ნაწილი პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებად აფასებს. თუ პირველი სიუჟეტი მეტად დაბალანსებულია და მასში წარმოდგენილია, როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების და ელჩების კომენტარები, მეორე სიუჟეტში 7-ვე რესპონდენტი (2 ექსპერტი, 4 პოლიტიკური პარტიის, 1 ადვოკატთა ასოციაციის) დაპატიმრებულთა პოზიციას იცავს და სასამართლოს და ხელისუფლების მიმართ ბრალდებებით გამოდის. არც ერთ სიუჟეტში სასამართლოს და პროკურატურის პოზიცია წარმოდგენილი არ არის, არც სინქრონის და არც ჟურნალისტის კომენტარის სახით.

ბალანსი. 3 ივნისს სიუჟეტი (22:00 წუთი), სახელწოდებით "მაესტროს გადაწყვეტილება" შეეხება ტელეკომპანია "მაესტროს" ახალი მენეჯმენტის მიერ 32 თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. აღნიშნულ გადაწყვეტილებებს წინ მაესტროს მესაკუთრეთა წილების კონფიგურაციის და მენეჯმენტის ცვლილება უძღოდა. კომენტარებში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ამ პროცესში ხელისუფლების ინტერესებზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა, არ არის წარმოდგენილი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის „ქართული ოცნების" პოზიცია.

ბალანსი. 28 ივლისის (21:59 წუთი) ლაივ-სინქრონში "ნაციონალური მოძრაობა რევაზ კარელიძის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს". წარმოდგენილია ნაციონალური მოძრაობის წევრების გიორგი ტუღუშის, გიგა ბოკერიას ვიდეო კომენტარები და თავად მსჯავრდებულის რევაზ კარელიძის აუდიო კომენტარი. პროკურატურის, არც სასამართლოს პოზიცია წარმოდგენილი არ არის. მასალის თანახმად, ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს რევაზ კარელიძეს, რომელსაც 3 წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, უზენაესმა სასამართლომ 11 წლიანი პატიმრობა შეუფარდა. მასალიდან არ ჩანს, რა გახდა მუხლის შეცვლის საფუძველი, რადგან მეორე მხარე არ არის წარმოდგენილი, რომელიც აღნიშნულს განმარტავდა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება/ფაქტობრივი სიზუსტე. 28 ივნისს სიუჟეტი "პოლიტიკური რეიტინგები" ტელეკომპანია რუსთავი 2-ის დაკვეთით გერმანულ-ამერიკული კომპანია GFK-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს შეეხებოდა.

კვლევის გაშუქების დროს ტელეკომპანიამ წინასაარჩევნო პერიოდში კანონმდებლობით გათვალისწინებული 11 სავალდებულო რეკვიზიტიდან 10 სრულფასოვნად დაასახელა, 1 ნაწილობრივ, რადგან არ დაუსახელებია კვლევის საველე სამუშაოების შემსრულებელი. ტელეკომპანია GDS-ის სიუჟეტის თანახმად კი, GFK-მ საველე სამუშაოები კომპანია BCG-ს დაუკვეთა, რომლის დირექტორი ნაციონალური მოძრაობის წევრის, ლევან თარხნიშვილის მეუღლეა. ის, რომ საველე სამუშაობის შემსრულებელი არ გამოქვეყნებულა, რუსთავი 2-ის სიუჟეტში პოლიტიკური ცენტრ "გირჩის" თავმჯდომარის ზურაბ ჯაფარიძის მიერაც არის აღნიშნული, რომელიც უნდობლობას უცხადებს კვლევას. სიუჟეტში ასევე მოცემულია "ქართული ოცნების" და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კომენტარები, ვინც უნდობლობას უცხადებს კვლევას, თუმცა არ არის ზურაბ ჯაფარიძის ბრალდებების ის ნაწილი, რომელიც უკრაინაში GFK-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ ბრალდებებს შეეხება. რუსთავი 2-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანახმად, "ქართულ ოცნებასა" (22,4%) და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" (21,7%) შორის მცირედი განსხვავებაა, NDI-ს კვლევაში[12] კი ეს სხვაობა 5%-ს შეადგენს.

კიდევ ერთი კვლევა, რომელიც "კურიერმა" გააშუქა, შეეხება სააგენტო "ჯი-ეიჩენის" მიერ გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, (14 აპრილი, 21:11 წუთი), რომელიც სააგენტოს მტკიცებით, ქართული ოცნების დაკვეთით ჩატარდა. სიუჟეტში არ ჩანს, თუ რა გზით მოიპოვა სააგენტომ ეს ინფორმაცია, მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ კვლევა სავარაუდოდ ქართული ოცნების დაკვეთილია, რომელიც გამოკითხვასთან კავშირს უარყოფს. ამის მიუხედავად, მასალაში მოცემულია კვლევის შედეგები და ხაზგასმულია, რომ 'ქართულ ოცნებასა" და "ნაციონალურ მოძრაობას" შორის 3%-იანი სხვაობა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მონაცემებს ემთხვევა. კანონმდებლობის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში მედია საშუალება უნდა დარწმუნდეს კვლევის სანდოობაში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვეყნოს ის, რაც რუსთავი 2-ის მხრიდან დაცული არ ყოფილა.

[12] http://www.tabula.ge/ge/story/110317-ndi-archevnebshi-monatsileebi-19-ocneba-enm-14-uari-pasuxze-13

## 3.3. იმედი

იმედის შესახებ: ტელეკომპანია "იმედი"[13] 2001 წელს ქართველმა მილიარდელმა ბადრი პატარკაციშვილმა დააფუძნა, რომელიც 90-იან წლებში რუსეთში სხვადასხვა კომპანიებში ("ლოგოვაზი", "როსიისკიე ავტომობილნიე დილერი"), მათ შორის რუსეთის საზოგადოებრივ არხის - ОРТВ-სა და ТВ-6-ის ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობდა. 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანიის შენობაში შსს სპეცნაზის შეჭრის შემდეგ, არხის მფლობელობა შეიცვალა. 2007 წლის 13 ნომბერს არხი 100%-იანი მართვის უფლებით "ნიუს კორპ ეუროპა ინქ"-ს გადაეცა, ხოლო 2009 წლის 27 აგვისტოდან მისი 100%-იანი მფლობელი შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი" გახდა, რომლის 45%-იანი წილის მფლობელი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი გიორგი არველაძე იყო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, არხი პატარკაციშვილების ოჯახს სიმბოლურ ფასად წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე დაუბრუნდა. TVMR საქართველოს მონაცემებით, 2015 წლის რეიტინგებით "იმედი" რეიტინგებში მეორე ადგილს იკავებდა. მისი რეიტინგი (AMR) 4,23%, ხოლო წილი (SHR) 22,39% იყო.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. "იმედის" 4 თვის მონიტორინგი (1 აპრილი-31 ივლისი) აჩვენებს, რომ ტელევიზია, საერთო გაშუქებიდან (1460 სიუჟეტში) ყველაზე დიდ დროს მთავრობას (41,2%) და „ქართულ ოცნებას" (21,6%) უთმობდა, რაც ჯამურად 62,8%-ია. სხვა კვალიფიციური პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი "ნაციონალურ მოძრაობას" აქვს (12,6%), რომელსაც "რესპუბლიკელები" (6%), "თავისუფალი დემოკრატები" (3,1%) და "ეროვნული ფორუმი" (1%) მოსდევენ. სხვა დანარჩენ კვალიფიციურ სუბიექტს 1%-ზე ნაკლები გაშუქება აქვს, რაც ჯამურად 4,4%-ია, ხოლო არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთიანი მონაცემი 1,4%-ია.

ახლადდაფუძნებული პარტიებიდან "გირჩსა" (1,3%) და "სახელმწიფო ხალხისთვის" (1,2%) თითქმის თანაბარი მონაცემები აქვთ. სხვა ახალი პარტიების ხვედრითი წილი საერთო მონაცემებში 1%-ზე დაბალია.
პრეზიდენტის წილი მთლიან გაშუქებაში 6,2%-ია, ცესკოს კი - 0,3%.

დიაგრამა 3.3.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, იმედი




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. მთავრობის პირდაპირი გაშუქება (45,8%) ირიბს (36%) აღემატება, ისევე როგორც "რესპუბლიკელების" (პირდაპირი 6,7%, ირიბი 5,2%) და "თავისუფალი დემოკრატების" (პირდაპირი 4,2%, ირიბი 1,8%). "ქართული ოცნების" (ირიბი 23,1%, პირდაპირი 20,3%), "ნაციონალური მოძრაობის" (ირიბი 16,6%, პირდაპირი 9,1%) და "სახელმწიფო ხალხისათვის" (ირიბი 1,8%, პირდაპირი 0,7%) შემთხვევაში კი პირიქით, ირიბი აღემატება პირდაპირს, თუმცა განსხვავებული სხვაობებით. "ნაციონალური მოძრაობის" შემთხვევაში სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე "ქართული ოცნების".

[13] MediaMeter, MDF, იმედი, http://mediameter.ge/ge/media-profiles/imedi

სხვა კვალიფიციური პარტიების უმეტესობა პირდაპირ მეტად შუქდებოდა, ვიდრე ირიბად, ზოგიერთის მონაცემი კი თითქმის იდენტურია.

ახალი პოლიტიკური ცენტრი "გირჩი" (პირდაპირი 1,5%, ირიბი 1,1%) პირდაპირ მეტად შუქდება, ხოლო „სახელმწიფო ხალხისთვის“ პირიქით - ირიბად (პირდაპირი 0,7%, ირიბი 1,8%);

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის ირიბი (8,2%) გაშუქება აჭარბებს პირდაპირს (4,4%), ისევე როგორც ცესკოსი (ირიბი 0,5%, პირდაპირი 0,2%), თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია კი, რომელმაც საქმიანობა ივლისში დაიწყო, მხოლოდ ირიბად (0,03%) არის წარმოდგენილი.

დიაგრამა 3.3.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, იმედი




ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐᲨᲘ. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით, საერთო გაშუქებიდან, ტელეკომპანია “იმედმა” არასაპარლამენტო ოპოზიცია (95%), "თავისუფალი დემოკრატები" (94%), "გირჩი" (92%), 1%-ს ქვემოთ წარმოდგენილი პარტიები ერთიანად (92%), "რესპუბლიკური პარტია" (89%) და პრეზიდენტი (89%) გააშუქა.

მთავრობის პოზიტიური ტონი (10%) აღემატებოდა ნეგატიურს (9%); . სახელისუფლებო პარტიის “ქართული ოცნების” შემთხვევაშიც პოზიტიურს (10%) ნეგატიური (13%) სჭარბობდა. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (29%) საპარლამენტო ოპოზიციის და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ დაფიქსირდა, რომლის პოზიტივი 1% იყო. ახლად დაფუძნებული "სახელმწიფო ხალხისთვის" ნეგატივი (17%) და პოზიტივიც (18%) თითქმის თანაბარია. "რესპუბლიკელების" მიმართ ერთი მხრივ 9%-იან ნეგატიური და 2%-იანი პოზიტივი გამოიკვეთა, "ეროვნული ფორუმის" მიმართ - 8% ნეგატიური ტონი, 2% - პოზიტიური; "გირჩის" 4% - ნეგატიური, 4%- პოზიტივი.

დიდი სხვაობა გამოიკვეთა პრეზიდენტის გაშუქების ნეგატიურ (10%) და პოზიტიურ (1%) ტონს შორის; ცესკო კი თანაბარი პოზიტივით (4%) და ნეგატივით (4%) გაშუქდა.

დიაგრამა 3.3.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, იმედი



**სუბიექტების წილი ტელევიზიის პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში.** ტელეკომპანია „იმედზე“ პოზიტიური გაშუქების ყველაზე დიდი წილი მთავრობასა (56,8%) და "ქართულ ოცნებაზე" (30%) მოდის, რაც ჯამურად 86,8%-ია. მათ მკვეთრად ჩამოუვარდება შემდგომ ადგილზე მყოფი სახელმწიფო ხალხისათვის (2,9%), "ნაციონალური მოძრაობა" 2,6%-ით და "რესპუბლიკური პარტია" 1,9%-ით. ჯამურად სხვა სუბიექტების წილი პოზიტიურ ტონში, ვინც 1%-ზე ქვემოთ გაშუქდა, 5,8%-ია.

„იმედის“ ნეგატიური ტონის კონტენტის ყველაზე დიდი წილი მთავრობას (31,5%) და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" (30,2%) უკავიათ, რომელსაც "ქართული ოცნება" (24%) და შედარებით მოკრძალებულად "რესპუბლიკელები" (3,8%) მოსდევენ.

პრეზიდენტის გაშუქების ნეგატიური ტონის წილი (5%) პოზიტიურს (0,9%) აღემატება; ცესკოს ნეგატიური (0,2%) და პოზიტიური (0,1%) წილი თითქმის იდენტურია.

დიაგრამა 3.3.4. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში, იმედი




## თვისებრივი მონაცემები

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ტელეკომპანია „იმედი“ პოზიტიური კონტენტის 86,8 %-ს ხელისუფლებას და სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნებას“ უთმობდა, მაშინ, როცა სხვა პოლიტიკური სუბიექტების ჯამური წილი პოზიტიურ კონტენტში 13,2%-იყო; ტელეკომპანია განსხვავებული პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობას აშუქებს და, როგორც წესი, სიუჟეტებში წარმოდგენილია მხარეების პოზიცია. ასევე ძირითადად დაცულია ეთიკური სტანდარტებიც. თუმცა არის შემთხვევები, როცა ინფორმაცია არასრულად არის მოწოდებული, რაც ფაქტობრივ სიზუსტესთან, ბალანსთან და მიკერძოებულობასთან დაკავშირებით კითხვებს აღძრავს.

**ფაქტობრივი სიზუსტე/ მიკერძოება.** 17 ივნისს ტელეკომპანია „იმედმა“ გააშუქა "ნაციონალური მოძრაობის" ბრალდებები იმის შესახებ, რომ იმ 2 პირს (გიორგი გიგაური, ვლადიმერ გეგეშიძე), ვინც ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში 22 მაისის შუალედური არჩევნების დროს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს ფიზიკურად გაუსწორდა და ხულიგნობის მუხლით ბრალდებული იყო, “კალა კაპიტალმა” და კრიმინალურმა ავტორიტეტმა “კალატოზამ”[14] ანგარიშზე 35 000 აშშ დოლარი ჩაურიცხეს. ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, გადარიცხვა “ალფა ბანკის” მეშვეობით მოხდა, რის მტკიცებულებადაც მათ პრესკონფერენციაზე დოკუმენტი წარადგინეს, რომელიც, მათი მტკიცებით, გადარიცხვის ფაქტს ადასტურებდა.

როგორც იდენტურ თემაზე ონლაინ გამოცემა “ნეტგაზეთის” მიერ მომზადებული მასალიდან ირკვევა, "ნაციონალურმა მოძრაობამ" პრესკონფერენციაზე წარმოადგინა ფინანსური გადარიცხვის სქემა, რომლის სათავეში კრიმინალურ ავტორიტეტ “კალატოზასთან” ერთად კახი კალაძეც ფიგურირებს. ვიცე-პრემიერი კახი კალაძე, რომელიც "ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელია, ამავდროულად “კალა კაპიტალის” დამფუძნებელი და პარტნიორია.

[14] "კალატოზა არის ე.წ. "კანონიერი ქურდის", დავით ქარსელაძის მეტსახელი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობისთვის იყო დაპატიმრებული. ქურდული სამყაროს წევრობა საქართველოში 2006 წლიდან არის კრიმინალიზებული.




იმედის სიუჟეტში კახი კალაძე, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ბრალდებების ადრესატი, საერთოდ არ ფიგურირებს და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის შესახებ ბრალდებები გამოტოვებულია. სიუჟეტში არც ის არის აღნიშნული, თუ რა კავშირებია "კალა კაპიტალსა" და ვიცე-პრემიერს შორის. მასალაში აქცენტი გადატანილია თავად ბრალდებების უარყოფაზე. პოლიტიკოსების შეფასების გარდა, წარმოდგენილია კალა კაპიტალის წერილობითი განცხადება, ასევე ალფა-ბანკის მიერ სააგენტო 20/30-ისთვის გაკეთებული კომენტარი, რომლის თანახმადაც გამოქვეყნებული დოკუმენტები "ნაციონალური მოძრაობის" მიერ არის გაყალბებული.

**ფაქტობრივი სიზუსტე/ბალანსი.** 22 მაისს, გადაცემა „იმედის დრო" (20:01) იმ დღეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში შუალედური არჩევნების დროს ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების კადრებით, კომენტარის გარეშე დაიწყო. მაესტროს მსგავსად, "იმედის" წამყვანმაც აღნიშნა, რომ დაშავებული ორივე მხრიდან იყვნენ, თუმცა არც ინციდენტის, არც შემდგომ დღეებში „ქართული ოცნების" დაშავებული მხარდამჭერები არც ჰოსპიტალიზებული ყოფილან, არც მედიით გამოვლენილან.

თემის განხილვა დაიწყო ჩართვით ცესკოდან და წარმოდგენილი იყო ცესკოს პოზიცია დარღვევებზე. შემდეგ წარმოდგენილი იყო ვიცე-პრემიერის, ქართული ოცნების ერთ-ერთი ლიდერის კახა კალაძის ჩართვა, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის მიერ კორცხელში დადგმულ პროვოკაციაზე ისაუბრა და სხვა თემებსაც შეეხო. კალაძეს არჩევნების თემაზე გადაცემაში 304 წამი დაეთმო. პირდაპირ ეთერში ასევე ჩართეს "ქართული ოცნების" ოფისიდან მამუკა მდინარაძის ბრიფინგი (186 წამი). გადაცემაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოზიცია დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ- 21:03 წუთზე - პირდაპირი ჩართვის ფორმით გაშუქდა (თინა ბოკუჩავას ჩართვა - 229 წამი). შესაბამისად, გარდა ფაქტობრივი უზუსტობისა, დარღვეული იყო ბალანსიც.

**ბალანსი.** 30 ივნისს "იმედმა" ლაივის (გადაფარვის) ფორმით გააშუქა "ნაციონალური მოძრაობის" თბილისის საკრებულოს წევრის ირაკლი აბესაძის ბრიფინგი (22:34). წამყვანის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის" მტკიცებით, დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიის ფინანსური დირექტორი თანამდებობიდან ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვის გამო გაათავისუფლეს, რაზეც შიდა აუდიტის დასკვნაშია საუბარი. კადრში ნაჩვენებია შიდა აუდიტის დასკვნა, თუმცა არ არის მოყვანილი ამონარიდი დოკუმენტიდან, რომელიც ან დაადასტურებდა, ან უარყოფდა "ნაციონალური მოძრაობის" მიერ გახმოვანებულ ბრალდებებს. დოკუმენტების გადამოწმების ნაცვლად, მასალაში მოყვანილია თავად სატრანსპორტო კომპანიის ყოფილი ფინანსური დირექტორისა და თბილისის მერის მიერ ამ ფაქტის უარყოფა. მასალაში ასევე არ არის აღნიშნული, რომ ბრალდების ადრესატი საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გუგული მაღრაძის სიძეა.

**ფაქტობრივი სიზუსტე/ბალანსი.** მაესტროს, მარშალპრესის და PIA-ს მსგავსად, 25 ივლისს ტელეკომპანია „იმედმაც" გააშუქა (20:15 წუთი) ბრალდებები ფონდ „იავნანას" მიერ საქველმოქმედო თანხების ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მისი დამფუძნებლის, პაატა ბურჭულაძის ახალ პოლიტიკურ პარტიასთან "სახელმწიფო ხალხისათვის" იყო დაკავშირებული. მონიტორინგის სამიზნე სხვა მედიებისგან განსხვავებით, სიუჟეტში არ არის მითითებული ის ფაქტი, რომ ბრალდებების წყარო 9 მილიონიდან ქველმოქმედებისთვის მხოლოდ 3 მილიონის დახარჯვის შესახებ ტაბლოიდური გაზეთი "პრაიმ ტაიმია". სიუჟეტის წარდგინებაში ერთი გაზეთის პუბლიკაციის მთელ პრესასა და ჟურნალისტებზე განზოგადება ხდება. კერძოდ, წამყვანი აღნიშნავს:

> "საქველმოქმედო ფონდ იავნანასთან დაკავშირებით პრესაში შეკითხვები აქვთ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, წლების განმავლობაში ფონდში ქველმოქმედების სახით 9 მილიონი ლარი შევიდა, საიდანაც ქველმოქმედებაზე მხოლოდ 3 მილიონი დაიხარჯა".

თავად სიუჟეტის ფონად პრაიმ თაიმის სტატიაა შერჩეული, ხოლო თანხების არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით ინკოგნიტო წყაროა დასახელებული. სიუჟეტიდან კი ფონდის წარმომადგენლის კომენტარიდან ირკვევა, რომ 2012-2015 წლებში ფონდს 5 მილიონ 769 406 ლარის შემოწირულობა აქვს მიღებული, აქედან 4 მილიონ 850 343 ლარი ქველმოქმედებაზეა დახარჯული. ხარჯებსა და შემოსავლებს შორის საბალანსო დოკუმენტაცია კი შემოსავლების სამსახურს წარედგინება. სიუჟეტში არ არის გადამოწმებული, რა პერიოდს მოიცავს 9 მილიონიანი შემოსავალი, აქვს თუ არა შემოსავლების სამსახურს ფონდთან დაკავშირებით გამოვლენილი ფინანსური დარღვევები და როდიდან.

**ბალანსი.** 1 აპრილს იმედმა კოალიცია "ქართული ოცნების" ყოფილ წევრებს - რესპუბლიკელებსა და ქართული ოცნების წარმომადგენლებს - შორის განათლების კანონთან დაკავშირებით სიტყვიერი შელაპარაკება გააშუქა (20:05 წუთი). მასალაში მოცემულია "ქართული ოცნების" წარმომადგენლის ეკა

ბესელიას კომენტარი, ხოლო დაპირისპირებაში მონაწილე "რესპუბლიკური პარტიის" წევრის ნოდარ ებანოიძის ან პარტიის სხვა წარმომადგენლის პოზიცია პარტიულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ არის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება. 30 ივნისს "იმედმა" ნაწილობრივ გასაჯაროვებული "ქართული ოცნების" შიდა კვლევის შედეგები გააშუქა (20:09). მასალის წარდგინებისას წამყვანმა იმ ორ აქცენტზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც შედეგების ნაწილობრივი გასაჯაროვებით მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა შესთავაზა აუდიტორიას. კერძოდ, წარდგინებაში აღინიშნა:

> "ქართულმა ოცნებამ შიდა კვლევის თავდაპირველად გასაჯაროვება არ ისურვა, მაგრამ საზოგადოებამ 2 მთავარი აქცენტის შესახებ მაინც შეიტყო: 1. მმართველი პარტიის მხარდაჭერთა რაოდენობა "ნაციონალური მოძრაობისას" 2-ჯერ აღემატება. 2. დაახლოებით ასეთივე სურათია ლიდერების მონაცემებშიც - გიორგი კვირიკაშვილი ლიდერობს.

ყველა კადრს გასდევს წარწერა: „ქართული ოცნების" შიდა კვლევა. მონაცემების მიხედვით მმართველ გუნდს 35% აქვს, "ნაციონალურ მოძრაობას" - 13%-მდე".

ჩართვაში პირველ რიგში წარმოდგენილია პასუხი კითხვაზე: "თქვენი აზრით, პრემიერ მინისტრის პოზიციაზე ვინ უფრო მოახერხებს არსებული პრობლემების მოგვარებას?" აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხად როგორც ვერბალურად, ასევე გრაფიკულად მხოლოდ ერთი მონაცემია წარმოდგენილი: 41% გიორგი კვირიკაშვილს, მოქმედ პრემიერს უჭერს მხარს.

მანიპულაციურად იყო წარმოდგენილი მეორე შეკითხვაც. კერძოდ გრაფიკულ გამოსახულებაში კითხვა სრული სახით იყო მოცემული: თქვენი არჩევანის მიუხედავად, როგორ ფიქრობთ, რომელი პარტია მიიღებს ყველაზე მეტ ადგილს პარლამენტში? ჟურნალისტმა კი ჩართვაში კითხვის პირველი ნაწილი "თქვენი არჩევანის მიუხედავად" საერთოდ გამოტოვა, რაც არსებითი დეტალია საზოგადოების განწყობების სწორად შესაფასებლად. აღნიშული შეკითხვის პასუხიც ნაწილობრივ არის მოცემული: 65% ფიქრობს, რომ "ქართული ოცნება".

სელექციური ფორმით კვლევის შედეგების გაშუქება, ასევე კითხვების ზუსტი ფორმულირების გარეშე გადმოცემა შეცდომაში შემყვანია, მით უფრო, როცა არც სავარაუდო ცდომილება, არც გადაუწყვეტელი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია ან სხვა ისეთი არსებითი დეტალია წარმოდგენილი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს შედეგზე.

წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისათვის კანონმდებლობით დადგენილი 11 სავალდებულო რეკვიზიტიდან "იმედს" მხოლოდ 3 - დამკვეთი, შემსრულებელი და კითხვების ზუსტი ფორმულირება აქვს მითითებული, თუმცა ეს უკანასკნელი ნაწილობრივ.

## 3.4. მაესტრო

მაესტროს შესახებ: რუსთავი 2-ის საკუთრებითი დავის გარდა, არჩევნების წინ - 2015 წლის ბოლოს და 2016 წლის დასაწყისში - ფინანსურ და წილების გადანაწილებასთან დაკავშირებით დაპირისპირება ტელეკომპანია "მაესტროს"[15] მენეჯმენტსა და მფლობელებს შორის წარმოიშვა. 2016 წლის თებერვალში არხის წილების კონფიგურაცია ერთ-ერთი მესაკუთრის, გიორგი გაჩეჩილაძის სასარგებლოდ შეიცვალა, რომელმაც შპს „სტუდია მაესტროს" ორი თანამფლობელისგან 15-15% წილები გამოისყიდა და საკონტროლო პაკეტის (55%) მფლობელი გახდა. არხის გენერალურ დირექტორად თებერვალშივე გიორგი გაჩეჩილაძის ძმა, ლევან გაჩეჩილაძე დაინიშნა, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. მენეჯმენტსა და მფლობელებს შორის დავის დროს გასაჯაროვდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტელეკომპანია "იმედის" ამჟამინდელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე "მაესტროს" წილების შეძენას ცდილობდა, თუმცა ფასის გამო გარიგება ვერ შედგა. 2016 წლის იანვარში ასევე ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანია „მაესტროსა" და GDS-ის სარეკლამო დროს ტელეკომპანია „იმედი" გაყიდდა[16]. საქართველოს მონაცემებით, 2015 წელს "მაესტრო" ბაზარზე რეიტინგებით მე-3 ადგილს იკავებდა. მისი საშუალო რეიტინგი (AMR) 1, 18%, ხოლო წილი (SHR) 6, 27% იყო.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. 4 თვის (1 აპრილი - 31 ივლისი) მონიტორინგის თანახმად, პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებების საერთო მონაცემებში (1458 მასალა) ტელეკომპანიამ ყველაზე დიდი ადგილი მთავრობას (34,4%) და „ქართულ ოცნებას" (22,5%) დაუთმო, რაც ჯამურად თითმის 57%-ია. სხვა პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (13,2%) "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" აქვს, რომელსაც

[15] MediaMeter, MDF, მაესტრო. http://mediameter.ge/ge/media-profiles/maestro
[16] მედიის განვითარების ფონდი, მედიის თავისუფლება 2015, მედია საკუთრება, თავი 3. http://mediameter.ge/ge/research/mediis-tavisupleba-2015

"რესპუბლიკური პარტია" (5,1%), "თავისუფალი დემოკრატები" (4,2%) და ახალი პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პაატა ბურჭულაძე) (2,3%) მოსდევს.
"ეროვნულ ფორუმსა" (1,8%) და "პატრიოტთა ალიანსს" (1%) სხვა კვალიფიციური სუბიექტები ჩამორჩებიან და მათი გაშუქება 1%-ზე ნაკლებია: „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ (0,9%), "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (0,8%), "კონსერვატიული პარტია" (0,7%). "სახელმწიფო ხალხისათვის" გარდა, დაბალია სხვა ახლად დაფუძნებულ პატიების ხვედრითი წილი: "გირჩი" (0,8%), "ახალი საქართველო" (0,6%) და "თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის" (0,5%) .

არასაპარლამენტო ოპოზიციაზე მთლიანი გაშუქებიდან 2,7% მოდის, ყველა იმ სხვა პარტიის მაჩვენებელი, რომელიც “სხვაში” გვაქვს გაერთიანებული, ჯამურად 6,8%-ია.

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის წილი მთლიან გაშუქებაში 6%-ია, ცესკოს კი - 0,4%.

დიაგრამა 3.4.1 პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, მაესტრო




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. მაესტრო როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქების ფორმით ყველაზე დიდ ადგილს მთავრობასა და "ქართულ ოცნებას" უთმობდა. ამასთან, მთავრობის პირდაპირი გაშუქება (37,6%) ირიბს (30,5%) აღემატება, ხოლო "ქართული ოცნების" შემთხვევაში ირიბს (24,3%) მცირედი უპირატესობა აქვს პირდაპირზე (21%). "ნაციონალური მოძრაობის" შემთხვევაში კი ირიბსა (16,8%) და პირდაპირ გაშუქებას (10,3%) შორის სხვაობა “ უფრო დიდია.

პირდაპირი გაშუქება აღემატება ირიბს პრეზიდენტის (პირდაპირი 6,5%, ირიბი-5,2%), "რესპუბლიკური პარტიის" (პირდაპირი 5,5%, ირიბი 4,7%), "თავისუფალი დემოკრატების" (პირდაპირი 4,9%, ირიბი 3,3% ), "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" (პირდაპირი 1,1%, ირიბი 0,5%), "ეროვნული ფორუმის" (პირდაპირი 1,9%, ირიბი 1,6), "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (პირდაპირი 0,8%, ირიბი 0,7%), "კონსერვატიული პარტიის" (პირდაპირი 0,9%, ირიბი 0,5%) შემთხვევაში.

ახალი პოლიტიკური სუბიექტებიდან პირდაპირი ფორმით ყველაზე მეტი მონაცემი პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში ირიბი (2,8%) აჭარბებს პირდაპირს (1,9%). სხვა პარტიების შემთხვევაში განსხვავებები უმნიშვნელოა, ან საერთოდ არ იკვეთება.

დიაგრამა 3.4.2 პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, მაესტრო




**კონტენტის ტონი სუბიექტების გაშუქებაში.** ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით მაესტრომ ახალი პოლიტიკური სუბიექტი “გირჩი” (95%), "რესპუბლიკური პარტია' (91%), არასაპარლამენტო ოპოზიცია (89%), პრეზიდენტი (88%), "თავისუფალი დემოკრატების" (85%) და "პატრიოტთა ალიანსი" (84%) გააშუქა.

გაშუქების ყველაზე მაღალი ნეგატივი (25%) 'ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზ'ე მოდის და ეს მონაცემი პოზიტიურის წილს (9%) აღემატება. ნეგატიური კონტენტის ტონი პოზიტიურთან შედარებით ასევე მეტი იყო შემდეგ შემთხვევებში: "პატრიოტთა ალიანსი" (ნეგატიური 10%, პოზიტიური 6%), "რესპუბლიკური პარტია" (ნეგატიური 6%, პოზიტიური 3%).

პოზიტიური გაშუქება აღემატება ნეგატიურს შემდეგ შემთხვევებში: "ქართული ოცნება" (პოზიტიური 18%, ნეგატიური 15%); მთავრობა (პოზიტიური 15%, ნეგატიური 9%); "თავისუფალ დემოკრატები" (პოზიტიური 11%, ნეგატიური 4%); "ეროვნული ფორუმი" (16%, ნეგატიური 2%); პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პოზიტიური 24%, ნეგატიური 5%), "გირჩი" (პოზიტიური 4%, ნეგატიური 1%).

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, ის უფრო ნეგატიურად (7%) შუქდება, ვიდრე პოზიტიურად (4%).

დიაგრამა 3.4.3 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება – კონტენტის ტონი, მაესტრო




**სუბიექტების წილი ტელევიზიის დადებით და ნეგატიურ კონტენტში.** მაესტროს პოზიტიურ კონტენტში ყველაზე მაღალი წილი უკავია მთავრობას (40,7%) და "ქართული ოცნებას" (31,2), რაც ჯამურად 71,9%-ს შეადგენს. "ნაციონალური მოძრაობის" წილი პოზიტიურ კონტენტში (9,4%), ნეგატიურ კონტენტში წილს (28,3%) საგრძნობლად ჩამოუვარდება და ის თითქმის "ქართული ოცნების" ნეგატიურის წილის (28,6%) იდენტურია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და მთავრობის მონაცემზე 2%-ით დაბალია (26, 5%).

პრეზიდენტის წილი პოზიტიურ გაშუქებაში (2,3%) ნეგატივზე დაბალია (3,6%), ისევე როგორც "რესპუბლიკელების" შემთხვევაში (პოზიტივში 1,2%, ნეგატიურ კონტენტში – 2,5%), საპირისპირო

სიტუაციაა "თავისუფალი დემოკრატების" შემთხვევაში, რომელთა წილი პოზიტიურ კონტენტში (3,5%) ნეგატივთან (1,4%) შედარებით მაღალია.

მაღალია ახალი პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პაატა ბურჭულაძე) წილიც (4,2%) პოზიტიურ კონტენტში, ხოლო ნეგატივში ეს მონაცემი - 0.9%-ია.

სხვა პარტიებს ჯამურად პოზიტიურ კონტენტში 4.1 % აქვთ, ნეგატიურში კი - 6,3%.

დიაგრამა 3.4.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი ტელევიზიის პოზიტიურ და ნეგატიური ტონის კონტენტში - მაესტრო




## თვისებრივი მონაცემები

მაესტროს მთავარი საინფორმაციო გამოშვება პოლიტიკურ სუბიექტთა ფართო სპექტრს ასახავს. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება ფაქტობრივი სიზუსტის, ბალანსისა და მიკერძოების შემთხვევები. რამდენიმე შემთხვევაში ტაბლოიდურ მედიაზე დაყრდნობით მომზადებული მასალები ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ სათანადო გადამოწმების გარეშე გაშუქდა.

**ფაქტობრივი სიზუსტე/მიკერძოება.** 22 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს ინციდენტი მოხდა, რა დროსაც ქართული ოცნების მხარდამჭერთა ჯგუფი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ფიზიკურად გაუსწორდა[17]. მაესტროს 22 მაისის საღამოს საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი „ინციდენტი კორცხელში“ (20:01) იწყება წამყვანის წარდგინებით იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება დაიწყო, თავად მომხდარის აღწერისას კი წამყვანი აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები, ქართული ოცნების მხარდამჭერები და აქტივისტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მომხდართან დაკავშირებით ურთიერთსაპირისპირო ბრალდებები ისმის და საქმეს „დაშავებული მხარეები“ ჰყავს. თავად სიუჟეტის ჩართვაში ჟურნალისტიც და შემდგომ საავადმყოფოს ექიმიც „ნაციონალური მოძრაობის “წარმომადგენლების ჰოსპიტალიზაციაზე საუბრობენ. „ქართული ოცნების“ დაშავებული აქტივისტები კი საქმეში არც 22 მაისს, არც შემდგომ დღეებში ფიგურირებენ.

ამასთანავე, ჟურნალისტის ჩართვაში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სიტუაციის დაძაბვა მას შემდეგ მოხდა, რაც “ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და სპორტსმენები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ”. კადრებიდან კი ჩანს ოპოზიციური პარტიის ლიდერებზე ფიზიკური თავდასხმის სცენები. არ არის აღნიშნული, თუ როგორც დაიწყო ფიზიკური დაპირისპირება. სიუჟეტში მხოლოდ პრეზიდენტის პრეს-სპიკერის კომენტარებში არის აღნიშნული, რომ ვიდეოკადრებიდან ინციდენტში ორგანიზებული ჯგუფისა და სპორტსმენების მონაწილეობა ივარაუდება. მხოლოდ პრეზიდენტის სპიკერის ტექსტშია ასევე საუბარი ჟურნალისტთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე.

[17] სამართლიანი არჩევნები, 2016 წლის 8 ოქტომბრის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება.(გვ5)

მიკერძოებულია ასევე ჟურნალისტის კომენტარი, სადაც ის პოლიციის უმოქმედობის გამართლებას ცდილობს და აღნიშნავს, რომ “უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული რამდენიმე პოლიციელი სიტუაციის განმუხტვას შეეცადა, თუმცა სიმცირის გამო პრევენციული ღონისძიებების გატარება ვერ შეძლეს”. სიუჟეტიდან არ ჩანს, რამდენი პოლიციელი იმყოფებოდა ადგილზე და მოახდინეს თუ არა სამართალდამცავებმა ოპოზიციის შეტყობინებების უგულვებელყოფა, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი კომენტარში აცხადებს.

ბალანსი/მიკერძოება. ახალი პოლიტიკური სუბიექტის “სახელმწიფო ხალხისათვის” ლიდერის პაატა ბურჭულაძის შესახებ “მაესტროს” მიერ მომზადებული 2 მასალა ტაბლოიდურ გამოცემებს - "მარშალპრესსა" და "პრაიმ-თაიმს" - ეყრდნობა.

2 ივნისის სიუჟეტი „ბურჭულაძის ქონება“ (20:14 წუთი) საინფორმაციო სააგენტო „მარშალპრესზე“ დაყრდნობით მომზადდა, რომელიც, თავის მხრივ, ტელეკომპანია “ობიექტივის” თოქ-შოუს წამყვანის, ბონდო მძინარიშვილის ფეისბუქ სტატუსს ეყრდნობა. იმისდა მიუხედავად, რომ “მარშალპრესზე” გამოქვეყნებული მასალა სააგენტოს მიერ არ არის მოძიებული და გადამოწმებული, სატელევიზიო სიუჟეტის ავტორი აღნიშნავს, რომ “მარშალპრესმა” პაატა ბურჭულაძეს ქონება დაუთვალა, ხოლო პუბლიკაცია საჯარო რეესტრის ათობით დოკუმენტს ეფუძნება. კადრში ჩანს „მარშალპრესის“ სტატიის სათაური: „არიგებდა, ირიგებდა, ირგებდა“[18].

სატელევიზიო სიუჟეტში არ არის გადამოწმებული, თუ რამდენად რეალურია ფეისბუქ სტატუსში მოყვანილი ფაქტები, რომ ბურჭულაძე ათეულობით ქონებას ფლობს და რას ასახავს თანდართული საჯარო რეესტრის დოკუმენტები. ბალანსი ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მოყვანილია მხოლოდ პაატა ბურჭულაძის კომენტარი, რომელიც აღნიშნავს, რომ არც მისი პირადობის მოწმობა, არც სახელი და გვარი არ ემთხვევა მასალაში მოყვანილ მონაცემებს. რედაქციას არ გადაუმოწმებია არც ბურჭულაძის აღნიშნული განცხადება, არც მარშალპრესის მასალაში მითითებული საჯარო რეესტრის დოკუმენტები, რომელთაგან ზოგიერთი რამდენჯერმე განმეორებით არის ატვირთული. სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული საჯარო რეესტრის ერთ-ერთი დოკუმენტი კი არა საკუთრების ფლობას, არამედ თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან იჯარით სარგებლობის შემთხვევას ასახავს.


განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882010888127 თარიღი 19/11/2010 14:51:00

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/11/2010

მოიჯარე: პაატა ბურჭულაძე P/N: 01010004060;
მესაკუთრე: ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული;
საგანი: მიწის დამუსტვებული ფართობი 2.00 კვ.მ;
ვადა: 14 წელი;

ბრძანება N01-4/65, დამოწმების თარიღი08/11/2010, სსიპ " ქონების მართვის სააგენტო"

საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხის შემდეგ სიუჟეტის გაშლა სრულიად სხვა მიმართულებით - ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირების შესახებ ურთიერთბრალდებებზე - ხდება.

მაესტროს 25 ივლისის მეორე სიუჟეტი - „იავნანამ რა ჰქმნა“ (20:10 წუთი), რომელიც ასევე პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ არის მიმართული, გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ სტატიას ეფუძნება. თავის მხრივ, “პრაიმ ტაიმის” პუბლიკაცია უცნობ წყაროზე დაყრდნობით არის მომზადებული, სიუჟეტში კი აღნიშნულია, რომ გაზეთისთვის ოფიციალურად დაუდასტურებელი ინფორმაციის მიხედვით, იავნანაში ჩარიცხული 9 მილიონი ლარიდან ქველმოქმედებას მხოლოდ 3 მილიონი მოხმარდა. სიუჟეტში მოყვანილია პაატა ბურჭულაძის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდ “იავნანას” წარმომადგენლის კომენტარები. ჟურნალისტი სარედაქციო ტექსტში კი აღნიშნულია შემდეგი:

> “იავნანა ადასტურებს, რომ ბოლო წლის განმავლობაში 5 769 406 ლარის შემოწირულობა მიიღეს, აქედან ადრესატებამდე 4 850 343 ლარი მივიდა.”

სიუჟეტში ყურადღება არ არის გამახვილებული შეუსაბამობაზე ერთი მხრივ პრაიმ ტაიმის მონაცემებსა (9 მილიონიდან 3 მილიონამდე მოხმარდა ქველმოქმედებას) და მეორეს მხრივ, ჟურნალისტის მიერ ზემოთმოყვანილ ციფრებს შორის, ამასთანავე არ არის განმარტებული, რას მოხმარდა სხვა თანხები. სიუჟეტი არ სცემს პასუხს წამყვანის მიერ წარდგინებაში დასმულ შეკითხვას - მივიდა თუ არა ქველმოქმედებისთვის გადარიცხული თანხები ადრესატამდე? და აღვივებს დამატებით ეჭვებს.

ბალანსი/სიზუსტე/მიკერძოება. 14 ივნისს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმეზე მაესტრომ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 2 სიუჟეტი მიუძღვნა (20:17 წუთი). პირველი უშუალოდ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, მეორე კი ვანო მერაბიშვილის წარსული საქმიანობის ნეგატიურ ასპექტებს შეეხებოდა. პირველი სიუჟეტის წარდგინებისას წამყვანი აქცენტს აკეთებს არა იმ მუხლის დარღვევაზე, რომელშიც ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლება დამნაშავედ ცნო, არამედ იმ 2 მუხლზე, რომელზეც დარღვევა არ დადგინდა. კერძოდ, სიუჟეტის ქუდში წამყვანი აცხადებს:

[18] მარშალპრესი, 1 ივნისი, http://marshalpress.ge/archives/40682

> "ევროსასამართლოსმიერ გავრცელებულ პრესრელიზში წერია, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინასწარი პატიმრობა იყო სრულიად კანონიერი და დასაბუთებული".

აღნიშნული შეფასება ნაწილობრივ არის სწორი, რადგან სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა ვერ იპოვა 2013 წლის მაისში მერაბიშვილისთვის წინასწარ პატიმრობის თავდაპირველი შეფარდების დროს, თუმცა ოთხი თვის თავზე მისი წინასწარ პატიმრობაში დატოვება გონივრულ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია, რის გამოც ხელისუფლებას კონვენციის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტის დარღვევა დაუდგინა.

სიუჟეტში არასრულყოფილად არის მოწოდებული ასევე ინფორმაცია მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და საუბარია მხოლოდ მერაბიშვილის ციხიდან სავარაუდო გაყვანის გამოძიებაზე. არ არის აღნიშნული განაჩენის დასაბუთების ის არსებითი ნაწილი, სადაც ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა არა მხოლოდ იმისთვის იყო გამოყენებული, რომ ის სხვადასხვა დანაშაულთან დაკავშირებით „გონივრული ეჭვის" საფუძველზე პასუხისგებაში მიეცათ, არამედ „როგორც დამატებითი შესაძლებლობა ბერკეტის მოსაპოვებლად" იმ გამოძიებებთან მიმართებაში, რომლებიც სხვა საქმეებზე მიმდინარეობდა, მათ შორის ექს–პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი პირველი სიუჟეტის ჩართვაში აღნიშნავს, რომ ევროსასამართლოს მერაბიშვილის მიმართ წაყენებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არ უმსჯელია და მხოლოდ მისი უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა, მეორე სიუჟეტი მთლიანად იმ საქმეებს ეძღვნება, რომლებიც ვანო მერბიშვილის წინააღმდეგ როგორც სამართლებრივად, ასევე საჯარო დისკურში ფიგურირებს. სიუჟეტი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის და ყოფილი პრემიერის საქმიანობის მხოლოდ ნეგატიურ ასპექტებს ეძღვნება, ხოლო წამყვანი მეორე სიუჟეტის წარდგინებისას შემდეგს აცხადებს:

> „კონკრეტული პოლიტიკოსები ამბობენ, რომ თუ მერაბიშვილს ნებისმიერი მთავრობის პირობებში, ვინმე პოლიტპატიმრის სტატუსს მიანიჭებს, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე აღმოჩნდება".

თავად სიუჟეტში არ არის მოყვანილი შესაბამისი კომენტარი, სადაც რესპონდენტები სამოქალაქო დაპირისპირების შესაძლებლობაზე საუბრობენ. სიუჟეტი, რომელიც მთლიანად აგებულია ცალმხრივ ბრალდებებზე მერბიშვილის წინააღმდეგ და არ შეიცავს მეორე მხარის პოზიციას, სრულდება ჟურნალისტის კომენტარით, რომ ახლა ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, შეასრულებს თუ არა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას და გადაუხდის ვანო მერბიშვილს კომპენსაციას, თუ გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას. აღნიშნული პასაჟი მანიპულაციურია, რადგან ევროსასამართლოს მერაბიშვილის წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმეებზე და სიუჟეტში მოყვანილ ბრალდებებზე არ უმსჯელია და მხოლოდ 2 მუხლთან მიმართებაში მისი უფლებების ხელყოფა დაადგინა.

**საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება.** რუსთავი 2-ის მსგავსად, 14 აპრილს ტელეკომპანია „მაესტრომაც" გააშუქა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" მიერ გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები (20:17წუთი), რომელიც სააგენტოს მტკიცებით, ქართული ოცნების დაკვეთით ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება სიუჟეტში ამ კვლევების რეალურობას უარყოფდა, სააგენტოზე დაყრდნობით "მაესტრომ" ეს მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტების მითითების გარეშე გააშუქა. სიუჟეტში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც მის რეალურობას დაადასტურებდა და, შესაბამისად, გამოქვეყნებასაც გაამართლებდა.

უფრო მეტიც, ტელევიზიამ „საკუთარ ინფორმაციაზე დაყრდნობით", „სხვა პოლიტიკური პარტიის" კვლევის შედეგები მოიყვანა, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებ დამაჯერებელია, ვიდრე "ჯი-ეიჩ-ენის" კვლევა, რადგან ინკოგნიტო პარტიას და წყაროს ეფუძნება. კვლევიდან მოწოდებული იყო მხოლოდ „ქართული ოცნების", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და „თავისუფალი დემოკრატების" პოლიტიკური რეიტინგების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული იყო, რომ "ქართულ ოცნებას" მონაცემების გაუმჯობესების პერსპექტივა ჰქონდა, ისევე როგორც ირაკლი ალასანიას პარტია "თავისუფალ დემოკრატებს" გაორმაგების.

კანონმდებლობის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში მედია საშუალების მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევა „უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების შემდეგ", რაც „ჯი-ეიჩ-ენის" კვლევის გაშუქების დროს მაესტროს მიერ დაცული არ ყოფილა.

5 ივნისს ტელეკომპანია მაესტრომ "ჯი-ეიჩ-ენზე" დაყრდნობით ქართული ოცნების ე.წ. კიდევ ერთი შიდა კვლევის შედეგები გამოაქვეყნა (20:06 წუთი). სიუჟეტში მითითებულია, რომ კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდს ეფუძნებოდა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კანონის მიზნებისთვის საზოგადოებრივი აზრის კვლევა სხვა მოთხოვნებთან ერთად შემდეგ პირობასაც უნდა აკმაყოფილებდეს: „არ უნდა ჩატარდეს ტელეფონის, ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით".

# 3.5. GDS

**GDS-ის შესახებ:** ტელეკომპანია GDS[19] 2012 წლის ივნისში დაფუძნდა, თავდაპირველად შპს ვტვ-ს სახელწოდებით. მისი 100%-იანი წილის მფლობელი იმ ხანად ტელეკომპანია "მეცხრე არხის" ტექნიკური დირექტორი ვლადიმერ შენგელია იყო. 1 თვეში არხმა სახელწოდება და მფლობელი ერთდროულად შეიცვალა. GDS-ის 100%-იანი წილის მფლობელი ყოფილი პრემიერ მინისტრის ვაჟი ბერა ივანიშვილი გახდა. თავდაპირველად GDS სპეციალიზებული (შემეცნებითი) მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობდა, თუმცა 2015 წელს ლიცენზიის მოდიფიცირების შედეგად საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წარმოების უფლება მოიპოვა. გადაცემა 20/30-ის მიზნად, რომელსაც საწყისს ეტაპზე ბიძინა ივანიშვილი უძღვებოდა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და რუსთავი 2-ის პროპაგანდის განეიტრალება დაასახელა. ივანიშვილის ოჯახი, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე 2012 წლიდან ტელეკომპანია "მეცხრე არხში" 80% წილს ფლობდა. არხი არჩევნების შემდეგ 8 თვეში დაიხურა. TVMR-ის მონაცემებით, GDS-ის 2015 წლის საშუალო წლიური რეიტინგი (AMR) 0,55%, ხოლო წილი (SHR) 2,92%-ია.

## რაოდენობრივი მონაცემები

**მთლიანი გაშუქება.** GDS-ის 4 თვის (1 აპრილი-31 ივლისი) მონიტორინგის თანახმად, ტელეკომპანია პრაიმ-ტაიმის საინფორმაციო გამოშვებაში (752 სიუჟეტი) ყველაზე დიდ ადგილს მთავრობას (41,1%) და ქართულ ოცნებას" (20,7%) უთმობდა, რაც ჯამურად 61,8%-ია.

კვალიფიციურ პარტიებიდან საერთო გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (15,7%) "ნაციონალურ მოძრაობას" აქვს, მას ჩამორჩებიან "რესპუბლიკელები" (4,2%), "თავისუფალი დემოკრატები" (3,7%) და „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" (1,2%). სხვა პარტიების ჯამური გაშუქება სულ 5,3%-ია, საიდანაც კვალიფიციურ პარტიების მაჩვენებელი ასეთია: "კონსერვატორები" - 0,9%, "ეროვნული ფორუმი" - 0,7%, "პატრიოტთა ალიანსი" - 0,5%, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 0,4 % და "ლეიბორისტული პარტია" - 0,3%.

ახლადშექმნილი პარტიებიდან გირჩს -1,4%, ხოლო „სახელმწიფო ხალხისთვის 1% აქვთ.
ინსტუტებიდან პრეზიდენტის წილი მთლიან გაშუქებაში 4,6%-ია, ხოლო ცესკოსი - 0,7%-ია.

დიაგრამა 3.5.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, GDS




**პირდაპირი და ირიბი გაშუქება.** GDS-ზე მთავრობის და სახელისუფლებო პარტიის გაშუქებაში პირდაპირი ჭარბობს ირიბს, თუმცა არა დიდი სხვაობით: მთავრობა (პირდაპირი 42,5%, ირიბი 39,5%); "ქართული ოცნება" (პირდაპირი 21,7%; ირიბი 19,2%). „ნაციონალურ მოძრაობის" შემთხვევაში კი პირიქით, ირიბი (22,5%) 2-ჯერ აღემატება პირდაპირს (10,8%). ანალოგიური ვითარებაა პრეზიდენტის და "სახელმწიფო ხალხისთვის" შემთხვევაში, თუმცა, შედარებით მცირე მოცულობითა და განსხვავებით: პრეზიდენტი (ირიბი 5,7%, პირდაპირი 3,7%); "სახელმწიფო ხალხისთვის' (ირიბი 1,5%, პირდაპირი 0,7%).

[19] MediaMeter, MDF http://mediameter.ge/ge/media-profiles/gds-tv

სხვა სუბიექტების შემთხვევაში, როგორც დიაგრამა 3.5.2.-დან ჩანს, სურათი ერთგვაროვანია და ძირითადად პირდაპირი აჭარბებს ირიბს.

დიაგრამა 3.5.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, GDS



კონტენტის ტონი სუბიექტების გაშუქებაში. GDS-ზე აბსოლუტური ნეიტრალური გაშუქება (100%) ახალ პოლიტიკურ გაერიანება “გირჩს” და "დემოკრატიულ მოძრაობა ერთიან საქართველოს" აქვს. სხვა სუბიექტების გაშუქებაც ძირითადად ნეიტრალურია, თუმცა გამონაკლისია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", სადაც ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (27%) და დაბალი (2%) პოზიტიური მაჩვენებელი გამოიკვეთა. ნეგატივის მხრივ "ნაციონალურ მოძრაობას" მოსდევენ ერთად გაერთიანებული სხვადასხვა პარტიები, რომელთა გაშუქებაც 1%-ს დაბლა იყო; სხვა პარტიების შემდეგ მოდის არასაპარლამენტო ოპოზიცია (9%), "ქართული ოცნება" (8%) და მთავრობა. ამავდროულად საერთო მოცულობიდან ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით არის გაშუქებული მთავრობა (11%) და "ქართული ოცნება“ (9%). ახალ პარტია “სახელმწიფო ხალხისათვის” და "რესპუბლიკელებს" ორივეს იდენტური 4%-იანი ნეგატიური ტონით გაშუქება აქვთ.

პრეზიდენტი შედარებით ნეიტრალურად არის გაშუქებული (პოზიტიური 1%, ნეგატიური 3%). კვალიფიციური პარტიებიდან პოზიტიურად არის გაშუქებული პარტია თავისუფალი დემოკრატები (5%-ით,ნეგატიური 2%).

100%-იანი ნეიტრალური კონტენტის ტონია გირჩთან და 100% ნეიტრალური ტონი პარტიასთან “დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“. "რესპუბლიკელებთან" უფრო ნეგატიურ კონტენტის ტონს ვხვდებით (4%, პოზიტიური 2%), ახლად დაფუძნებული პარტიებიდან ნეგატიური კონტენტის ტონით (4%) არის გაშუქებული პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“, რომელსაც ამავდროულად პრეზიდენტის მსგავსად მაღალი ნეიტრალური ტონი (96%) აქვთ.

დიაგრამა 3.5.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, GDS




სუბიექტების წილი ტელევიზიის დადებით და ნეგატიურ კონტენტში. GDS-ის პოზიტიური გაშუქების კონტენტში მთავრობას - 63,4%, "ქართული ოცნებას" - 24,7%, ჯამურად კი - 88,1% უკავიათ. ყველა სხვა სუბიექტზე პოზიტიური ტონის - 11,9 % მოდის. ამავე დროს ნეგატიურ გაშუქებაში მთავრობას - 25,2%, ხოლო "ქართულ ოცნებას" - 15,9% უკავიათ.

ნეგატიური კონტენტის ყველაზე მაღალი წილი ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე მოდის (43,5%), რაც თითქმის ორჯერ აღემატება მთავრობის (25,2%), ხოლო სამჯერ "ქართული ოცნების" (15,9%) მაჩვენებელს, ხოლო პოზიტიურში წილი 4,5%-ია. სხვა პარტიებთან შედარებით, მაღალია ასევე "ეროვნული ფორუმის" წილი ნეგატიურ კონტენტში (6,6%), პოზიტიურად კი სუბიექტი არ არის გაშუქებული.

1%-ზე დაბალი ნეგატივის მქონე კვალიფიციური და ახლადდაფუძნებული პარტიების ჯამური წილი ნეგატიურ კონტენტში - 3,1%-ია.

"თავისუფალი დემოკრატების" წილი პოზიტიური ტონის კონტენტში - 2,8%, ხოლო ნეგატიურში - 0,7%-ია.. "რესპუბლიკელების" წილს პოზიურ ტონში (1,2%) ნეგატივი მცირედით აღემატება (1,8%).

ახლადდაფუძნებული პარტიებიდან GDS-ზე პოზიტიური ტონის კონტენტში ტონით ყველაზე მეტი წილი პარტია „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“ (0,9%) ჰქონდა.

ერთ-ერთ ყველაზე დაბალია პრეზიდენტის პოზიტიურად გაშუქების ტონი (0,7%), ნეგატიური ტონის წილი კი - 1,5%-ი

დიაგრამა 3.5.4. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების კონტენტის პოზიტიური და ნეგატიური ტონი, GDS




## თვისებრივი მონაცემები

ტელეკომპანია GDS-ზე ბალანსი მთავრობისა და სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ არის გადახრილი, რაზეც შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებელიც მიუთითებს - GDS-ისპოზიტიური გაშუქების კონტენტში მთავრობას და სახელისუფლებო პარტიას ჯამურად 88,1% უკავიათ, ყველა სხვა პოლიტიკურ სუბიექტს, შესაბამისად, 11,9%. ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებაში გვხვდება ხელისუფლების და/ან ბიძინა ივანიშვილის კომპანიებთან დაკავშირებული საქმიანობის გაშუქება ბეგრაუნდისა და ალტერნატიული მოსაზრების გარეშე. ასევე იკვეთება ფაქტობრივ სიზუსტესთან და საზოგადოებრივი კვლევის გაშუქების სტანდარტთან დაკავშირებული სტანდარტების დარღვევაც.

ფაქტობრივი სიზუსტე/ტენდენციური გაშუქება. ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში 22 მაისს, შუალედური არჩევნების დროს მომხდარი ინციდენტი, როცა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა 20:30-მა 23 მაისს გააშუქა (20:38 წუთზე)[20]. სიუჟეტში აღნიშნულია, რომ „45 საარჩევნო უბნიდან ეს იყო ერთადერთი ინციდენტი, რომელიც შუალედური საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა“.

სიუჟეტში ინციდენტი ორმხრივი პასუხისმგებობის კონტექსტშია განხილული: ოპოზიციის ორი წარმომადგენელი ("ნაციონალური მოძრაობა", "თავისუფალი დემოკრატები") ხელისუფლების

[20] შაბათ-კვირას 20:30 ეთერში არ გადის.

პასუხისმგებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო მმართველი პარტიის წარმომადგენლები - "ნაციონალური მოძრაობის", რომელსაც ძალადობის პროვოცირებაში სდებენ ბრალს. სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ასევე "ქართული ოცნების" წევრი ლერი ხაბელოვი თავიანთ კომენტარებში ინციდენტში სპორტსმენების მონაწილეობას უარყოფენ. მიუხედავად იმისა, რომ კადრებში ჩანან სპორსტმენები[21], ჟურნალისტი მმართველი გუნდის წარმომადგენელთა კომენტარებსა და დოკუმენტურ მასალას შორის ფაქტობრივ შეუსაბამობაზე არ საუბრობს.

სიუჟეტის ბოლოს აღნიშნულია, რომ 9 საარჩევნო უბნიდან 7-ში "ქართული ოცნების", 2-ში კი ერთიანი "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. სიუჟეტში დაზუსტებული არ არის, რომ ერთ-ერთი უბანი, სადაც ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა, სწორედ კორცხელი იყო, სადაც ინციდენტი მოხდა.

ტენდენციური გაშუქება/ბალანსი. 8 ივნისს GDS-მა ვერეს ხეობაში ერთი წლის წინ, 13 ივნისს სტიქიური უბედურების შემდეგ არსებულ ვითარებაზე (20:59 წუთი) სიუჟეტი მოამზადა, რომელიც მეტწილად თბილისის მერიის მიერ ხეობაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მოსახლეობისთვის გაწეულ დახმარებებს ეხება. ჟურნალისტი დაზარალებულთა უმრავლესობაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ “13 ივნისის სტიქიის დროს დაზარალებულთა უმრავლესობის განცხადებით, ისინი საცხოვრებელი ფართით და კომპენსაციით უკვე დააკმაყოფილეს”. აღნიშნულ განცხადებას კი ვაკის გამგებლის კომენტარი მოსდევს, რომელიც აღნიშნავს, რომ უმრავლესობა დაკმაყოფილებულია და მხოლოდ რამოდენიმე ადამიანს აქვს პრეტენზია კატეგორიებთან დაკავშირებით და საკუთრებითი დავა. გარდა იმისა, რომ ჟურნალისტს არ მოუყვანია არც სტატისტიკა, რამდენი დაზარალებულიდან, რამდენი დაკმაყოფილდა, სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი იმ ადამიანთა კომენტარები, ვისაც ფინანსურ და მატერიალურ კომპენსაციასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიმართ პრეტენზია აქვს. ჩაწერილია მხოლოდ 2 დაზარალებული, რომლებიც 1 წლის წინ არსებულ ვითარებას აღწერენ. სიუჟეტში ასევე არც იმ არასამთავრობორ ორგანიზაციათა კომენტარებია წარმოდგენილი, რომლებიც პროცესს მონიტორინგს უწევდნენ (42-ე მუხლი) და დაზარალებულთა უფლებების ადვოკატირებას ახდენენ (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია). სიუჟეტის მეორე ნაწილში აქცენტი განხორციელებულ და სამომავლო სარეკრეაციო პროექტებზე კეთდება.

ტენდენციური გაშუქება/ბალანსი. ბეგრაუნდის და ალტერნატიული შეფასებების გარეშე აშუქებს GDS თანაინვესტირების ფონდის მიერ  დაფინანსებულ პროექტებს, რომლის დამფუძნებელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია.

მაგალითად, 25 მაისს (20:32 წუთზე) საინფორმაციო სამსახურმა პირველ სიუჟეტად თანაინვესტირების პროექტების შესახებ მასალა მოამზადა. „ახალი ინვესტიცია საქართველოში. მშენებარე სამი სასტუმრო მარიოტის უმაღლესი კლასის „ავტოგრაფ ქოლექშენის“ ბრენდის ქვეშ ერთიანდება.  იგულისხმება თანაინვესტირების ფონდის მიერ დაფინანსებული სასტუმრო თავისუფლების მოედანზე და სოლოლაკში, ასევე შეკვეთილში. პროექტის ჯამური ღირებულება 265 მილიონი დოლარია“. - ასე წარადგინა პროექტები წამყვანმა.

სიუჟეტში წარმოდგენილია საქართველოს პრემიერის, მარიოტის წარმომადგენლის, თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და თბილისის მერის სინქრონები, რომლებიც პროექტებს დადებითად აფასებენ.  თბილისის მერი კი დადებით მხარეებთან ერთად ხაზს უსვამს, რომ: „ეს არის პროექტები, რომლებსაც მხოლოდ დადებითი მხარე აქვს“.

სიუჟეტში არაფერია ნათქვამი იმ სამოქალაქო პროტესტზე, რომელიც ერთ-ერთი პროექტის „პანორამა თბილისის“ ფარგლებში სოლოლაკში მშენებარე სასტუმროს უკავშირდება და რომლის გამო გარემოსდამცველებმა არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს.

ბალანსი/ფაქტობრივი სიზუსტე/წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებული საქმეების გაშუქება. ტელეკომპანია GDS-ზე 752 მასალიდან 54 ძველი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ წარმოებულ სამართლებრივ საქმეებს მიუძღვნა. მათგან მხოლოდ ივლისში 21 საინფორმაციო გადაცემაში 17 მასალა გავიდა. საქმეების გაშუქების პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ხშირად არ არის წარმოდგენილი მოპასუხე მხარის პოზიცია, ან მოპასუხე მხარის პოზიციის წარმოუდგენლობა ახსნილია მათ მიერ კომენტარზე უარით, მაგალითად:

26 აპრილს გადაცემის ანონსიც, და შემდგომ სიუჟეტი „ცინდელიანის მოთხოვნა“ (20:38 წუთზე) მიეძღვნა ე.წ. 2006 წლის 27 მარტის ციხის ბუნტს ორთაჭალის მე-5 საპყრობილეში, როდესაც პატიმრების დაუმორჩილებლობას ციხის ადმინისტრაციისადმი 7 პატიმრის მსხვერპლი მოჰყვა.10 წლის შემდეგ ყოფილი პატიმარი ლევან ცინდელიანი საგამოძიებო უწყებებს მომხდარის ხელახლა გამოძიებას სთხოვს. ცინდელიანი აცხადებს, რომ ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა და სხვა მაღალჩინოსნები მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ და ციხის ბუნტის დაგეგმვის აღიარებას სთხოვდნენ. მას მიაჩნია, რომ საქმეში ბრალდებულებისთვის წარდგენილი ბრალი მსუბუქია და ჩადენილ მძიმე დანაშაულს არ შეესაბამება.

სიუჟეტში მოყვანილია მცირე ამონარიდი მიხეილ სააკაშვილის სიტყვებიდან, რომელშიც იგი ამბობს, რომ ციხეს „კანონიერ ქურდებს“ არ ამართინებს“.  სიუჟეტში არ ჩანს კანონიერი ქურდების რა როლზე შეიძლება იყოს საუბარი აღნიშნული ბუნტის შემთხვევაში, არც ისაა ნათქვამი, თუ როგორი იყო ამ საქმის

[21] მაგალითად ვლადიმერ გეგეშიძე - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე სპორტსმენი - საქართველოს ნაკრების წევრი კობა ტყეშელაშვილი, რომელიც საქართველოს შერეული ორთაბრძოლის ფედერაციის დამფუძნებელია და სხვები.

გამოძიების შედეგები თავდაპირველად. სიუჟეტში მოწოდებულია მხოლოდ ერთი მხარის ვერსია და აღნიშნულია, რომ როგორც ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა, ასევე პროკურატურამაც კომენტარზე უარი განაცხადა.

15 ივნისს (20:51 წუთზე) ტელეკომპანია GDS-მა სიუჟეტის ფორმატით გააშუქა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ; ნაჩვენებია კითხვა, რომელიც პროცესზე მხარის ადვოკატმა დაუსვა მოწმეს. აღნიშნულ კითხვას პასუხი არ გასცა ირაკლი ოქრუაშვილმა, თუმცა ამ კითხვის საპასუხოდ ჟურნალისტს ჩაწერილი ჰყავს პროკურორი. სააკაშვილის ადვოკატის კომენტარი, მიუხედავად იმისა, რომ იგი პროცესს ესწრებოდა, წარმოდგენილი არ არის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქების სტანდარტი. 29 ივლისს GDS-მა (20:46 წთზე) ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გააშუქა. კვლევის წარდგინებაში წამყვანმა გამოკითხვის მიმართ პოლიტიკურ სპექტრში არსებულ უნდობლობაზე გაამახვილა ყურადღება. ამასთანავე შერჩევით დაანონსა გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ "გამოკითხულთა უმრავლესობა ისევ "ქართული ოცნებისთვის" გეგმავს ხმის მიცემას, ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა არასოდეს მისცემს ხმას ნაციონალურ მოძრაობას". ორ სხვადასხვა შეკითხვაზე პასუხების დაანონსებით წამყვანმა ხაზი გაუსვა, "ქართული ოცნების" უპირატესობას და "ნაციონალური მოძრაობის" მიუღებლობას. ამასთანავე შეკითხვაზე - "რომელ პარტიას არ მისცემდით ხმას არასოდეს?" — 21% "ნაციონალური მოძრაობა", ხოლო 19%-მა "ქართული ოცნება" დაასახელა. აღსანიშნავია ისიც, რომ 3%-იანი სხვაობის პირობებში კვლევის ცდომილება +/- 2,1% იყო.

28 ივნისს (20:44 წუთზე) სიუჟეტი „ვის დაუკვეთა რუსთავი 2-მა კვლევა?!" რუსთავი 2-ის დაკვეთით გერმანულ-ამერიკული ორგანიზაცია GFK-ს მიერ ჩატარებული კვლევას შეეხებოდა. სიუჟეტში მოყვანილია მხოლოდ ერთი კითხვის პასუხი: „თუ ჩავთვლით, რომ 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობთ, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?" კადრში ჩანს პასუხი კითხვებზე, რომლის მიხედვითაც, "ქართულ ოცნებას" ხმას გამოკითხულთა 22,4 %, "ნაციონალურ მოძრაობას" კი 21,7 % მისცემდა.

ამ კითხვაზე პასუხის შემდეგ კი კადრში ჩანს „პარტიული რეიტინგები", რომლის მიხედვითაც „ქართულ ოცნებას" - 30,5% აქვს, ერთიან "ნაციონალურ მოძრაობას" კი - 28,2%. კადრში არ ჩანს, თუ რომელ კითხვაზეა გაცემული ეს პასუხი.

ამასთან, სიუჟეტში საუბარია მხოლოდ კვლევის ჩამტარებელ კომპანია GFK-ს რეპუტაციასთან დაკავშირებულ პრობლემურ კითხვებზე. როგორც სიუჟეტშია ნათქვამი, კვლევა „კითხვებს უჩენს ანალიტიკოსებს".

კვლევის მეთოდოლოგია, ჩატარების დრო, ცდომილების ზღვარი დასახელებული არ არის.

## 3.6. ტაბულა

ტაბულას შესახებ: ტელეკომპანია „ტაბულამ"[22] მაუწყებლობა 2013 წლის იანვრიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც 2012 წელს სატელევიზიო სიხშირე შეიძინა და კერძო მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო. ტელეკომპანია 2010 წელს ა(ა)იპ "სამოქალაქო განათლების ფონდმა" დააფუძნდა, როგორც ორგანიზაციის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, მემარჯვენე, ლიბერტარიანული მსოფლმხედველობის ბიზნესმენთა ფინანსური მხარდაჭერით. ტელეკომპანია ჟურნალ "ტაბულას" ბაზაზე შეიქმნა, რომელიც 2014 წლიდან აღარ გამოდის. TVMR საქართველოს მონაცემებით, 2015 წელს ტაბულას საშუალო წლიური რეიტინგი (AMR) 0,20% იყო, ხოლო წილი (SHR) 1,08% იყო.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. "ტაბულას" 4 თვის მონიტორინგი (1 აპრილი-31 ივლისი) აჩვენებს, რომ ტელევიზია, პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის თანაბარ დროს უთმობს მთავრობასა (27,7%) და „ქართულ ოცნებას" (27,4%), რაც ჯამურად - 55,1%-ია. "ქართული ოცნების" შემდეგ კვალიფიციური სუბიექტების ხვედრითი წილი მთლიან მაჩვენებლებში (774 სიუჟეტი) შემდეგნაირად გადანაწილდა: "ნაციონალური მოძრაობა" - 18,4%, "თავისუფალი დემოკრატები" - 5,8%, "რესპუბლიკური პარტია" - 5,4% და "ეროვნული ფორუმი" - 1,3%.

ახალ პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის" და არასაპარლამენტო ოპოზიციას თითოეულს 1,1% წილი აქვს, ხოლო ჯამურად 1%-ს ქვემოთ გაშუქებული სუბიექტების წილი, რომლებიც კატეგორიაში სხვა დაჯგუფდნენ, 3,5%-ს შეადგენს და შემდეგნაირად გადანაწილდა: "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - 0,6 %, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" - 0,5%, "კონსერვატორები" - 0,4%, "თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის" - 0,4, "ახალი საქართველო" - 0,3%, "ლეიბორისტული პარტია" - 0,3%, "პატრიოტთა ალიანსი" - 0,2%, დამოუკიდებელი დეპუტატები 0,6%.

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის წილი მთლიან გაშუქებაში 6,8%-ია, ცესკოს კი - 0,2%.

[22] Mediameter, MDF, ტაბულა, http://mediameter.ge/ge/media-profiles/tabula

დიაგრამა 3.6.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, ტაბულა




ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲠᲘᲑᲘ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐ. 4 თვის მონაცემების თანახმად, ტაბულაზე ირიბი გაშუქება პირდაპირს შემდეგი სუბიექტების შემთხვევაში აჭარბებს: მთავრობა (ირიბი 36,1%, პირდაპირი 22,3%), "ქართული ოცნება" (ირიბი 29,6%, პირდაპირი 25,7%) და პრეზიდენტი (ირიბად 8,3%, პირდაპირი 5,9%).

სხვა სუბიექტების შემთხვევაში კი პირდაპირი აჭარბებს ირიბს, რაც შედარებით დიდი სხვაობით გამოხატული „ნაციონალურ მოძრაობის“ (პირდაპირი - 20,4%, ირიბი - 14,6%) და "თავისუფალი დემოკრატების" (პირდაპირი - 7.5%, ირიბი - 2.8%) შემთხვევაშია. იგივეა "რესპუბლიკელებთანაც", სადაც პირდაპირი - 6,3%-ია, ხოლო ირიბი - 4,1%.

დიაგრამა 3.6.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, ტაბულა




ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐᲨᲘ. ყველაზე მაღალი ნეგატიური კონტენტის ტონით ტაბულას „ქართული ოცნება“ (ნეგატიური 21%, პოზიტიური 5%) და მთავრობა (ნეგატიური 20%, პოზიტიური 6%) ჰყავს გაშუქებული, რომელთაც "ნაციონალური მოძრაობა" (ნეგატიური 13%, პოზიტიური 5%) მოსდევს.

საერთო გაშუქების მოცულობიდან ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით არის გაშუქებული ახლადდაფუძნებული პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პოზიტიური 19%, ნეგატიური 3%), ასევე თავისუფალი დემოკრატები (პოზიტიური 10%, ნეიტრალური 90%). 100%-ით ნეიტრალურად არის გაშუქებული "ეროვნული ფორუმი", 95%-ით კი - არასაპარლამენტო ოპოზიცია (ნეგატიური 5%). მაღალია

ასევე "რესპუბლიკური პარტიის" გაშუქების ნეიტრალური ტონი (94%), რომლის ნეგატიური გაშუქება - 4%, ხოლო პოზიტიური 2%-ია. გირჩიც ძირითადად ნეიტრალურად არის გაშუქებული (93%) და მას 4% პოზიტიური, ხოლო 3% ნეგატიური გაშუქება უფიქსირდება.

პრეზიდენტის გაშუქების ნეგატიური ტონი (8%) პოზიტიურზე (2%) მაღალია.  ცესკო 18 %-იანი პოზიტიური ტონით და 82% ნეიტრალური ტონით გაშუქდა. ნეგატიური ტონი ცესკოს გაშუქებაში არ დაფიქსირებულა.

დიაგრამა 3.6.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი,  ტაბულა




**სუბიექტების წილი ტელევიზიის დადებით და ნეგატიურ კონტენტში.** ტაბულას პოზიტიური გაშუქების კონტენტში ყველაზე დიდი წილი უკავია მთავრობას (30,6%)  და "ქართულ ოცნებას" (25,2%), ამავდროულად ამ სუბიექტების წილი ნეგატიურ კონტექსტშიც ყველაზე მაღალია ("ქართული ოცნება" - 39%, მთავრობა - 38,1%).  "ნაციონალური მოძრაობის" წილს პოზიტიურ კონტენტში (18,9%) ნეგატიური მცირედით ჩამორჩება (15,9%), "თავისუფალ დემოკრატებს" კი - 12%-იანი პოზიტიური ტონის პირობებში, ნეგატიური გაშუქება არ უფიქსირდებათ. პოზიტიური ტონის მხრივ შემდეგ ადგილზეა ახლადდაფუძნებული პარტია “სახელმწიფო ხალხისთვის” (4,2%), რომლის ნეგატიური ტონის წილი 0,2%-ია.

"რესპუბლიკული პარტიის" პოზიტიური ტონის წილს (2,3%) ნეგატიური ჩამორჩება (1,6%),  "გირჩის" პოზიტიური წილი კი 1,2%, ხოლო ნეგატიური 0.3%-იანი. 1%-ს ქვემოთ გაშუქებულ სხვა პარტიების წილი პოზიტიურ კონტენტში 3%, ხოლო ნეგატიური 1,6%-ია.

პრეზიდენტის ნეგატიური გაშუქების წილი (3,8%) პოზიტიურს (2,6%) აღემატება, ხოლო ცესკოს წილს პოზიტიურში (0,9%) აქვს.

დიაგრამა 3.6.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი ტელევიზიის პოზიტიურ და ნეგატიური ტონის კონტენტში - ტაბულა



## თვისებრივი მონაცემები

ტელეკომპანია „ტაბულა“ ძირითადად ეთიკური სტანდარტისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების დაცვით აშუქებს მოვლენებს. თუმცა, გვხვდება პოლიტიკურ სუბიექტთა გაშუქების ბალანსის დარღვევის შემთხვევებიც.

ბალანსი/მიკერძოებულობა. 29 აპრილს (19:03 წუთზე) საინფორმაციო პროგრამა “ფოკუსში” გავიდა სიუჟეტი *„ბოტანიკური ბაღის ნაწილი ივანიშვილის მფლობელობაში“.* სიუჟეტში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები (სულხან სალაძე, საიას კოორდინატორი; ნატა ფერაძე, პარტიზანი მებაღეების დამფუძნებელი) მერიის მიერ ბოტანიკური ბაღის კუთვნილი ტერიტორიის საპრივატიზაციო აუქციონის გაუმჭვირვალეობაზე საუბრობენ, ასევე - ბრალდებებს გამოთქვამენ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მისამართით მის მიერ ბოტანიკურ ბაღში დაგეგმილი და პროექტ „პანორამა-თბილისთან“ დაკავშირებით განხორციელებული აქტივობების გამო.

სიუჟეტში ასევე წარმოდგენილია საკრებულოს ოპოზიციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორი წარმომადგენლის: ირაკლი აბესაძის და ნიკა მელიას კომენტარები, რომლებიც აცხადებენ, რომ მერიამ უკანონოდ გასცა ბოტანიკურ ბაღში სასტუმროს მშენებლობის უფლება. ოპოზიციის წარმომადგენლები სამართლებრივი რეაგირებითა და საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან და ბიძინა ივანიშვილის მისამართით ბრალდებებს გამოთქვამენ.

სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი ბიძინა ივანიშვილის ან მერიის წარმომადგენლის, სხვა ოპოზიციური პარტიის, ან მიწის მფლობელი კომპანიის პოზიცია. შესაბამისად სიუჟეტში არ ჩანს მოპასუხე მხარის დამოკიდებულება საკითხისადმი და ის მიკერძოებულია.

ფაქტობრივი სიზუსტე/არასრული ინფორმაცია. 11 მაისის (19:11 წუთი) სიუჟეტში *„საარჩევნო სისტემის ცვლილება“ გაშუქებულია* საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, კონსერვატორ გიგა ბუკიას მიერ პარლამენტში წარდგენილი საარჩევნო ცვლილებების შესახებ კანონპროექტი.

ჟურნალისტი ამბობს, რომ „ოპოზიციამ უმრავლესობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი გააკრიტიკა და მას ბუნდოვანი უწოდა. ჟურნალისტი ამბობს, რომ „საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით საკუთარი კანონპროექტი წარდგენილი აქვს ოპოზიციასაც, რომელიც მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას და არჩევნების სამხარეო პროპორციული სისტემით ჩატარებას 2016 წლიდან გულისხმობს.“

სიუჟეტში ოპოზიციის მოსაზრებად წარმოდგენილია მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიცია (4 რესპონდენტი ნაციონალური მოძრაობიდან). სხვა ოპოზიციური პარტიების (საპარლამენტო ან არასაპარლამენტო) პოზიცია, მათ შორის ინტერფრაქციული ჯგუფის, რომელიც საარჩევნო კოდექსზე მუშაობს, წარმოდგენილი არ არის. არ არის დაზუსტებული, რომელი ოპოზიციური პარტიის ინიციატივაზეა საუბარი. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები აქვთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასაც და სხვა პარტიებსაც, (მაგალითად, პოლიტიკურ მოძრაობა „გირჩს“, რომლის პრეზენტაციაც პარტიების წინაშე 2016 წლის 1 აპრილს მოახდინა). შესაბამისად საკითხი მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტიის პერსპექტივიდან არის მოწოდებული.

ბალანსი. 20 მაისს (19:12 წუთზე) სიუჟეტის ფორმატით ტაბულამ გააშუქა თემა “პარაოლიმპიელები არჩევნების შედეგებს ასაჩივრებენ”. სიუჟეტში საუბარია იმაზე, რომ პარაოლიმპიელთა კომიტეტში 19 მაისს ჩატარებული არჩევნების შედეგებს არ ეთანხმებიან. ჟურნალისტი აცხადებს, რომ არჩევნები “მმართველი პარტიის ზეწოლის შედეგად გაიმართა და ის ლეგიტუმური არ არის”.

სიუჟეტში მოწოდებულია გიორგი წასიძის, (პარაოლიმპიური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი) კომენტარი, რომელიც პირდაპირ სდებს ბრალს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ტარიელ ხეჩიკაშვილს, რომ “პირადად იყო ჩართული გადატრიალებაში”. ასევე თემურ არაბიძის (პარაოლიმპიელი) კომენტარი, რომელიც იდენტურ პოზიციას გამოხატავს და მთავრობის ზეწოლაზე საუბრობს.

ჟურნალისტი აღნიშნული პირების კომენტარს წარმოადგენს, როგორც მთლიანად პარაოლიმპიური კომიტეტის პოზიციას მაშინ, როცა იმ ადამიანების თვალსაზრისი, ვინც კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელის (გიორგი წასიძე) გადადგომას დაუჭირა მხარი სიუჟეტში წარმოდგენილი არ არის. ჟურნალისტს კომენტარისთვის არც ბრალდებების ადრესატებისთვის - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის და ქართული ოცნებისთვის მიუმართავს. შესაბამისად, სიუჟეტი დაუბალანსებელია.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება/ფაქტობრივი სიზუსტე. „ტაბულამ“ 28 ივნისს (19.01 წუთზე) რუსთავი 2-ის დაკვეთით გერმანულ-ამერიკული კომპანია GFK მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა გააშუქა. თემას ორი სიუჟეტი მიეძღვნა. პირველში საუბარია კვლევის შედეგებზე, სადაც მოწოდებულია ინფორმაცია კვლევის რამდენიმე კითხვის თაობაზე. გაშუქების დროს არ არის მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენმა ადამიანმა თქვა უარი პასუხზე, გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რა პროცენტი გამოვლინდა კვლევის დროს, კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, გადაუწყვეტელ ამომრჩეველთან მიმართებით. წინასაარჩევნო პერიოდში კანონმდებლობით დადგენილი საზოგადოებრივი აზრის გაშუქების სავალდებულო რეკვიზიტები არასრულფასოვნად არის წარმოდგენილი, რაც რეგულაციის დარღვევაა.

მეორე სიუჟეტში „შეფასებები კვლევაზე“ მოწოდებულია პოლიტიკური სუბიექტების ფართო სპექტრის კომენტარები როგორც მმართველი გუნდიდან, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციიდან. მიუხედავად იმისა, რომ  აღნიშნულ დღეს განცხადებები კვლევითი ორგანიზაციის სანდოობასთან დაკავშირებით გაკეთდა (უკრაინაში, კერძოდ, ყირიმში ჩატარებულ სატელეფონო გამოკითხვებთან დაკავშირებით), სიუჟეტში ეს ინფორმაცია არ მოხვედრილა და კვლევითი ორგანიზაციის ჩამტარებელი კომპანიის ბეგრაუნდზე საუბარი არ ყოფილა.

## 3.7.კავკასია

კავკასიის შესახებ: ტელეკომპანია “კავკასია” 1994 წელს დაარსდა. თავდაპირველად არხი თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, თუმცა, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, მან დაფარვის არეალი გააფართოვა და 2016 წლის 1 თებერვლიდან თბილისთან ერთად, დამატებით ბათუმის, ზუგდიდის, თელავის, ქუთაისის, ფოთის მულტიპლექსებით მაუწყებლობს. თავდაპირველად არხის დამფუძნებლები კერძო პირები - დავით აქუბარდია (90%), გენო ხრიკაძე (7%) და დავით გერგედავა (3%) იყვნენ. ამჟამად კი არხის 100 პროცენტიანი წილის მფლობელი და დირექტორი ჟურნალისტი ნინო ჯანგირაშვილია. TVMR საქართველოს მონაცემებით, 2015 წელს “კავკასიის” საშუალო წლიური რეიტინგი (AMR) 0, 20%, ხოლო წილი (SHR) 1, 04% იყო.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. კავკასიის 4 თვის მონიტორინგი (1 აპრილი-31 ივლისი) აჩვენებს, რომ ტელეკომპანია პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვების (1334 მასალა) ყველაზე დიდ წილს მთავრობას (35%) და „ქართული ოცნებას“ (21%) უთმობს. ჯამურად ორივე მათგანის პროცენტული წილი 56%-ია.

კვალიფიციური სუბიექტებიდან "ქართული ოცნების" შემდეგ მოდის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (15,1%), რომელსაც თითქმის თანაბარი მონაცემებით "რესპუბლიკური პარტია" (4%) და "თავისუფალი დემოკრატები" (3,4%) მოსდევენ. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" (1,6%) და "ეროვნული ფორუმი" (1,2%) შედარებით მწირედ არიან წარმოდგენილი, ხოლო სხვა კვალიფიციური სუბიექტების გაშუქება 1%-ზე დაბალია: "ლეიბორისტული პარტია" (0,7%), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (0,6%), პატრიოტთა ალიანსი (0,5%), კონსერვატორები  (0,5%), ქრისტიან-კონსერვატიული პარტიას  (0,02%).

არასაპარლამენტო ოპოზიცია 3,2%-ით არის წარმოდგენილი.  ახლადშექმნილი პარტიებიდან კი ყველაზე მაღალი მაჩვენებლი აქვს პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ (1,5%). მას ჩამორჩებიან გირჩი (1%), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (0,4%)  და ყველაზე მცირედი მონაცემით „ახალი საქართველო“ (0.1%).

პრეზიდენტის წილი მთლიან გაშუქებაში 8,5%-ია, ცესკოსი კი - 0,3%.

დიაგრამა 3.7.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება - კავკასია




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. 4 თვის მონაცემებით, ტელეკომპანია კავკასია, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქების ფორმით ყველაზე დიდ ადგილს უთმობს  მთავრობას (პირდაპირი 30,6%, ირიბი - 40,7%)  და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (პირდაპირი 19,4%, ირიბის  -  22,9%). ორივე შემთხვევაში ირიბი

გაშუქება აღემატება პირდაპირს. პრეზიდენტის გაშუქებაში  პირდაპირი მაჩვენებელი ნაკლებია ირიბზე (პირდაპირი 7,9%, ირიბი-9.1%).

როგორც დიაგრამიდან 3.7.2 ჩანს, ყველა სხვა შემთხვევაში პირდაპირი გაშუქება აჭარბებს ირიბს ან მონაცემები თითქმის იდენტურია.

დიაგრამა 3.7.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება - კავკასია




კონტენტის ტონი სუბიექტების გაშუქებაში. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით (98%) ნულოვანი ნეგატივის პირობებში  კავკასიამ პოლიტიკური ცენტრი “გირჩი” გააშუქა. მაღალი იყო ნეიტრალური ტონი ასევე "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" და "ფორუმის შემთხვევაში" (96%), ხოლო პოზიტივი ორივე სუბიექტს ნულოვანი ჰქონდა.

საერთო გაშუქების მოცულობიდან ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით "თავისუფალი დემოკრატები" (13%, ნეგატიური 4%) გაშუქდნენ, რომელსაც მთავრობა (11%) მოსდევდა. თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში ნეგატიური კონტენტის ტონის მაღალი მაჩვენებელიც (21%) გამოიკვეთა.

ყველაზე მაღალი ნეგატიური ტობი ქართული ოცნებას (ნეგატიური 28%, პოზიტიური 3%) და მთავრობას აქვს (ნეგატივი 21%, პოზტივი 11%). მათ მოსდევს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ნეგატიური 15%, პოზიტიური 4%), სახელმწიფო ხალხისათვის (ნეგატიური 9%, პოზიტიური 5%)  და რესპუბლიკური პარტია (ნეგატიური  8%, პოზიტიური 2%) შუქდებოდნენ.

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, ტელეკომპანია კავკასიაზე ისინი უფრო პოზიტიურ (4%) კონტენტში არიან გაშუქებული, ვიდრე ნეგატიურში (2%).

დიაგრამა 3.7.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, კავკასია



სუბიექტების წილი ტელევიზიის დადებით და ნეგატიურ კონტენტში. კავკასიის როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ კონტექსტში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას (პოზიტიური 63,6%, ნეგატიური 42,1%) და „ქართულ ოცნებას" (პოზიტივი 9,5%, ნეგატიური 33%) აქვს. ამასთანავე, "ქართული ოცნების" შემთხვევაში ნეგატიურ კონტექსტში წილი პოზიტიურს საგრძნობლად აღემატება. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წილს პოზიტიურ კონტექსტში (9,1%) ნეგატიურში წილი (13%) აღემატება, ხოლო "თავისუფალი დემოკრატების" პოზიტიურ კონტექსტში წილი (6,9%) ნეგატიურის მონაცემზე (0.8%) მნიშვნელოვნად მეტია.

"რესპუბლიკური პარტიის" წილი როგორც პოზიტიურ (1,3%), ასევე ნეგატიურ (1,8%) კონტექსტში თითქმის თანაბარია, ისევე როგორც პრეზიდენტის (პოზიტიური და ნეგატიური 5,1%).

დიაგრამა 3.7.4. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიურ კონტექსტში, კავკასია




## თვისებრივი მონაცემები

როგორც რაოდენობრივი მონაცემებითაც ჩანს, რუსთავი 2-ის შემდეგ ხელისუფლებისა და "ქართული ოცნების" მიმართ კრიტიკულობის ხარისხით ტელეკომპანია კავკასია გამოირჩევა (48%). „კავკასია" ძირითადად იცავს ბალანსს და ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს. ტელევიზიას ხშირად უფრო ტექნიკური პრობლემები აქვს, მაგალითად საინფორმაციოს მასალებს აკლია რესპონდენტთა ტიტრები, რაც ზოგჯერ გაშუქებული მოვლენის სრულფასოვან აღქმას უშლის ხელს. ამასთან, ტელეკომპანია კავკასია მოვლენების დიდ ნაწილს ლაივსინქრონის ფორმატით აშუქებს, რაც სავარაუდოდ ადამიანური და ტექნიკურ რესურსის სიმწირეს უკავშირდება და ბალანსის დაცვას ართულებს.

არასათანადო ბალანსი. 17 მაისს (20:40 წუთზე) ტელეკომპანიამ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით 1 სიუჟეტი და 2 ლაივსინქრონი მოამზადა. პირველი სიუჟეტი ეძღვნებოდა „ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღეს", რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა 2014 წელს დააწესა, ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის საპირწონედ და ამ დღისადმი მიძღვნილ მსვლელობას. სიუჟეტის პირველი ნაწილი ეძღვნება "ოჯახის სიწმინდის დღეს", ხოლო მეორე ლგბტ აქტივისტებს პროტესტს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომელთაც 17 მაისის დღის აღნიშვნის შესაძლებლობა მეორე წელია არ ეძლევათ, ამასთან მეორე ნაწილი შეეხო იმ აქტივისტებს, რომლებიც საპატრიარქოს შენობაზე წარწერების გაკეთების გამო დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში სიუჟეტი სიღრმისეულად იყო წარმოდგენილი, გარკვეული დისბალანსი იყო პირველ ნაწილსა (სასულიერო პირების და პოლიტიკოსების მსვლელობა) და მეორე ნაწილს შორის (ლგბტ აქტივისტების საპროტესტო აქციები). პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო 6 სინქრონი, მეორე ნაწილში კი ლგბტ უფლებადამცველთა 2 კომენტარი. ამასთანავე მსვლელობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო მხოლოდ მსვლელობის მონაწილე "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" 2 წევრის გიორგი ახვლედიანის და დავით ლორთქიფანიძის პოზიციები, რომლებიც ოჯახის სიწმინდის თემაზე საუბრობდნენ. სასურველი იქნებოდა სიუჟეტში იმ პოლიტიკოსების შეხედულებებიც ასახულიყო, ვინც ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის ალტერნატიული დღის დაწესების იდეას არ იზიარებს და წარმოდგენილი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ჰომოფობიური განწყობებით არ გამოირჩევა.

ბალანსი. 11 ივლისს (21:38 წუთი) “კავკასიის” საინფორმაციო გამოშვებაში საყოველთაო ჯანდაცვის პრობლემებზე ლაივსინქრონი გავიდა. მასალაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის ზურაბ ჭიაბერაშვილის ბრალდება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ პროგრამას საბიუჯეტო უზრუნველყოფის პრობლემები შეექმნა, ასევე მან ისაუბრა ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაზე, რომელიც კლინიკებს პროგრამაში მონაწილეობას უზღუდავს. არ არის წარმოდგენილი ჯანდაცვის სამინისტროს პოზიცია.

ბალანსი. „კავკასიას“ საინფორმაციო გამოშვებამ 15 ივნისს (20:49 წუთი) გააშუქა თავდაცვისა და შსს-ს ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის და ყოფილი შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურისთვის ჩვენების მიცემის ფაქტი, რომელიც ყოფილი დეპუტატის, ბიზნესმენ ვალერი გელაშვილის ცემის ეპიზოდს შეეხება. მასალაში მოცემულია მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის კომენტარი და არ არის წარმოდგენილი მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ადვოკატების პოზიცია.

არასათანადო ბალანსი. 17 მაისს (20:31 წუთზე) საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას გამოსვლაზე საკრებულოში. სიუჟეტში მოცემული იყო 11 სინქრონი (ნაწილი საკრებულოს სხდომიდან, ნაწილი - კომენტარის სახით ჩაწერილი), სადაც თბილისის მერის მიმართ ბრალდებები იყო წარმოდგენილი. თბილისის მერის და საკრებულოს უმრავლესობის ერთი წარმომადგენლის კომენტარი საკრებულოს სხდომის რეპორტაჟიდან იყო აღებული. მერიის პოზიციის დამცველები ჟურნალისტს დამოუკიდებლად, ცალკე სინქრონის ფორმით არ ჩაუწერია.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება. ტელეკომპანია „კავკასიამ“, (ისევე როგორც „რუსთავი 2“-მა და „მაესტრომ“) 14 აპრილს (20:48სთ) სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევა გააშუქა, რომელიც სააგენტოს მტკიცებით, "ქართული ოცნების" მიერ იყო ჩატარებული.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ გადაცემაში უარყოფს კვლევების რეალობას, კვლევის შედეგი, როგორც რეალური, იყო მოწოდებული. ასევე დამკვეთის გარდა მითითებული არ ყოფილა კანონმდებლობით წინასაარჩევნო პერიოდში კვლევის გამოქვეყნებისთვის დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტები.

ტელეკომპანია კავკასიამ 30 ივნისს ასევე გააშუქა ქართული ოცნების შიდა კვლევის შედეგები (20:40 წუთზე). აღსანიშნავია, რომ სხვა ტელეკომპანიებისგან განსხვავებით (მაგალითად იმედი, მაესტრო, და ა.შ.) როგორც წამყვანი, ასევე ჟურნალისტი სიუჟეტში ყურადღებას ამახვილებს იმ კრიტიკაზე, რომელიც კვლევის შერჩევითად, მხოლოდ 2 სუბიექტზე ("ქართული ოცნება", "ნაციონალური მოძრაობა") გასაჯაროვებამ გამოიწვია, რამაც კითხვები გააჩინა. სხვა ტელეკომპანიისგან განსხვავებით კავკასიამ, კვლევის წყაროზე დაყრდნობით, ასევე მიუთითა კვლევის ჩატარების დრო, გამოკითხულ ადამიანთა რაოდენობა, მეთოდი, ცდომილების სავარაუდო ზღვარი. თუმცა არ წარმოუდგენია კითხვების ზუსტი ფორმულირება, რაც ერთ შემთხვევაში აუდიტორიის შეცდომაში შეყვანას იწვევდა. მაგალითად, იმედის მსგავსად, კავკასიამაც განაცხადა, რომ 65% თვლის, რომ არჩევნებში "ქართული ოცნება" გაიმარჯვებს, მაშინ, როცა 65% შემდეგი კითხვის პასუხად დასახელდა: “თქვენი არჩევანის მიუხედავად, როგორ ფიქრობთ, რომელი პარტია მიიღებს ყველაზე მეტ ადგილს პარლამენტში?”

ტელეკომპანია შედეგებთან დაკავშირებით პარტიათა ფართო სპექტრის კომენტარები ("ქართული ოცნება", "თავისუფალი დემკრატები", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო", "სახელმწიფო ხალხისთვის“ "ლეიბორსტული პარტია") წარმოადგინა.

## 3.8. ობიექტივი

ობიექტივის შესახებ: მედია-კავშირი “ობიექტივი” 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. “ობიექტივის” რამდენიმე წამყვანი (ბონდო მძინარიშვილი, ვახტანგ ბეგიაშვილი) 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პატრიოტთა ალიანსის სიით მონაწილეობს. სხვადასხვა კვლევების თანახმად, “ობიექტივი” ანტიდასავლური, თურქოფობიულ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში[23] “ობიექტივის” თოქ-შოუების დისკრიმინაციული სარედაქციო პოლიტიკაც მოხვდა და ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, გადახედოს მის ხელშეკრულებებს იმ მედია საშუალებებთან, ვინც სიძულვილს აღვივებს. ტელეკომპანიამ საინფორმაციო გადაცემები წინასაარჩევნოდ 2016 წლის 16 მაისიდან დაიწყო. TVMR საქართველოს 2015 წლის რეიტინგებში[24], მედია-კავშირი ობიექტივი არ ფიგურირებს. იმ 8 ტელეკომპანიიდან[25], რომლებიც კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის ვებ-გვერდზე დეკლარირებული 6 თვის მონაცემების თანახმად, 2016 წელს (1იანვარი - 30 ივნისი) შემოსავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან, მედია-კავშირი “ობიექტივი” ერთადერთი

[23] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf
[24] http://www.tvmr.ge/ka#!ka/news/44/წლის
[25] 2016 წლის 1 იანვარი- 30 ივნისის 8 ტელევიზიის ფინანსური შემოსავლების წილი სატელევიზიო მედია ბაზარზე: რუსთავი 2 (46%), იმედი (25%), მაესტრო (8%), საქართველოს მედია ქსელი (7,5%), GDS (2,3%), ობიექტივი (2%), იბერია (1,9), ტელეკომპანია პირველი (1%).

ტელევიზიაა, რომლის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს (33,1 %) შემოწირულობები წარმოადგენს.

## რაოდენობრივი მონაცემები

**მთლიანი გაშუქება.** ტელეკომპანია “ობიექტივი” მონიტორინგის სუბიექტი მას შემდეგ გახდა, რაც არხმა 16 მაისს საინფორმაციო გადაცემის წარმოება დაიწყო. შესაბამისად, წინამდებარე მონაცემები 2 თვის (1 ივნისი - 31 ივლისი) შედეგებს ასახავს.

სხვა ტელევიზიების მსგავსად, პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებების მთლიან მონაცემებში (960 მასალა) “ობიექტივმა” ყველაზე დიდი ადგილი მთავრობას (35,7%) და "ქართულ ოცნებას" (15,8%) დაუთმო. სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, "ქართულ ოცნებას" ობიექტივის საინფორმაციო გამოშვებებში "პატრიოტთა ალიანი" (10,2%) მოსდევს, რომლის მონაცემებიც უმნიშვნელოდ აღემატება ერთიანი "ნაციონალური მოძრაობისას" (9,8%).

არასაპრლამენტო ოპოზიციის წილი 3,8%-ია, 1%-ს ქვემოთ გაშუქებული სხვადასხვა პარტიების ჯამური მაჩვენებელი 3,4%. შემდეგი ადგილები კი ასე ნაწილდება: "რესპუბლიკური პარტია" (2,3%), "თავისუფალი დემოკრატები" (2.1%); „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ (1,8%), "ლეიბორისტული პარტია" (1,9%), "ეროვნული ფორუმი" (1%).

სხვა ტელევიზიებთან შედარებით, ახლადშექმნილი პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებლით არის გაშუქებული „ახალი საქართველო“ (1,6%) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველო“ (1,5%) , რომელსაც მოსდევს „სახელმწიფო ხალხისთვის (1,3%) და გირჩი (0,3%).

პრეზიდენტს მთლიან გაშუქებაში 5,7% უკავია, ცესკოს კი - 2,1%.

დიაგრამა 3.8.1. პოლიტიკური სუბიექტების მთლიანი გაშუქება, ობიექტივი (1 ივნისი-31 ივლისი, 2016)




**პირდაპირი და ირიბი გაშუქება.** 2 თვის მონაცემებით, ობიექტივმა პირდაპირი გაშუქების ფორმით ყველაზე დიდი დრო მთავრობას ( 25,5%), "პატრიოტთა ალიანსსა" (15,8%) და "ქართულ ოცნებას" (15,1%) დაუთმო. ამასთანავე, ყველაზე მკაფიო სხვაობით პირდაპირი გაშუქება (15,8%) ირიბს (6,3%) "პატრიოტთა ალიანსის" შემთხვევაში აღემატებოდა. მთავრობის შემთხვევაში კი ირიბი (42,8%) გაშუქება მკვეთრად სჭარბობდა პირდაპირს (25,5%).

ირიბი გაშუქება პირდაპირს ასევე აღემატება შემდეგი სუბიექტების შემთხვევაში: "ქართული ოცნება" (ირიბი 16,4%, პირდაპირი 15,1%), "ნაციონალური მოძრაობა" (ირიბი 11%, პირდაპირი 8%), პრეზიდენტი ( ირიბი 6,4%, პირდაპირი 4,7%).

სხვა სუბიექტების შემთხვევაში ვითარება ერთგვაროვანია და პირდაპირი მცირედით აღემატება ირიბს, გამონაკლისია ასევე ცესკო, სადაც ირიბი უმნიშვნელოდ სჭარბობს პირდაპირს.

დიაგრამა 3.8.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება, ობიექტივი (1 ივნისი-31 ივლისი, 2016)




კონტენტის ტონი სუბიექტების გაშუქებაში. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონი "ეროვნული ფორუმის" (98%), "ლეიბორისტული პარტიის" (97%), ახალი პარტიების “თამაზ მეჭიაური -ერთიანი საქართველოსთვის” (97%) და "სახელმწიფო ხალხისთვის" (92%), ასევე "თავისუფალი დემოკრატების" (93%), ცესკოს (91%), "პატრიოტთა ალიანსის" (90%) და "ახალი საქართველოს" (90%) მიმართ იკვეთება.

ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით "ნაციონალური მოძრაობა" (30%), "ქართული ოცნება" (23%), "რესპუბლიკური პარტია" (22%), მთავრობა (21%) და პრეზიდენტი (10%) არიან გაშუქებული. ამასთანავე "რესპუბლიკურ პარტიას" ნულოვანი პოზიტიური გაშუქების ტონი აქვს.

საერთო გაშუქებიდან ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით არასაპარლამენტო ოპოზიცია (13%), "პატრიოტთა ალიანსი" (8%), "თავისუფალი დემოკრატები" (7%), მთავრობა (6%) და ჯამურად 1%-ს ქვემოთ გაშუქებული სუბიექტები (6%) იყვნენ წარმოდგენილი.

დიაგრამა 3.8.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, ობიექტივი (1 ივნისი- 31 ივლისი, 2016)




სუბიექტების წილი ტელევიზიის დადებით და ნეგატიურ კონტენტში. ობიექტივის პოზიტიური გაშუქების კონტენტში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას (43,7%) და "პატრიოტთა ალიანსს" (17%) აქვთ. ამასთან ნეგატიური გაშუქების კონტენტში მთავრობის წილი ოდნავ უფრო მაღალია (45,8%), ხოლო "პატრიოტთა ალიანსის" ძალზედ მცირე (1,4%).

პოზიტიურ კონტენტში "ქართული ოცნების" წილს (11,8%) ნეგატიური საგრძნობლად აღემატება (22,1%), ისევე როგორც "ნაციონალური მოძრაობისას" ნეგატიურში წილი აღემატება პოზიტიურს ( პოზიტიურში 3,6% ნეგატიურში 17,5%).

მაღალია არასაპარლამენტო ოპოზიციის წილი პოზიტიურ კონტენტში (9,8%), ხოლო ნეგატიურში - 1.8%. მაღალია პოზიტიურში (5,3%) "გირჩის" წილიც, რომელიც ნეგატიურად საერთოდ არ არის გაშუქებული.

პოზიტიურად გაშუქების ტონში პრეზიდენტის წილი 2%, ხოლო ნეგატიურში - 3,3%-ია.
კონტენტის პოზიტიურ და ნეგატიურ ტონის წილში კვალიფიციური პარტიების შეფარდება შემდეგნაირია: "თავისუფალი დემოკრატები" პოზიტიური 3%, ნეგატიურის გარეშე.

"ლეიბორისტული პარტიის" წილი პოზიტიურ კონეტენტში 1,1%-ია, ხოლო 1%-ზე ნაკლები წილი აქვთ შემდეგ პარტიებს: "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" (პოზიტიური 0,1%, ნეგატიური 0,4%); "რესპუბლიკელები" (პოზიტიური 0,1%, ნეგატიური 3,1%), "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (პოზიტიური 0,6%, ნეგატიური 0,2%).

დიაგრამა 3.8.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში - ობიექტივი (1 ივნისი - 31 ივლისი, 2016)




## თვისებრივი მონაცემები

ობიექტივი ერთადერთი ტელეკომპანიაა, სადაც ხელისუფლებისა და სახელისუფლებო პარტიის შემდეგ, საერთო გაშუქების მხრივ „პატრიოტთა ალიანსი" ლიდერობს (10,2%). ხშირია შემთხვევები, როცა სიუჟეტებში ხელისუფლების ალტერნატიულ მოსაზრებას მხოლოდ პატრიოტთა ალიანსი წარმოადგენს და საპარლამენტო ოპოზიციის ან სხვა არასაპარლამენტო პარტიების აზრი უგულვებელყოფილია. სახეზეა ასევე ბალანსის დარღვევა სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ. გვხვდება ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული სიუჟეტები და ფაქტობრივ სიზუსტესთან დაკავშირებული პრობლემები.

ბალანსი/მიკერძოება. ობიექტივის საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად გვხვდება სიუჟეტები, სადაც ხელისუფლების ალტერნატიულ აზრს მხოლოდ პატრიოტთა ალიანსი ან ალიანსის ბლოკში შემავალი სუბიექტები წარმოადგენენ და საპარლამენტო ოპოზიციის ხედვა საერთოდ უგულვებელყოფილია. მაგალითად:

15 ივლისს (20:01წუთზე) ობიექტივის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა მასალა, რომელიც გაზრდილ სახელმწიფო ვალს შეეხებოდა. პარლამეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ებანოიძის კომენტართან ერთად, წარმოდგენილი იყო პატრიოტთა ალიანსის კოალიციაში შემავალი პარტიის თავისუფალი საქართველოს ლიდერის კახა კუკავას შეფასება.

9 ივლისს (19:30 წუთზე) ობიექტივმა ცესკოში გაცემული პრემიებისა და დანამატების თემა გააშუქა, სადაც ცესკოს ალტერნატიულ პოზიციას „პატრიოტთა ალიანსის" წევრი გოჩა თევდორაძე წარმოადგენდა.

7 ივლისს ცესკოსა და ოპოზიციური პარტიების შეხვედრის ამსახველ სიუჟეტში (19:52 წთ-ზე) პარტიებიდან მხოლოდ "პატრიოტთა ალიანსის" ბლოკში შემავალი პარტიის, "თავისუფალი საქართველოს" წევრი კახა კუკავას კომენტარია წარმოდგენილი.

ბალანსი/სიზუსტე. 7 ივლისს (19:48 წუთზე) ტელეკომპანია „ობიექტივმა" საქართველოს ადგილს მსოფლიო რეიტინგებში მიუძღვნა სიუჟეტი, სადაც ეკონომიკის ექსპერტად „პატრიოტთა ალიანსის"

წარმომადგენელი გიგი მაღლაკელიძეა ჩაწერილი, რაც შეცდომაში შემყვანია. სხვა პარტიის კომენტარები კი საერთოდ არ ფიგურირებს.

ტენდენციური გაშუქება/ბალანსი. 8 ივლისის სიუჟეტი „ნატოს სამიტის გამოწვევები“ (19:44) ნატოს მონაწილეობით შავი ზღვის აკვატორიის დაცვის გაძლიერების პერსპექტივას შეეხება. სიუჟეტის წარდგინებისას წამყვანი სვამს შეკითხვას, თუ რას მოუტანს ეს საქართველოს და ორ განსხვავებულ პოზიციას აანონსებს: პროცესისადმი ხელისუფების პოზიტიურ დამოკიდებულებას და საფრთხეების ალბათობას, რომელიც ამ პროცესმა საქართველოს შეიძლება მოუტანოს. ოფიციალური პირების კომენტარების გარდა, სიუჟეტში არ არის მოწოდებული ინფორმაცია, კონკრეტულად თუ რას ითვალისწინებს ნატოსთან თანამშრომლობის ეს პაკეტი და არც მასში უკრაინის მონაწილეობის შესახებაა აღნიშნული. 2 ექსპერტის განსხვავებული პოზიციის გარდა, წარმოდგენილია მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრის გიგი მაღლაკელიძის ნეგატიური შეფასება, რომლის თანახმადაც, ასეთი თანამშრომლობა საქართველოსთვის სახიფათო თამაში იქნება, რადგან ქვეყანა ნატოს წევრი არ არის და მასზე ნატოს მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები არ ვრცელდება. არ არის წარმოდგენილი ოპოზიციის იმ ნაწილის კომენტარები, რომლებიც ნატოსთან თანამშრომლობის ამ ფორმატს ქვეყნის უსაფრთხოების და თავდაცვისუნარიანობის კონტექსტში განიხილავენ.

ტენდენციური გაშუქება/ბალანსი. 4 ივლისს (12:04) ობიქტივმა გააშუქა ოპოზიციური პარტიის, “ქართული დასის” ლიდერის ჯონდი ბაღათურიას ინიციატივა ცესკოში სარეფერენდუმო შეკითხვის დარეგისტრირების თაობაზე, რომლის მიზანია გაირკვეს, უჭერს თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს მოსახლეობა. საკითხის ინიციატორი პარტიისა და მმართველი პოლიტიკური გუნდის გარდა, სიუჟეტში პოლიტიკური სუბიექტებიდან მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლის კომენტარია ასახული და არ არის წარმოდგენილი ოპოზიციის იმ ნაწილის პერსპექტივა, ვინც საქართველოს ნატოში ინტეგრაციას უჭერს მხარს. ამასთანავე, ჟურნალისტი თავის კომენტარში ეჭვქვეშ აყენებს 2008 წელს ნატოში გაწევრიანების შესახებ ჩატარებული პლებისციტის ლეგიტიმურობას, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად გაიმართა. კერძოდ, ის აცხადებს:

> “კითხვაზე, უნდა შევიდეს თუ არა საქართველო ნატოში, 80%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუმცა, ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები 2008 წლის არჩევნების გაყალბებაზე და შესაბამისად, პლებისციტის შედეგების არარეალურობაზე საუბრობდნენ”.

ჟურნალისტის შეფასება არჩევნების და შესაბამისად პლებისციტის გაყალბების თაობაზე განზოგადებულია მთელს ოპოზიციაზე და არასამთავრობო სექტორზე, რაც შეცდომაში შემყვანია. ამასთანავე მასალაში არ არის მოყვანილი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების უახლესი კვლევების შედეგები, რაც ინტეგრაციის პროცესისადმი საზოგადოების მხარდაჭერას ადასტურებს.

ბალანსი/ტენდენციური გაშუქება. 29 ივლისს (19:34) ობიექტივმა რუსი დეპუტატების გახშირებული ვიზიტების შესახებ სიუჟეტი მოამზადა. სიუჟეტში შეფასებულია ვიზიტების დანიშნულება და მხარეების ინტერესი ამ საკითხისადმი. თემის შესაფასებლად ჩაწერილია ექსპერტი ირაკლი ტორონჯაძე, რომელიც ამ თანამშრომლობის მიუღებლობაზე საუბრობს. პოლიტიკოსებიდან კი წარმოდგენილია მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის დავით ლორთქიფანიძის და იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მოსაზრებები, რომლებიც რუსეთთან ასეთ ურთიერთობს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ესენია: „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“. იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა კომენტარები, ვინც სკეპტიკურად უყურებს რუსეთთან თანამშრომლობას და საკითხს ოკუპაციის ჭრილში განიხილავს, სიუჟეტში წარმოდგენილი არ არის.

ტენდენციური გაშუქება/ბალანსი. 18 ივლისს 19:31 წუთზე ობიექტივმა მოამზადა სიუჟეტი „დესტაბილიზაციის შესაძლებლობა საქართველოში“. აღნიშნული თემა რუსულენოვანი სააგენტო „ინტერფაქსის“ მეშვეობით გავრცელებულ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს განცხადებას ეყრდნობოდა იმის თაობაზე, რომ სირიის კრიზისის მსგავსად, შეიარაღებული კონფლიქტი შესაძლოა, ნებისმიერ ქვეყანაში განმეორდეს, მათ შორის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში და რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი სათანადო ზომებს მიმართავს.

სიუჟეტის შესავალ ნაწილში ექსპერტი აღნიშნავს, რომ დესტაბილიზაციის პროცესში რუსეთმა შესაძლოა საყრდენად ისეთი პრორუსული პოლიტიკური პარტიები გამოიყენოს, როგორიც არიან ვლადიმერ ბედუკაძის, ნინო ბურჯანაძის, თამაზ მეჭიაურის, გოგი თოფაძის ირგვლივ გაერთიანებული ძალები.

ექსპერტის ამ კომენტარის შემდეგ სიუჟეტი სრულიად სხვა მიმართულებით ვითარდება. "ქართული ოცნების" წარმომადგენელი გია ვოლსკი, კოალიცია “ქართული ოცნების” წევრი "მრეწველთა" ფრაქციიდან ზურაბ ტყემალაძე და "პატრიოტთა ალიანსის" წევრი გიგი მაღლაკელიძე არჩევნების შემდეგ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობაში "ნაციონალურ მოძრაობას" ადანაშაულებენ. ვოლსკის განცხადებით, რუსეთის და "ნაციონალური მოძრაობის" ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. როგორც სინქრონიდან ჩანს, "მრეწველთა" წარმომადგენელი ზურაბ ტყემალაძე ეთანხმება ჟურნალისტის მიერ შეთავაზებულ ვერსიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დესტაბილიზაციის წყაროს, წარმოჩენის შესახებ. კერძოდ, რესპონდენტი ჟურნალისტს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

> „ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც თქვენ გულისხმობთ, ალბათ და მეც, მოწოდებულია ალბათ, რომ მოხდეს პროვოკაცია და დესტაბილიზაცია“.

"პატრიოტთა ალიანსის" წარმომადგენლის კომენტარი სიუჟეტში მთლიანად არასაპარლამენტო ოპოზიციის პოზიციად არის წარმოჩენილი. სიუჟეტში აღნიშნულია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" კომენტარზე უარს აცხადებს. გარდა იმისა, რომ რესპონდენტების შერჩევა ტენდენციურია, თავად სიუჟეტი დაუსაბუთებლად ახდენს მეზობელი ქვეყნის თავადაცვის მინისტრის განცხადების დაკავშირებას ოპოზიციურ პარტიასთან და მას საფრთხეებთან აიგივებს.

ფაქტობრივი სიზუსტე/არასათანადო წყარო. თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის (რესპუბლიკური პარტიის წევრი) მიმართ ბრალდებები ერთ რესპონდენტზე დაყრდნობით ტვ ობიექტივმა ორჯერ გააშუქა. მინისტრის წინააღმდეგ 2 მოქმედი თანამშრომლის ბრალდებები, ასევე მთელი თავდაცვის სამინისტროს პოზიციად იყო წარმოდგენილი.

1 ივნისს ობიექტივის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „სკანდალი თავდაცვის სამინისტროს ირგვლივ (19:31), რომელშიც სამსახურიდან დათხოვნილი ოფიცერი დავით ნემსაძე თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელს ბრალს ბავშვების წამებაში, ნეპოტიზმსა და კორუფციაში სდებს. აღნიშნული ბრალდებები მხოლოდ დავით ნემსაძის სიტყვიერ განცხადებებს ეფუძნება. სიუჟეტში წარმოდგენილია სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია, რომ ისინი ნემსაძის მიმართვის საფუძველზე საქმეს სწავლობენ. ტელეკომპანიას ამ ბრალდებების გადამოწმების სხვა გზისთვის არ მიუმართავს. სიუჟეტში არც თავდაცვის მინისტრის კომენტარია წარმოდგენილი.

იგივე რესპონდენტზე, დავით ნემსაძეზე დაყრდნობით ლაივ სინქრონი ტვ ობიექტივის საინფორმაციო გამოშვებაში 1 ივლისსაც (19:40 წუთი) გავიდა. რესპონდენტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ხელთ აქვს თავდაცვის სამინისტროს 111-კაციანი თანამშრომლების სია, რომელთაგანაც 55-ს თანამდებობაზე ნეპოტიზმით დაინიშნა. ტვ ობიექტივი არ დაინტერესებულა ამ სიის ზუსტი შინაარსით, წარმომავლობით, არ გადაუმოწმებია ბრალდების დეტალები და სიზუსტე მხარესთან.

ბალანსის პრობლემა იყო ასევე თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ მომზადებულ სიუჟეტში “თავდაცვის სამინისტროს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ“, რომელიც ეთერში 26 ივლისს (19:33 წუთზე) გავიდა. სიუჟეტში 2 თანამშრომლის ბრალდებები მინისტრის წინააღმდეგ პარტიულ საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით განზოგადებულია მთელ სამინისტროზე. როგორც წამყვანი, ასევე ჟურნალისტი აცხადებენ, რომ მინისტრს მოქმედი თანამშრომლები დაუპირისპირდნენ. სიუჟეტში წარმოდგენილია პრესსამსახურის ხელმძღვანელის სატელეფონო კომენტარი, სადაც ის აღნიშნავს, რომ საკითხს შეისწავლიან და მიზანშეწონილობის შემთხვევაში განცხადებას გააკეთებენ.

სოციოლოგიური კვლევების გაშუქების სტანდარტი. მონიტორინგის პერიოდში სოციოლოგიური კვლევების შედეგები ტვ „ობიექტივის“ საინფორმაციო სამსახურმა მეტ-ნაკლებად სრულად მხოლოდ 29 ივლისს (NDI კვლევა) გააშუქა. თუმცა ამ შემთხვევაშიც მოწოდებულია მხოლოდ ერთი კითხვის – „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას” – პასუხები. სიუჟეტში აღნიშნულია მხოლოდ გამოკითხვის დრო, გამოკითხულთა რაოდენობა, მეთოდი, ჩამოუყალიბებელ ამომრჩეველთა რაოდენობა (57%), კითხვის ზუსტი ფორმულირება და დამკვეთი.

## 4. ონლაინ მედიის ერთიანი მონაცემები

ონლაინ მედიის, რომელიც მოიცავს როგორც საინფორმაციო სააგენტოებს, ასევე ონლაინ გამოცემებს, 4 თვის (1 აპრილი - 31 ივლისი) მონიტორინგი აჩვენებს, რომ ისინი როგორც პირდაპირ და ირიბ, ისე მთლიანი გაშუქების ფორმით ყველაზე დიდ ადგილს მთავრობასა და „ქართულ ოცნებას" უთმობენ. მთავრობის პროცენტული მაჩვენებელი მთლიანი გაშუქებაში არის 46,6%, ხოლო „ქართული ოცნების" - 18%, რაც ჯამურად 64,6%-ია.

შემდეგი სუბიექტი არის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (9,2%), რომელსაც მოსდევს "რესპუბლიკური პარტია" (5,1%), "თავისუფალი დემოკრატები" (2,8%), „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო" (2,2%) და არჩევნების წელს დაფუძნებული პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის" (1,9%). არასაპარლამენტო პარტიებს მთლიან გაშუქებაში 1,6% აქვთ.

1%-ს ქვემოთ გაშუქებული პარტიების წილი, რომელთა გაშუქება ჯამურად 4,61%-ია, შემდეგნაირად გადანაწილდა: "გირჩი" (0,9%), "პატრიოტთა ალიანსი", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველო" და "ეროვნული ფორუმი" ( 0,6%), "კონსერვატიული პარტია" (0,3%), "ლეიბორისტული პარტია" (0,2%), "ქრისტიან-კონსერვატიული პარტია" (0,02%).

პრეზიდენტის ინსტიტუტის წილი მთლიან გაშუქებაში 6,5%-ია, ხოლო ცესკოს (0,5%) და უწყებათაშორისი კომისიის (0,04%).

დიაგრამა 4.1. პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, ონლაინ მედია




დიაგრამა 4.2. 1%-ზე დაბალი გაშუქების სუბიექტები, ონლაინ მედია



ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ/ᲘᲠᲘᲑᲘ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐ. როგორც მთლიანი, ასევე პირდაპირი და ირიბი გაშუქების მხრივ ონლაინ მედია ყველაზე მეტ დროს მთავრობასა და „ქართულ ოცნებას“ უთმობდა. მთავრობის შემთხვევაში ირიბი (50,8%) გაშუქების ფორმა პირდაპირს (40,8%) აჭარბებდა, ხოლო "ქართული ოცნების" შემთხვევაში პირიქით, პირდაპირი (22,2%) ირიბს (15%) 7,2%-ით აჭარბებდა.

ოპოზიციური პარტიებიდან ირიბი გაშუქება პირდაპირს 2 პარტიის შემთხვევაში აჭარბებს: "ნაციონალური მოძრაობა" (ირიბი 11,6%, პირდაპირი 5,9%) და "სახელმწიფო ხალხისთვის" (ირიბი 2,1%, პირდაპირი 1,7%). როგორც დიაგრამა 4.3. უჩვენებს, სხვა სუბიექტების შემთხვევაში პირდაპირი აჭარბებს ირიბს.

დიაგრამა 4.3. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება, ონლაინ მედია




ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ. 4 თვის მონაცემების თანახმად, ონლაინ მედიაში ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით გაშუქებულია „ქართული ოცნება“ (პოზიტიური 12%, ნეგატიური 10%), რომელსაც მოსდევს  მთავრობა (10% პოზიტიური 5% ნეგატიური) და "თავისუფალი დემოკრატები" (პოზიტიური 9%, ნეგატიური 4%).

ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით გაშუქებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ნეგატიური 34%, პოზიტიური 4%), რომელსაც მოსდევს  „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ნეგატიური 14%, პოზიტიური 6%), "ქართული ოცნება" (ნეგატიური 10%) და "რესპუბლიკური პარტია" (ნეგატიური 8%; პოზიტიური 3%).
ყველაზე დაბალი ნეგატიური (1,5%) და მაღალი ნეიტრალური (98%) ტონი "დემოკრატიულ მოძრაობა ერთიან საქართველოს" აქვს. მაღალი ნეიტრალური ტონით (93%) გაშუქდა ასევე არასაპარლამენტო ოპოზიცია (პოზიტიური 4%, ნეგატიური 3%).

1%ზე დაბალი გაშუქების მქონე პარტიებიდან ყველაზე მაღალი ნეგატიური გაშუქება "ლეიბორისტულ პარტიას" (ნეგატიური 26%, პოზიტიური 4%) აქვს. ყველაზე მაღალი პოზიტიური კონტენტი კი ახალი პარტიის „ახალი საქართველოს“ შემთხვევაში დაფიქსირდა (პოზიტიური 10%, ნეგატიური 7%). პოზიტიური გაშუქება ჭარბობს ნეგატიურს ასევე „გირჩის“ შემთხვევაში (პოზიტიური 5%, ნეგატიური 4%). ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით შემდეგი პარტიები გაშუქდა: "ეროვნული ფორუმი" (ნეიტრალური 95%, ნეგატიური 3%, პოზიტიური 2%); "კონსერვატიული პარტია" (ნეიტრალური 95%, ნეგატიური 3%, პოზიტიური 2%); "პატრიოტთა ალიანსი" (ნეიტრალური 94%, პოზიტიური 3%, ნეგატიური 3%); "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (ნეიტრალური 94%, ნეგატიური 5%, პოზიტიური 1%); "თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის" (ნეიტრალური 94%, პოზიტიური 2%, ნეგატიური 4%).

ინსტიტუტებიდან ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი პრეზიდენტს (ნეგატიური 7%, პოზიტიური 5%) და ცენტრალური საარჩევნო კომისიას (ნეგატიური 7%, პოზიტიური 1%) აქვთ, ხოლო არჩევნების სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია მხოლოდ ნეიტრალურად (94%) ან  პოზიტიურად (6%) გაშუქდა.

დიაგრამა 4.4. კონტენტის ტონი ონლაინ მედიაში







ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ. კონტექსტის ტონი წარმოდგენას ქმნის იმ კრიტიკულ თემათა მოცულობაზე, რომლის ფარგლებშიც ხდება პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება. 4 თვის მონიტორინგი აჩვენებს, რომ ონლაინ მედია საშუალებების მიერ პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებაში სტატისტიკურად ჭარბობს კონტექსტის ნეიტრალური ტონი. კონტექსტის ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი (14%) მარშალპრესს აქვს, ამავდროულად აღნიშნული სააგენტოს შემთხვევაში, ნეგატიური ტონიც იდენტურია (14%). რიგით მეორე პოზიტიური კონტექსტის ტონის მხრივ IPN-ია (10%), თუმცა მისი ნეგატიური მაჩვენებელი (13%) პოზიტიურს აჭარბებს. PIA-ს შემთხვევაში პოზიტიური (9%) მცირედით აღემატება ნეგატიურს (8%).

ყველაზე მაღალი ნეგატიური კონტექსტის ტონი ნეტგაზეთს აქვს (31%), სადაც პოზიტიური მნიშვნელოვნად დაბალია (3%). ნეგატიური (9%) პოზიტიურს (1%) პირველი რადიოს შემთხვევაშიც აღემატება.

დიაგრამა 4.5. კონტექსტის ტონი ონლაინ მედიაში



# 5. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა ონლაინ მედიაში

TV მედიის მსგავსად, ონლაინ მედიის 4 თვის (1 აპრილი -31 ივლისი) მონიტორინგის ანალიზი (18 439 მასალა) აჩვენებს, რომ თემატური თვალსაზრისით პირველ ადგილზე (21,8%) პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების აქტივობების გაშუქებაა, რომელსაც საგარეო ურთიერთობები (10,6%) და პრემიერის აქტივობები მოსდევს (8,4%). მართლმსაჯულებისა (7,9%) და პოლიტიკური დაპირისპირებების (7,9%) თემებს თანაბარი ადგილი უჭირავთ, რასაც ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის საკითხები (7,2%) მოსდევს, რომელსაც სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებთან შედარებით ონლაინ მედიაში გაცილებით დიდი ადგილი ეთმობა. ეს გარემოება იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ სხვადასხვა სამთავრობო უწყებები გარკვეულ ონლაინ გამოცემებში ინფორმაციას საფასურის სანაცვლოდ ანთავსებენ (დეტალები იხ. IPN, PIA, გვ. 53; 61)[26]

ცხრილი 5.1. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების თემატიკა ონლაინ მედიაში (1 აპრილი – 31 ივლისი, 2016)




ონლაინ მედიაში, ისევე, როგორც TV მედიაში პოლიტიკურ სუბიექტებთან მიმართებით შედარებით ნაკლებად გვხვდება ისეთი საკითხების გაშუქება, როგორიცაა განათლება (2,4%), გარემოს დაცვა (1,1%), კონფლიქტური რეგიონები და იძულებით გადაადგილებული პირები (0,9%), ჯანდაცვა (0,9%), სოციალური პრობლემები (0,6%), ადამიანის უფლებები – უმცირესობები (0,5%). სატელევიზიო მედიის მსგავსად, NDI-ის კვლევის დროს საზოგადოების მიერ დასახელებული პრიორიტეტული საკითხების ხუთეულთან (სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ფასების ზრდა/ინფლაცია, პენსიები) თანხვედრა არც ონლაინ მედია გამოცემების მიერ გაშუქებული პრიორიტეტული თემების შემთხვევაში იკვეთება. ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ონლაინ მედია პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების დროს თავად სუბიექტების მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს მისდევს.

[26] მედიის განვითარების ფონდი (2016), რეკლამის და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო რესურსების განაწილების პრაქტიკა. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/31

# 6. ონლაინ მედიის მონაცემები გამოცემების მიხედვით

## 6.1 ინტერპრესნიუსი

ინტერპრესნიუსის შესახებ: ინტერპრესნიუსი[27] (IPN.Ge), რომელიც 2002 წელს დაარსდა, ერთ-ერთი დიდი საინფორმაციო სააგენტოა. სააგენტოს, რომელიც ჰოლდინგ "პალიტრა მედიაში" შემავალი გამოცემაა, მეწილეთა კონფიგურაცია რამდენჯერმე შეეცვალა. 2015 წლის თებერვლის მონაცემებით, შპს “ახალი ამბების” მეწილეები არიან: ზაზა ბუაძე 12%, ირაკლი თევდორაშვილი 46%, გიორგი თევდორაშვილი 12%, შპს კვირის პალიტრა 15% (ზაზა ბუაძე, 25%, ირაკლი თევდორაშვილი, 75%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ნიუსრუმი 15% (შპს კვირის პალიტრა 100%). სააგენტოს მეწილე გიორგი თევდორაშვილი იმავდროულად სატელევიზიო რეიტინგების მფლობელი ახალი კომპანია “ტრი მედია ინტელიჯენსის” 50%-იანი წილის მფლობელია. სააგენტოს სხვადასხვა სამინისტროებთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს კონტრაქტები ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა საინფორმაციო მომსახურების მიზნით, რისთვისაც 2015 წელს 249 352 ლარი მიიღო, რაც სააგენტოებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება: „ინტერპრესნიუსი“ (IPN) 4 თვის მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ სააგენტო როგორც საერთო, ისე პირდაპირი და ირიბი გაშუქების ფორმით ყველაზე დიდ ადგილს მთავრობას და „ქართულ ოცნებას“ უთმობს. მთლიან გაშუქებაში (7202 მასალა) მთავრობის წილია 53,9%, კოალიცია „ქართული ოცნების“ კი - 14,4%. მმართველი პოლიტიკური გუნდის შემდეგ, რომელიც მთავრობისა და “ქართული ოცნების” ერთიანი ჯამური მაჩვენებლით 68,3 %-ს შეადგენს, სხვა საარჩევნო სუბიექტების რიგითობა ასე გამოიყურება: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 7,7 %, "რესპუბლიკური პარტია" - 4,5 %, "თავისუფალი-დემოკრატები" - 3,1 %, "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" - 1,7 %, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - 1%.

არასაპარლამენტო ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების გაშუქება ჯამურად 1% იყო.

არჩევნების წელს შექმნილი პარტიებიდან ყველაზე მაღალი გაშუქება აქვს პაატა ბურჭულაძის პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ (2%), რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლო გამოკვლევებით 4%-იანი მხარდაჭერით სარგებლობს. მას მოსდევს „გირჩი“ (1%), რომელსაც საპარლამენტო წარმომადგენლობა ჰყავს.

კატეგორია სხვაში გაერთიანებულია 1%-ს ქვემოთ გაშუქებული შემდეგი კვალიფიციური პარტიები: ლეიბორისტული პარტია (0,05%), ეროვნული ფორუმი (0,5%), კონსერვატიული პარტია (0,4%) და პატრიოტთა ალიანსი (0,1%). ხოლო არჩევნების წელს შექმნილი პარტიებიდან „თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოს“ გაშუქება (0,4%), "ახალი საქართველოს" - 0,3%.

ინსტიტუტებიდან მთავრობის შემდეგ პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის აქტივობები გაშუქდა (6,2%), შემდეგ მოდის ცესკო (1%) და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია (0, 01%), რომელმაც საქმიანობა ივლისიდან დაიწყო.

დიაგრამა 6.1.1 პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, IPN




[27] http://mediameter.ge/en/media-profiles/interpressnews

პირდაპირი/ირიბი გაშუქება. მთავრობის წილი პირდაპირ გაშუქებაში ჩამორჩება ირიბ გაშუქებაში მის წილს (პირდაპირი 43,2%, ირიბი 60,1% ). პრეზიდენტის გაშუქებაში კი პირდაპირი აჭარბებს ირიბს (პირდაპირი 7,1%, ირიბი 5,6%).

როგორც დიაგრამა 6.1.2 აჩვენებს, პარტიების შემთხვევაში ძირითადად პირდაპირი გაშუქება აჭარბებს ირიბს, გამონაკლისია "ნაციონალური მოძრაობა", სადაც პირდაპირი გაშუქება (7,3%) მცირედით ჩამორჩება ირიბს (8%). სხვა კვალიფიციური პარტიებიდან პირდაპირი ფორმით საერთოდ არ არის გაშუქებული „ლეიბორისტული პარტია“, რომელიც მხოლოდ ირიბად (0,1%) არის წარმოდგენილი, ხოლო "პატრიოტთა ალიანსი", როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად თანაბრად არის წარმოდგენილი (0,1%).

ახალი პოლიტიკური სუბიექტებიდან პირდაპირი გაშუქების ყველზე მაღალი მაჩვენებელი აქვს "გირჩს" (პირდაპირი 2.2% ირიბი 1%), რომელსაც მოსდევს „სახელწიფო ხალხისთვის“ (პირდაპირი 1,9%, ირიბი 1,8%).

დიაგრამა 6.1.2 პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება - IPN




კონტენტის ტონი. სააგენტოს მიერ პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებაში ძირითადად ჭარბობს ნეიტრალური ტონი. თუმცა, ყველაზე მაღალი ნეგატიური მაჩვენებელი აქვს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (20%), რომელსაც მოსდევს მმართველი პარტია - „ქართული ოცნება“ (10%), "პატრიოტთა ალიანსი" (9%), "სახელმწიფო ხალხისთვის" (8%).

მართალია, ლეიბორისტული პარტიის გაშუქების მოცულობა მთლიან გაშუქებაში (7202 მასალა) დაბალია (0,05%), მაგრამ უარყოფითი ტონი მთლიანი გაშუქების 39%-ს შეადგენს.

ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით გაშუქებულია არჩევნების სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია (25%), "პატრიოტთა ალიანსი" (9%), "ქართული ოცნება" (8%) და არჩევნების წელს შექმნილი ახალი პარტია "ახალი საქართველო" (8%).

ყველაზე დაბალი პოზიტიური კონტენტით გაშუქებულია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (1%), "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" (ნინო ბურჯანაძე) 1,2% და სხვა პარტიები, რომელთა გაშუქება 1%-ს არ აჭარბებს.

დიაგრამა 6.1.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი IPN



სუბიექტების წილი ტელევიზიის დადებით და ნეგატიურ კონტენტში. IPN-ის პოზიტიური ტონის კონტექსტის მთლიან მოცულობაში 65 % მთავრობას დაეთმო, მეორე ადგილზეა 19%-ით „ქართული ოცნება“. ამ ორი სუბიექტის გარდა პოზიტიური კონტენტის ტონით პოლიტიკური პარტიები მინიმალურად არიან გაშუქებული. მესამე ადგილზე 4%-ით პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, შემდეგ პრეზიდენტი (3%), „ერთიან ნაციონალური მოძრაობა“(2%) და რესპუბლიკური პარტია (2%) არიან.

პოზიტიურ კონტენტში მსგავსი (1%) მაჩვენებელი აქვთ ახალ პარტიებს „გირჩი“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პაატა ბურჭულაძე).

ყველა სხვა პოლიტიკურ სუბიექტს პოზიტიური გაშუქების კონტენტში 1%-ზე დაბალი მაჩვენებელი უკავია. ნეგატიური კონტენტის ტონში წილით პირველ ადგილზე მთავრობაა (33,4%), თუმცა ეს მაჩვენებელი პოზიტიური კონტენტში წილის (64,9%) ნახევარია. მეორე ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 26,2%-იანი ნეგატიური კონტენტის ტონით. „ქართული ოცნება“ ნეგატიური კონტენტი 24,1%-ია, რითიც მმართველი პარტია მესამე ადგილზეა. ასევე აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური პარტიის გაშუქების ნეგატიური კონტენტის წილი (2,8%) აღემატება მისი პოზიტიური კონტენტის (2,2%) წილს. ნეგატიური კონტენტის მსგავსი მოცულობა უკავიათ პარტიებს „თავისუფალი დემოკრატები“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (2,5%). 1,9%-იანი მაჩვენებელი აქვს პოლიტიკურ გაერთიანება „გირჩს“, ცესკოს და არასაპარლამენტო ოპოზიციას. ყველა სხვა სუბიექტს, ცალცალკე აღებულს, ნეგატიური კონტენტის 0,5%-ზე დაბალი მოცულობა უკავია.

დიაგრამა 6.1.4. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში – IPN




## თვისებრივი მონაცემები

სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ინფორმაციას გვთავაზობს არა სტატიების ფორმატით, არამედ გვაწვდის ცალკეულ კომენტარებს და სიახლეებს დამოუკიდებელი ფორმით. შესაბამისად, ბალანსზე საუბარი ძირითადად ერთი თემისადმი მიძღვნილი სიახლეების ერთობლივი ანალიზით შეიძლება. მთლიანობაში მედია პლატფორმა პლურალისტულია და ყველა ძირითადად პოლიტიკური სუბიექტის აქტივობას აშუქებს, თუმცა განსხვავებული პრიორიტეტულობით.

როგორც რაოდენობრივი ანალიზიც ცხადყოფს, მთავრობის საქმიანობისადმი მიძღვნილი სიახლეები სააგენტოს კონტენტის 54%-ს შეადგენს, რაც ინფორმაციის გაცემის მიზნით სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან გაფორმებული კონტრაქტებით უნდა იყოს განპირობებული[28] და ოფიციალური ვებ-გვერდებსა და სხვა სააგენტოებში იდენტური შინაარსის მასალების გამოქვეყნების სახით იჩენს თავს.

საბიუჯეტო ორგანიზაციების იდენტური მასალები უცვლელი სახით. სააგენტო უცვლელი სახით ან მცირედი მოდიფიცირებით ბეჭდავს ოფიციალური უწყებების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ალტერნატიული პოზიციის გარეშე. სხვა სააგენტოებისგან განსხვავებით, რომლებიც ინფორმაციის

[28] მედიის განვითარების ფონდი (2016), “რეკლამისა და ინფორმაციის მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა”, თავი V, ონლაინ მედია. http://mediameter.ge/ge/research/reklamis-da-inpormaciis-gavrcelebis-miznit-mediashi-sabiujeto-resursebis-ganacilebis

გავრცელების მიზნით საბიუჯეტო კონტრაქტებს იღებენ[29], IPN ერთადერთია, რომელიც გარკვეულ მასალებს დაფინანსების აღმნიშვნელ ნიშანს - NS (News from subscriber) ურთავს, თუმცა ამ პრაქტიკას სისტემატური ხასიათი არ აქვს.

მაგალითად, თბილისის მერიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ერთდროულად 9 საინფორმაციო სააგენტომ, მათ შორის 3-მა მონიტორინგის სიბიექტმა, იდენტური სათაურით „შემოდგომაზე თბილისში 3 ახალი ბაღი გაიხსნება" გამოაქვეყნა, რომელთაგან მხოლოდ IPN-ს ჰქონდა მითითებული მასალაზე ნიშანი NS, რაც სარედაქციო მასალის დაფინანსებულისგან გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, როგორც ცხრილი 6.1. -დან ჩანს, მეორე მსგავსს შემთხვევაში დაფინანსების აღმნიშვნელი ნიშანი არც IPN-ს მიუთითებია. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს თბილისის მერიასთან ინფორმაციის გავრცელებაზე ვალდებულებები 2016 წელს შუამავალი კომპანიის "აი ფი ემ კვლევების" კონტრაქტით აქვს განსაზღვრული.

ცხრილი 6.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების იდენტური მასალები სხვადასხვა ონლაინ გამოცემებში

| | IPN | PIA | Marshalpress | Netgazeti |
|---|---|---|---|---|
| სათაური | „შემოდგომაზე თბილისში 3 ახალი ბაღი გაიხსნება"[30] | „შემოდგომაზე თბილისში 3 ახალი ბაღი გაიხსნება"[31] | "ნაძალადევის რაიონში ახალი ბაგა-ბაღი შენდება"[32] | _____ |
| გამოქვეყნების ფორმა | NS | _____ | _____ | |
| სათაური | აღმაშენებლის გამზირზე შენობის კედლის ვერტიკალური გამწვანება ეწყობა[33] | _____ | _____ | აღმაშენებლის N59-ის შენობაზე კედლის ვერტიკალური გამწვანება მოეწყობა[34] |
| გამოქვეყნების ფორმა | _____ | | | _____ |

პოლიტიკური და სხვა სუბიექტების დაფინანსებული მასალა უცვლელი სახით. სააგენტოს ფასიანი მომსახურებით სარგებლობს ასევე რამოდენიმე საარჩევნო სუბიექტი[35], თუმცა მათ მიერ მიწოდებული მასალის დაფინანსების ნიშნით აღნიშვნა ძირითადად არ ხდება, რასაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ზოგიერთ შემთხვევაში კი ტექსტშია მითითებული, რომ ინფორმაცია პრეს-სამსახურის ან პარტიის მიერ არის მიწოდებული. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 6.1.. მოცემულია ცალკეული მაგალითები, როცა IPN-სა და PIA-ზე განთავსებული მასალები პარტიების ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული მასალებს ბუკვალურად ან მცირედი მოდიფიცირებით იმეორებს, თუმცა ფასიანი სტატიის აღმნიშვნელი ნიშანი არ ახლავს. ცხრილში შეყვანილია მხოლოდ იმ პარტიების მასალები, ვინც IPN-ს ფასიანი მომსახურებით სარგებლობს.

ცხრილი 6.2 პარტიების დაფინანსებული მასალები

[29] იქვე.
[30] IPN, 31 ივლისი, 2016 http://bit.ly/2cZt89L
[31] PIA, 31 ივლისი, 2016 http://bit.ly/2cEohdc
[32] მარშალპრესი, 31 ივლისი, 2016. http://marshalpress.ge/archives/51058
[33] IPN, 27 ივლისი, 2016 http://bit.ly/2caop4Y
[34] Netgazeti.ge, 27 ივლისი, 2016 http://bit.ly/2ct4zzj
[35] ქართული ოცნება, ნაციონალური მოძრაობა, დემოკრატიული მოძრაობა, თავისუფალი დემოკრატები.

| | IPN | PIA | პარტიის ვებ-გვერდი |
|---|---|---|---|
| სათაური | არც NATO-ს და არც რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე - ეს იქნება უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი[36] *მითითებულია წყარო: პარტიის პრესსამსახური* | არც NATO-ს და არც რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე - ეს იქნება უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი | დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო: "არც NATO-ს და არც რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე - ეს იქნება უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი" |
| სათაური | ნინო ბურჯანაძე NDI-ის კვლევაზე - პირველად დამწყდა გული, რომ არ ვარ კაცი და თან კახელი[37] | პირველად დამწყდა გული, რომ არ ვარ კაცი და თან კახელი[38] | დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო: პირველად დამწყდა გული, რომ არ ვარ კაცი და თან კახელი |
| სათაური | ელენე ხოშტარია წყნეთში მოსახლეობას შეხვდა[39] *მითითებულია წყარო: პარტიის პრესსამსახური* | —————— | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: წყნეთში მოსახლეობას შეხვდა |
| სათაური | ავჭალაში „გირჩის" რაიონული ოფისი გაიხსნა[40] *მითითებულია წყარო: პარტიის პრესსამსახური* | | პოლიტიკური ცენტრი გირჩი: ავჭალაში „გირჩის" რაიონული ოფისი გაიხსნა |

არის შემთხვევები, როცა პოლიტიკური ბრალდების შემცველი ინფორმაცია გამოქვეყნებულია რეკლამის ნიშნით.
რუბრიკით „მნიშვნელოვანი ინფორმაცია" სააგენტო ინტერპრესნიუსი ავრცელებს ინფორმაციას ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ, სახელწოდებით "სენტა ჯგუფი კეზერაშვილის წინააღმდეგ - 10 ივნისს გახმაურებული საქმის სასამართლო პროცესი გაიმართება" (10 ივნისი).
სტატია იწყება სიტყვებით: „წინა ხელისუფლების დროს წართმეული ბიზნესი და კიდევ ერთი საქმე კეზერაშვილის და მისი ყოფილი კომპანიების წინააღმდეგ" და მასში წარმოდგენილია მოდავე მხარის სენტა ჯგუფის პოზიცია.
მსგავსი შინაარსის რეკლამა სააგენტომ განმეორებით გამოაქვეყნა: „სენტა ჯგუფის" დამფუძნებლების მიმართვა ხელისუფლებას (13 ივნისი).
რეკლამის სახით გამოქვეყნებული ინფორმაცია ეხება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, რადგან ყოფილი ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს შეიცავს, სააგენტოს სარედაქციო, არასარეკლამო მასალებში არ მიუღია ზომები ბრალდებებთან დაკავშირებით მეორე მხარის პოზიციის წარმოსადგენად, ან საქმის დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებისთვის.

ტენდენციური გაშუქება. 22 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს თბილისიდან ჩაყვანილმა სპორტსმენებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. IPN-მა თავდაპირველად ეს ინციდენტი PIA-ს და მარშალპრესის მსგავსად გააშუქა. თუ ნეტგაზეთმა სათაურშივე გამოიტანა ოპოზიციური პარტიის წევრებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი ("კორცხელის საარჩევნო უბანზე ენმ-ს წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს"), მარშალპრესის მსგავსად IPN-ის სათაურსა ("კორცხელის #53-ე უბანზე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა") და ტექსტში აქცენტი მხარეებს შორის დაპირისპირებაზე გაკეთდა. თუმცა თუ მარშალპრესსა და PIA-ზე ინციდენტი მოსახლეობასა და ოპოზიციურ პარტიას შორის დაპირისპირებად იყო წარმოჩენილი, IPN-ის ვერსიაში მხარეები "ქართული ოცნება" და "ნაციონალური მოძრაობა" იყვნენ.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქების სტანდარტის დარღვევა/ბალანსის დარღვევა. საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრის „ფსიქოპროექტის" მიერ ჩატარებული „ქართული ოცნების" შიდა კვლევის გაშუქების დროს სააგენტო „ინტერპრესნიუსმა" გამოაქვეყნა კვლევის შედეგები ისე, რომ არ დაუცავს საარჩევნო კოდექსის 51-ე (11) მუხლით დადგენილი წესი, რაც წინასაარჩევნო პერიოდში კვლევის

[36] IPN, 14 ივლისი, 2016. http://bit.ly/2cn8Ov0
[37] IPN, 29 ივლისი, http://bit.ly/2clYNKg
[38] PIA, 30 ივლისი, http://bit.ly/2cwn9YW
[39] IPN, 30 ივლისი, 2016. http://bit.ly/2cXEyrD
[40] IPN, 22 ივლისი, 2016, http://bit.ly/2cwPBq2

გამოქვეყნების დროს 11 სავალდებულო რეკვიზიტის მითითებას ითვალისწინებს ინფორმაცია მოწოდებული იყო ფრაგმენტულად, ძირითადად მხოლოდ ორი სუბიექტის შესახებ.

> მაგალითად: "ქართული ოცნების" შიდა კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, პრემიერის პოსტზე პრობლემების რეალურად მოგვარებას გიორგი კვირიკაშვილი შეძლებს (30 ივნისი, 1 ივლისი).
>
> "ფსიქოპროექტის" კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 65 %-ის აზრით, პარლამენტში ყველაზე მეტ ადგილს "ქართული ოცნება" დაიკავებს (30 ივნისი, 1 ივლისი).
>
> ზურაბ ბიგვავა - „ქართული ოცნების" შიდა კვლევებით, „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი 13%-მდეა, „ქართული ოცნების" კი 35%-ს შეადგენს (29 ივლისი).

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში საუბარი იყო „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგზე, სააგენტოს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის შეფასება ამ საკითხზე არ წარმოუდგენია.

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დაკვეთით კომპანია GFK-ს მიერ შესრულებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გაშუქება სააგენტოს მიერ ასევე არასრულყოფილი ინფორმაციის გამოქვეყნებით მოხდა (დასახელებულია დამკვეთი, შემსრულებელი, გამოკითხულთა რაოდენობა, გამოკითხვის დრო), არ არის დასახელებული მეთოდი, ცდომილება და ა.შ). ამასთან, კვლევის შესახებ სიახლეებთან ერთად სააგენტომ გააშუქა პარტია „გირჩის" განცხადება, სახელწოდებით:

> „გირჩი" - GFK-ს 2014 წელს უკრაინაში ჩამოართვეს სატელევიზიო რეიტინგების გაზომვის უფლება მოსყიდული პანელისტებით რეიტინგების გაყალბების გამო (28 ივნისი)

ინფორმაციაში გამოთქმულია ბრალდებები კვლევის შემსრულებელი კომპანიის მიმართ, (სათაურში გამოტანილი ინფორმაცია) ასევე - დასმულია კითხვები ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მიმართ (მაგალითად ნათქვამია, რომ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები წინასწარ იყო ცნობილი მიხეილ სააკაშვილისთვის.) არც აღნიშნულ საინფორმაციო შენიშვნაში და 28 ივნისს და მომდევნო დღეებში გამოქვეყნებულ მასალებში სააგენტოს არ გამოუქვეყნებია კვლევითი კომპანიის ან „რუსთავი2"-ის პოზიცია ამ ბრალდებებთან დაკავშირებით.

## 6.2. PIA

> PIA-ს შესახებ: საინფორმაციო სააგენტო პირველი[41] 2006 წლის ნოემბერში დაარსდა და იგი კოალიცია "ქართულ ოცნებაში" 2016 წლის მაისამდე შემავალი პარტიის, "ეროვნული ფორუმის" წარმომადგენლის, ანი მიროტაძის სახელს უკავშირდება. 2010 წელს შპს„პირველის" 100%-იანი წილის მფლობელი ლევან მიროტაძე იყო, 2013 წელს სააგენტო ხვიჩა სექანიაზე იყო გაფორმებული, ხოლო 2014 წლიდან 100%-იანი წილის მფლობელი დიმიტრი ტიკარაძეა. PiA-სთან შემდეგი გამოცემებია დაკავშირებული: Daijesti.ge, rubrica.ge, funtime.ge. სააგენტოს 2015 წელს საბიუჯეტო კონტრაქტებიდან 80 236 ლარის შემოსავალი აქვს მიღებული.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება: სააგენტო PIA-მ საანგარიშო პერიოდში მთლიან გაშუქებაში (4157 მასალა) ყველაზე მეტი დრო (54,6 % ) მთავრობისა და მმართველ პოლიტიკურ პარტია „ქართულ ოცნება-ერთიან საქართველოს" (16,6%) დაუთმო, რაც ჯამურად 71,2%-ს შეადგენს. ყველა სხვა პარტია მათთან შედარებით მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი. შემდეგი სამეული ასე გამოიყურება: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (5%); „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" (ნინო ბურჯანაძე) (4,5%). "რესპუბლიკური პარტია" (3,7%).

1 % და უფრო დაბალი მაჩვენებლით არიან გაშუქებული შემდეგი კვალიფიციური სუბიექტები: „თავისუფალი დემოკრატები" (1%), "ეროვნული ფორუმი" (0,8%), "პატრიოტთა ალიანსი" (0,3%), „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (0,2%), "კონსერვატიული პარტია" (0,2%) და "ლეიბორისტული პარტია" (0,1%).

2016 წელს დაფუძნებული პოლიტიკური პარტიების გაშუქება კი ასე გამოიყურება: „სახელმწიფო ხალხისთვის" (პაატა ბურჭულაძე) (1,3%), „თამაზ მეჭიაური -ერთიანი საქართველოსთვის" (0,4%); პოლიტიკური ცენტრი "გირჩი" (0,2%) და "ახალი საქართველო" (0,2%).

არასაპარლამენტო ოპოზიციის გაშუქების მაჩვენებელი 2,4%-ს შეადგენს.

---

[41] MediaMeter, MDF, PIA, http://mediameter.ge/ge/media-profiles/pia

ინსტიტუტებიდან საქართველოს პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის გაშუქება - 6.8%, ცესკოს - 0,3%, არჩევნების სამთავრობო უწყებათაშორისი კომისიის - 0,1% იყო.

დიაგრამა 6.2.1. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - PIA




ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ/ᲘᲠᲘᲑᲘ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐ. სააგენტოს მასალებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პირდაპირი გაშუქება (21.1%) მნიშვნელოვნად სჭარბობს ირიბს (12,8%), ხოლო მთავრობის შემთხვევაში ირიბი (59,1%) პირდაპირზე (49,5%) მაღალია, რაც როგორც IPN-ის, ასევე PIA-ს შემთხვევაშიც ცალკეული სამინისტროებთან გაფორმებული კონტრაქტებით შეიძლება აიხსნას, რომლებიც საფასურის სანაცვლოდ უწყებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის უცვლელად გავრცელებას ითვალისწინებს[42].
ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (7,8%) „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს, რა დროსაც პირდაპირი გაშუქების წილი შედარებით მწირია (1,8%); ხოლო "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" შემთხვევაში პირიქით, პირდაპირი გაშუქების მაჩვენებელი (6,6%) ირიბს (2,7%) აჭარბებს.

ახალი პოლიტიკური პარტიებიდან პირდაპირ საერთოდ არ გაუშუქებიათ პოლიტიკური პარტია „გირჩი“ (ირიბი გაშუქება 0,2%), „ახალი საქართველო“ გაშუქებულია პირდაპირ 0,1%, ირიბი 0,09%. პირდაპირ 0,9 %-ით არის გაშუქებული ასევე „სახელმწიფო ხალხისთვის“ (პაატა ბურჭულაძე), მისი ირიბი გაშუქება კი 1,8%-ს შეადგენს.

დიაგრამა 6.2.2. პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება - PIA




[42] მედიის განვითარების ფონდი (2016), “რეკლამისა და ინფორმაციის მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა”, თავი V, ონლაინ მედია. http://mediameter.ge/ge/research/reklamis-da-inpormaciis-gavrcelebis-miznit-mediashi-sabiujeto-resursebis-ganacilebis

**ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐᲨᲘ.** სააგენტომ მკაფიოდ გამოხატული ნეგატიური კონტენტის ტონით გააშუქა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (43%), ახალ შექმნილ პარტია - "სახელმწიფო ხალხისთვის" (21%). უარყოფითი კონტენტის ტონი ჰქონდათ ასევე "თავისუფალ დემოკრატებსა" (7%) და "რესპუბლიკურ პარტიას" (6%), ხოლო “ქართული ოცნების” გაშუქების პოზიტიური ტონი ყველაზე მაღალი იყო (9%). PIA-ს სხვა მედიებთან შედარებით ყველაზე დაბალი (1%) ნეგატიური კონტენტის ტონით აქვს გაშუქებული მთავრობა. პოზიტიური ტონის მხრივ ლიდერი “ქართული ოცნება" იყო (9%), რომელსაც მთავრობა (5%) და პრეზიდენტი (5%) მოსდევდა.

იმ კვალიფიციური სუბიექტებიდან, ვისი გაშუქებაც 1%ზე დაბალი იყო, ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით ლეიბორისტული პარტია (30%) და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (22%) იყო წარმოდგენილი.

დიაგრამა 6.2.3. პოლიტიკური სუბიექტების კონტენტის ტონი - PIA




**ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲨᲘ.** სააგენტოს მთლიანი პოზიტიური ტონის კონტენტიდან სუბიექტებს შორის ყველაზე დიდი მოცულობა დაეთმო მთავრობას (55,6%); მეორე ადგილზეა პარტია „ქართული ოცნება“ (29,3%). ამ ორი პოლიტიკური სუბიექტის გარდა პოზიტიურად შუქდებოდა ასევე პრეზიდენტიც (6,2%).

სააგენტოს მთლიანი ნეგატიური კონტენტის ნახევარზე მეტი (54%) "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ეთმობა, რომელსაც მოსდევს „ქართული ოცნება“ (12,5%) და მთავრობა (10,7%). ნეგატიურად არის წარმოდგენილი ასევე „სახელმწიფო ხალხისთვის“ (7,4%) და „რესპუბლიკური პარტია“ (5,7%). ამ მხრივ, პრეზიდენტს (3,4%) სხვა სუბიექტები ოდნავ ჩამორჩებიან და 3,3% მაჩვენებელი აქვთ.

ნეგატიური კონტენტის წილში 2%-ზე დაბალი მაჩვენებელი „თავისუფალი დემოკრატებს“ 1,7% და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (1,3%) აქვთ. საერთო ნეგატიურ კონტენტში დაბალი იყო "ლეიბორისტული პარტიის" (0,6%) და "ეროვნული ფორუმის" (0,1%) ნეგატიური ტონის მოცულობა.

კონტენტის პოზიტიურ ტონში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჩვენებელი 2,5%-ია. თანაბარი შედეგები - 1,1% - აქვთ "რესპუბლიკურ პარტიას" და „ახალი საქართველოს“. მათ წინ უსწრებს არასაპარლამენტო ოპოზიცია (1,8%). რაც შეეხება ყველა სხვა სუბიექტს, მათ კონტენტის პოზიტიურ ტონში 2,4% უკავით.

დიაგრამა 6.2.4. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი სააგენტოს პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტის ტონში




## თვისებრივი მონაცემები

სააგენტო PIA სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების აქტივობებს აშუქებს, თუმცა განსხვავებული პრეფერენციებით. გვხვდება ფაქტობრივ სიზუსტესთან, ბალანსთან, კვლევის გაშუქების სტანდარტის დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემები და მიკერძოების ტენდენციები, რომელთაგანაც რამდენიმე მაგალითი ქვემოთ არის განხილული:

ბალანსის დარღვევა/მიკერძოება. სააგენტო PIA-მ გამოაქვეყნა სტატია სათაურით "ნაციონალების" პოლიტიკური ხრიკი - ვინ არის პაატა ბურჭულაძის კანდიდატი ზუგდიდში“ (11 ივლისი). სტატიაში საუბარია ახლადშექმნილი პარტიის “სახელმწიფო ხალხისთვის” შესაძლო მაჟორიტარობის კანდიდატების: ვახტანგ ცხადაიას (ზუგდიდი) და გოდერძი ბუკიას ( ხობი) კავშირზე ნაციონალურ მოძრაობასთან, ასევე ძალოვანი სტრუქტურების მათთვის გაწეულ დახმარებაზე და მათ მიმართ ნეგატიური ტონია გამოყენებული. სტატია დაუბალანსებელია და მასში არც “სახელმწიფო ხალხისთვის”, არც მათი მაჟორიტარობის კანდიდატების ან ნაციონალური მოძრაობის პოზიციაა წარმოდგენილი. სრულიად განსხვავებულად, პოზიტიურ კონტექსტში გააშუქა მოგვიანებით (25 ივლისი) PIA-მ გოდერძი ბუკიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, როდესაც ის პარტია “სახელმწიფო ხალხისთვის” ნაცვლად, მაჟორიტარობის კანდიდატად “ქართული ოცნება” წარადგინა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სათაური ნეიტრალური იყო, ხოლო თავად გოდერძი ბუკია პოზიტიურად წარმოდგენილი: “იგი არის გამოცდილი პარლამენტარი, თავისი კუთხის ნამდვილი პატრიოტი და ყურადღებას არ მოაკლებს ხობელებს”, - აღნიშნულია ინფორმაციაში. ამ შემთხვევაში ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან მისი კავშირების ბეგრაუნდი ინფორმაციაში მოყვანილი აღარ არის.

ტენდენციური გაშუქება. როგორც IPN-ის შემთხვევაში აღინიშნა, 22 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს თბილისიდან ჩაყვანილი სპორტსმენების მხრიდან ნაციონალური მოძრაობის ლიდერების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი PIA-მაც ტენდენციურად გააშუქა. უფრო მეტიც, IPN-ისგან განსხვავებით, სადაც აქცენტი ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის დაპირისპირებაზე კეთდებოდა, PIA-მ ოპოზიციური პარტიის ლიდერების ფიზიკური შეურაცხყოფა მოსახლეობასა და ყოფილ სახელისუფლებო პარტიას შორის დაპირისპირებად წარმოაჩინა. ინციდენტიდან 1 საათის განმავლობაში სააგენტომ 3 ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელთა სათაურებშიც "ნაციონალების" ადგილობრივებთან შელაპარაკებასა და მოსახლეობასთან დაპირისპირებაზე იყო საუბარი და არა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე, რაც ნეტგაზეთის სათაურში ფიგურირებს:

| PIA | ნეტგაზეთი |
|---|---|
| 12: 58 კორცხელში, გიგა ბოკერიასა და საარჩევნო უბანთან შეკრებილ პირებს შორის შელაპარაკება მოხდა | კორცხელის საარჩევნო უბანზე ენმ-ს წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს |
| 13:39 კორცხელის საარჩევნო უბანზე ადგილობრივებსა და "ნაციონალების" ერთ-ერთ ლიდერს შორის შელაპარაკება მოხდა | |
| 13:51 ნიკანორ მელია და თენგიზ გუნავა კორცხელში ადგილობრივებს დაუპირისპირდნენ | |

წყაროს მითითების გარეშე, ამ თემაზე მომზადებულ ერთ-ერთ მასალაში აღნიშნულია, თითქოს არჩევნების დღეს მოსახლეობასა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს შორის შელაპარაკების მიზეზი ამ უკანასკნელების მხრიდან მოსახლეობისთვის შეურაცხყოფის მიყენება გახდა. კერძოდ: “არსებული ინფორმაციით, "ნაციონალური მოძრაობის" წევრები საარჩევნო უბნის შესასვლელთან იდგნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებდნენ” (22 მაისი), - აღნიშნულია სარედაქციო ტექსტში.

ფაქტობრივი სიზუსტე, სათაურის და ტექსტის შეუსაბამობა/ბალანსი. სააგენტო PIA-მ მცირედი სახეცვლილებით და იდენტური სათაურით გამოაქვეყნა გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ სტატია საქველმოქმედო ფონდზე „იავნანა“, სახელწოდებით "იავნანამ" ხალხის შემოწირულობებით მიღებული შემოსავლებიდან ქველმოქმედებაში მხოლოდ 27% დახარჯა“ (28 ივლისი). სტატია ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის “ თავმჯდომარის პაატა ბურჭულაძის წარსულ საქველმოქმედო საქმიანობას შეეხება.

სტატიაში მოყვანილი ინფორმაცია შეუსაბამობაშია სათაურთან, რადგან როგორც ინფორმაციიდან ჩანს, 73%-ის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია გაშიფრული არ არის და, შესაბამისად, არც ის არის ცნობილი, დაიხარჯა თუ არა ეს თანხა ქველმოქმედებაზე; ამასთან, სტატიაში არ არის მოწოდებული არც ფონდის, არც პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ პოზიცია, რომლის ლიდერის პაატა ბურჭულაძის ფოტოც თან აქვს დართული სტატიას.
იგივე თემაზე ცალმხრივი მასალა სააგენტომ, სათაურით “რაში ხარჯავს პაატა ბურჭულაძე ჩვენი მოქალაქეების შემოწირულობებს 20 ივლისს გაზეთ “ახალ თაობაზე” დაყრდნობით გამოაქვეყნა.

ფაქტობრივი სიზუსტე/ბალანსი. სააგენტო PIA-მ გაავრცელა სამხედრო ექსპერტ ტრისტან წითელაშვილის ბრალდება ნაციონალური მოძრაობის აჭარის ლიდერის ლევან ვარშალომიძის წინააღმდეგ, სათაურით “ლევან ვარშალომიძემ სააკაშვილისგან სამხედრო დაჯგუფებების შექმნის დავალება მიიღო - სამხედრო ექსპერტი” (8 ივლისი).
მასალა მხოლოდ ერთი მხარის ბრალდებას ეყრდნობა, არ არის გადამოწმებული არც მეორე მხარესთან, არც ოფიციალურ საგამოძიებო უწყებებთან ან სხვა დამოუკიდებელ წყაროებთან. ამასთანავე ბეგრაუნდში არ არის აღნიშნული ის გარემოება, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ბრალდების წყარო ჯაშუშობის ბრალდებით იყო გასამართლებული, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ ის პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება. სააგენტო PIA-ზე გამოიკვეთა არაერთი შემთხვევა, როცა ინფორმაცია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესახებ წარმოდგენილია ან არასრულად, ან - კანონმდებლობით წინასაარჩევნო პერიოდისთვის დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტების მითითების გარეშე. როგორც NDI-ის, ასევე თავად ქართული ოცნების მიერ ნაწილობრივ გასაჯაროვებული კვლევების სათაურებში მმართველი პარტიის უპირატესობას უსვამს ხაზს. მაგალითად:

> "ქართული ოცნება": "65 % - ის აზრით, ყველაზე მეტ ადგილს პარლამენტში "ქართული ოცნება" მოიპოვებს - კვლევის შედეგები” (1 ივლისი).
> NDI: “წინა კვლევასთან შედარებით, "ქართული ოცნების" მხარდამჭერთა პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია“ (30 ივლისი);

წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისას საარჩევნო კოდექსის 51 (11) მუხლით დადგენილი 11 სავალდებულო რეკვიზიტად[43] პირველ შემთხვევაში მხოლოდ მხოლოდ 4 -

[43] 1. კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაცია, 2. დამკვეთი ან დამფინანსებელი; 3. კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა; 4. საველე კვლევის ჩატარების დრო; 5. გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი; 6. რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა; 7. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს; 8. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა; 9. შერჩევის ზომა; 10.

კვლევის დამკვეთი, რესპონდენტების რაოდენობა, კითხვის ფორმულირება და დრო; ხოლო მეორე შემთხვევაში 3- დამკვეთი, კითხვის ფორმულირება და ჩატარების დროა მითითებული. ქართული ოცნების დაკვეთით ჩატარებული კვლევის ამსახველ მასალაში, რომელიც ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, არც სხვა პარტიების შესახებ მონაცემებია წარმოდგენილი. NDI-ის კვლევის შემთხვევაში არ არის მითითებული ისეთი არსებითი ინფორმაცია, როგორიც არის გადაუწყვეტელ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელიც საკმაოდ მაღალია (57%) და შესაძლოა გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგზე.

ასევე პრობლემაა ინფორმაციის სიზუსტე. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმაციის სათაურია: „გამოკითხულთა უმრავლესობა ხმას იგივე პოლიტიკურ პარტიას მისცემდა, რომელსაც 2012 წელს დაუჭირა მხარი“, რაც შეცდომაში შემყვანია. მართალია, ტექსტში აღნიშნულია, რომ მხოლოდ გადაწყვეტილი რესპონდენტების 57% აცხადებს, რომ იგივე პარტიას ან ჯგუფს მისცემს ხმას, ვისაც 2012 წელს დაუჭირა მხარი, მაგრამ არ არის მითითებული, რომ ეს პასუხი მხოლოდ იმ 38%-ის უმრავლესობას ასახავს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, ვის მისცემს ხმას და გადაუწყვეტელ ამომრჩეველთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია.

| NDI-ის კითხვის ფორმულირება | PIA-ს სათაური |
| --- | --- |
| აპირებთ თუ არა ხმა იგივე პოლიტიკურ პარტიას მისცეთ, ვისაც 2012 წლის არჩევნებში მიეცით ხმა? - 38%, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ვის მისცემს ხმას. | გამოკითხულთა უმრავლესობა ხმას იგივე პოლიტიკურ პარტიას მისცემდა, რომელსაც 2012 წელს დაუჭირა მხარი |

შესაბამისად, დარღვეულია როგორც საზოგადოებრივი აზრის გაშუქების სტანდარტი, ასევე – ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი.

**საბიუჯეტო ორგანიზაციების და პარტიების დაფინანსებული მასალები უცვლელი სახით.** IPN-ის მსგავსად სააგენტო PIA-საც აქვს გაფორმებული კონტრაქტები საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გავრცელების მიზნით. თუმცა IPN-ისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი დაფინანსებულ შინაარსს სარედაქციო მასალისგან არ მიჯნავს, როგორც ეს ცხრილში 6.1-ია ასახული (იხ.გვ. 54), რასაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი.
PIA-ს მომსახურებით, MDF-ის კვლევის[44] თანახმად, 2 პარტია - ქართული ოცნება და დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო" (ბურჯანაძე) სარგებლობენ. ცხრილში 6.2 (გვ. 55) მოყვანილია მაგალითი, როცა სააგენტომ პარტიის მასალა დაფინანსების ამსახველი ნიშნის გარეშე განათავსა.

# 6.3 ნეტგაზეთი

**ნეტგაზეთის შესახებ.** ონლაინ გამოცემა Netgazeti.Ge[45] 2010 წელს გაზეთმა "ბათუმელები" დააფუძნა. "ბათუმელების" დამფუძნებლები, თავის მხრივ, კერძო პირები - დავით გურგენიძე (25%), მზია ამაღლობელი (25 %), მურად ამაღლობელი (25 %) და ლეილა თურაძე (25 %) არიან. გამოცემა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სხვადასხვა მედია პროექტებს ახორციელებს.

## რაოდენობრივი მონაცემები

**მთლიანი გაშუქება.** ნეტგაზეთის 4 თვიანი (1 აპრილი -31 ივლისი) მონიტორინგის თანახმად, ( 1397 სტატიაში) მთავრობას - 37,2%, „ქართულ ოცნებას" კი - 19,2% უჭირავს. მმართველი პარტიის შემდეგ ყველაზე მაღალი გაშუქება "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" (13,9%) და "რესპუბლიკურ პარტიას" (8%) აქვთ, რომელთაც შედარებით ნაკლები მონაცემით (3,4%) "თავისუფალი დემოკრატები" მოსდევენ.
სხვა კვალიფიციური პარტიები 1%-ზე ნაკლები მოცულობით არიან გაშუქებული: "ეროვნული ფორუმი" (0,9%), "პატრიოტთა ალიანსი" (08%), "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" (0,5%), "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (0,4%), "კონსერვატორებ"ი (0,2%) და "ლეიბორისტული პარტია" (0,05%).

რაც შეეხება არჩევნების წელს დაფუძნებულ პარტიებს, ნეტგაზეთმა ყველაზე მეტად „სახელმწიფოს ხალხისთვის" (2,7%) გააშუქა, შედარებით მწირი იყო გირჩის (0,7%), 'თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის" (0,5%) და "ახალი საქართველოს" (0,2%) მონაცემები.

ცდომილების ფარგლები; 11. ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე
[44] მედიის განვითარების ფონდი (2016), “რეკლამისა და ინფორმაციის მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა”, თავი V, ონლაინ მედია. http://mediameter.ge/ge/research/reklamis-da-inpormaciis-gavrcelebis-miznit-mediashi-sabiujeto-resursebis-ganacilebis
[45] MediaMeter.ge, MDF, Netgazeti, მედია პროფილები. http://mediameter.ge/ge/media-profiles/netgazeti

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის გაშუქება - 7,1%, ხოლო ცესკო 1,4% იყო. აღსანიშნავია, რომ ცესკოს გაშუქების მაჩვენებელი ონლაინ მედიებში ნეტგაზეთს ყველაზე მაღალი აქვს (IPN -1%, PIA და პირველი რადიო - 0,3%, მარშალპრესი - 0,2%).

დიაგრამა 6.3.1 პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, ნეტგაზეთი




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. მთავრობისა (ირიბი 40,6%, პირადპირი 31,4%) და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (პირდაპირი 9.8%, ირიბი16,4%) შემთხვევაში ირიბი გაშუქება პირდაპირს აჭარბებს. "ქართული ოცნების" (პირდაპირი 22,1%, ირიბი კი 17,4%), "რესპუბლიკელების" (პირდაპირი 13,1%, ირიბი 5%), "თავისუფალი დემოკრატების" (პირდაპირი 4,2%, ირიბი 2,9%) და "ეროვნული ფორუმის" (პირდაპირი 1,1%, ირიბი 0,8%) შემთხვევაში კი პირიქით, პირდაპირი აჭარბებს ირიბს, ამასთანავე "რესპუბლიკელების" სხვაობა ყველაზე მაღალია.
1%-ზე ნაკლები გაშუქების მქონე პარტიებში ძირითადად პირდაპირი სჭარბობს ირიბს, გამონაკლისია "ქრისტიან-კონსერვატიული" (ირიბი 0,2%), "კონსერვატიული" (ირიბი - 0,2%) და "ლეიბორისტული" (0,1%) პარტიები, რომლებიც მხოლოდ ირიბად არიან წარმოდგენილი.

ახლად დაფუძნებული პარტიებიდან „სახელმწიფო ხალხისთვის" (პირდაპირი 2,7%, ირიბი 2,6%) და "გირჩის" (პირდაპირი 0,7%, ირიბი 0,6%) პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარია, "თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის" (პირდაპირი 0,6%, ირიბი 0,3%) და ახალი საქართველოს (პირდაპირი 0,5%, ირიბი 0,3%) შემთხვევაში პირდაპირს მცირედი უპირატესობა აქვს, არასაპარლამენტო ოპოზიციის პირდაპირ გაშუქებას (0,6%) კი ირიბი (0,8%) აჭარბებს.

ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის პირდაპირი (7,8%) გაშუქება მცირედით აღემატება ირიბს (6,7%), ცესკოს შემთხვევაში ირიბი (1,9%) აჭარბებს პირდაპირს (0,4%), ხოლო თავისუფალ და სამართლიან უწყებათაშორის კომისიას მხოლოდ ირიბი გაშუქება (0.1%) უფიქსირდება.

დიაგრამა 6.3.2 პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება, ნეტგაზეთი



**ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲝᲜᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐᲨᲘ.** ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით ნეტგაზეთმა "რესპუბლიკური პარტია" (96%), კატეგორია სხვაში გაერთიანებული 1%-ს ქვემოთ გაშუქებული პოლიტიკური სუბიექტები (93%) და "თავისუფალი დემოკრატები" (90%) გააშუქა. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (16%) შემთხვევაში იკვეთება, რომელსაც "ქართული ოცნება" (13%), მთავრობა (11%) და "სახელმწიფო ხალხისთვის" (8%) მოსდევენ.

ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი ახალ პარტიას “სახელმწიფო ხალხისთვის” (13%) აქვს, რომელსაც ქართული ოცნება (11%), "თავისუფალი დემოკრატები" (9%), "ნაციონალური მოძრაობა' (8%), მთავრობა (6%) და შედარებით მცირე მონაცემით "რესპუბლიკელები" (3%) მოსდევენ.

პრეზიდენტი ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდა, ნეგატიური ტონი (7%) კი პოზიტიურს (2%) სჭარბობდა. ცესკოს გაშუქების ტონი (14%) ნეგატიური იყო, პოზიტივი კი საერთოდ არ გამოიკვეთა.

დიაგრამა 6.3.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი,ნეტგაზეთი




**ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠ ᲙᲝᲜᲢᲔᲜᲢᲨᲘ.** ნეტგაზეთის პოზიტიურ კონტენტში ყველაზე დიდი წილი უკავია მთავრობას (32,6%), რომლის ნეგატიური წილიც ყველაზე მაღალია (40, 6%) და პოზიტიურს აღემატება. "ქართული ოცნება-ერთიან საქართველო"ს პოზიტიურ წილს (31,6%) ნეგატიური (24, 3%) ჩამორჩება, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოზიტიურ წილს კი (16,5%) ნეგატიური (21,9%) აღემატება. კვალიფიციური პარტიებიდან - 4%-ზე მაღალი წილი აქვს პოზიტიურ კონტენტში "თავისუფალ დემოკრატებს" (4,4%), ნეგატივი კი - 0,4%-ია. 'რესპუბლიკური პარტიის" პოზიტივის წილი - 4,1%, ნეგატივი კი - 1,1%-ია.

ახალი პარტიებიდან ყველაზე მაღალი პოზიტივის წილი აქვს "სახელმწიფო ხალხისათვის" (5,2%), რომლის ნეგატივის წილი - 2%-ია, "ახალი საქართველოს" პოზტივის წილი - 1%, ნეგატივი კი - 0,1%-ია, "გირჩის" პოზტივის წილი - 0,8%, ნეგატივი -0,6%-ია.

პრეზიდენტის ინსტიტუტის პოზიტივის წილი - 2,1%, ნეგატიური კი - 4,9%-ია. ცესკოს ნეგატიური ტონის წილი - 1,9%-ია.

დიაგრამა 6.3.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიურ კონტენტში, ნეტგაზეთი




## თვისებრივი მონაცემები

ნეტგაზეთი სხვა ონლაინ მედია საშუალებებისგან გამოირჩევა იმით, რომ ის მასალებს არა ერთ წყაროზე დაყრდნობით, არამედ ძირითადად მრავალმხრივად და დაბალანსებულად აშუქებს. გამოცემა იცავს ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს პლურალისტურ პლატფორმას სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვის. მედია-საშუალებაში მძიმე ეთიკური დარღვევები არ გვხვდება, თუმცა გამოიკვეთა ბალანსის არასათანადო დაცვისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევასთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევები.

ბალანსი. *27 აპრილს* ნეტგაზეთმა გამოაქვეყნა სტატია “ბოტანიკურთან მდებარე 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთს აუქციონამდე ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის სტატუსი შეუცვალეს”. მასალაში დეტალურად არის განხილული ოფიციალური დოკუმენტები, მოწოდეუბლია საკრებულოს ოპოზიციური პარტიების – „დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ , ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” წარმომადგენლების კომენტარები. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში წარმოდგენილია თბილისის ხელისუფლების ოფიციალური დოკუმენტაცია, სასურველი იქნებოდა მასში მერიის და საკრებულოს წარმომადგენლების პოზიციაც ასახულიყო, უარის შემთხვევაში კი აღნიშნულიყო, რომ რესპონდენტები კომენტარზე უარს აცხადებდნენ.

ბალანსი. *20 ივნისს* გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, სათაურით „თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრი ანზორ მელიას წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავს“, რომელიც 18 ივნისს, რუსთავი 2-ის გადაცემა “ბიზნესკურიერში” კლინიკა “გულის” ხელმძღვანელის ანზორ მელიას ბრალდებებზე სასწრაფო დახმარების ცენტრის პასუხს შეეხებოდა. ინფორმაციაში მოყვანილია ტელევიზიით გაკეთებული ბრალდებების შინაარსი და სასწრაფო დახმარების ცენტრის პასუხი, რომელშიც ნაციონალურ მოძრაობასა და გადაცემა „ბიზნესკურიერს“ ცენტრი ცრუ ბრალდებების წინასაარჩევნოდ მიზანმიმართულ გავრცელებაში ადანაშაულებდა და “ბიზნესკურიერის“ გუნდს გონივრულ ვადაში კორუფციული სქემებისა და გარიგებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენისკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში ჩივილით ემუქრებოდა. ინფორმაციაში “ბიზნესკურიერის” პოზიცია წარმოდგენილი არ ყოფილა. არც ის ყოფილა აღნიშნული, თუ  რა კავშირი იყო რესპონდენტის განცხადებებთან ნაციონალური მოძრაობა. აღსანიშნავია, რომ გადაცემის რესპონდენტი “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერის მამაა, რომელმაც გადაცემაში კლინიკის დირექტორის სტატუსით ისაუბრა.

ბალანსი. *13 ივნისის* მასალაში “საია კულტურის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესის დარღვევისთვის უჩივლებს”, არ არის წარმოდგენილი კულტურის სამინისტროს პოზიცია ან კომენტარის მოპოვების მცდელობა ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც საბიუჯეტო სახსრების გასაჯაროვებას ეხება.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქება. ნეტგაზეთი საზოგადოებრივი აზრის კვლევებს ძირითადად სტანდარტების დაცვით აშუქებს. მონიტორინგის პერიოდში იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი,

რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ შიდა კვლევის შედეგებს შეეხებოდა. სათაურით „ოცნების“ შიდა პარტიული კვლევით, „ენმ“-თან შედარებით ორჯერ მეტი მხარდამჭერი ჰყავს“. 30 ივნისს ნეტგაზეთმა გამოაქვეყნა მასალა, რომლის წყაროც კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის, ზურაბ ბიგვავას მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა “მთავარ თემაში” გაკეთებული კომენტარი იყო. აღსანიშნავია, რომ შედეგები “ქართულ ოცნებას” ოფიციალურად არ გამოუქვეყნებია და შერჩევითად კვლევის მხოლოდ ის ნაწილი გახადა საჯარო, რომელიც მხოლოდ "ქართული ოცნებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" და ამავე პარტიების 2 პოლიტიკური ლიდერის (პრემიერ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და "ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს) რეიტინგებს შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო კომენტარში "ქართული ოცნების" კვლევის ფრაგმენტულ გასაჯაროვებამდე 2 დღით ადრე, 28 ივნისს ტელეკომპანია რუსთავი 2-მა მისი დაკვეთით გერმანულ-ამერიკული ორგანიზაცია GFK-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, "ოცნებას" და 'ნაციონალურ მოძრაობას" თითქმის თანაბარი რეიტინგი ჰქონდათ. რუსთავი 2-ის კვლევის მიმართ "ქართულმა ოცნებამ" უნდობლობა გამოხატა, რადგან ის ნაციონალურ მოძრაობასთან დააკავშირა, ამასთანავე ეჭვქვეშ დააყენა GFK-ს რეპუტაცია. ნეტგაზეთის მასალის ბეგრაუნდში ეს კონტექსტი არ მიუთითებია. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მონაცემები სატელევიზიო კომენტარს ეფუძნებოდა, მასში სრულფასოვნად არც კანონმდებლობით წინასაარჩევნო პროცესში საზოგადოებრივი აზრის კვლევისთვის დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტებია მითითებული. მასალა მხოლოდ ორ მონაცემს შეიცავს კვლევის დამკვეთის და შემსრულებლის (ზურაბ ბიგვავას ორგანიზაცია) შესახებ. ამასთან, კვლევის შემსრულებლის შესახებ ინფორმაცია არასრულია, რადგან ზურაბ ბიგვავას ორგანიზაციის – “ფსიქოპროექტი” – სახელი მითითებული არ არის.

## 6.4. პირველი რადიო

პირველი რადიოს შესახებ. პირველი რადიო[46] კერძო კომპანიაა, რომლის 100%-იან წილი 2011 წლის 30 დეკემბრიდან ტელეკომპანია “პირველი სტერეოს” 65%-ის მფლობელ ვასილ კობაიძეს ეკუთვნის. 14 დღით ადრე (16 დეკემბრი) პირველი რადიოს 100% წილს მარშალის კუნძულებზე რეგისტრებული შპს ჩემექსიმ ინტერნეშენალი ფლობდა, რომელიც 2011 წელს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 30%-იანი წილის მესაკუთრეც იყო. 2007 წლიდან 2011 წლამდე პირველ რადიოს 100%-იან წილს “ჰოლდინგი საქართველოს მედიის გაერთიანება” ფლობდა, 1999-2007 წლამდე კი 5 – კერძო პირი. 2013 წლიდან პირველ რადიოში მუშაობა ტელეკომპანია “იმედის” ყოფილმა ჟურნალისტებმა დაიწყეს, რომლებიც არხის პატარკაციშვილების ოჯახის საკუთრებაში დაბრუნების შემდეგ გაათავისუფლეს.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება. “პირველი რადიოს” ონლაინ გამოცემის 4 თვის (1 აპრილი-31 ივლისი, 2016) მთლიან გაშუქებაში (2945 მასალა) ყველაზე მეტი მოცულობა მთავრობასა (33,1%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (20,2%) დაეთმოთ, რაც ჯამურად 53,3%-ს შეადგენს.

სხვა პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ერთიან "ნაციონალურ მოძრაობას" (11,7%), ხოლო "რესპუბლიკელები" და "თავისუფალი დემოკრატები" თანაბრად, თითოეული – 6,1%-ით არის წარმოდგენილი. მათ მოსდევს "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო" (2,4%) და ახალი პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ (2,3%). ყველა ის პარტია, რომლის გაშუქება – 1%-ზე ნაკლები იყო, ჯამურად 8,3%-ს შეადგენს. მათ შორის არიან კვალიფიციური სუბიექტები: "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (0,9%), "ეროვნული ფორუმი" (0,7%), "პატრიოტთა ალიანსი" (0,7%), "ლეიბორისტული პარტია" (0,6%), "კონსერვატიულ პარტია" (0,3%) და ახლად შექმნილი პარტიები: "თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის" (0,9%), "გირჩი" (0,7%) და "ახალი საქართველოს" (0,5%).
ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის წილი – 7,2%, ცესკოს კი 0,3%-ია.

[46] MediaMeter.ge, MDF, მედია პროფილები. http://mediameter.ge/ge/media-profiles/pirveli-radio

დიაგრამა 6.4.1 პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირველი რადიო




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. პირველი რადიოს ონლაინ გამოცემაში ყველაზე დიდი სხვაობა პირდაპირ (16,4%) და ირიბ (23%) გაშუქებას შორის „ქართული ოცნება" შემთხვევაშია, შედარებით ნაკლებია სხვაობა მთავრობის (პირდაპირი: 30,6%, ირიბი: 34,9%) და "ნაციონალური მოძრაობის" (პირადპირი: 10,1%, ირიბი: 12,9%) შემთხვევაში.

სხვა კვალიფიციური პარტიების შემთხვევაში კი პირიქით, პირდაპირი გაშუქება სჭარბობს ირიბს: "რესპუბლიკელები" (პირდაპირი: 8,2%, ირიბი: 5,5%), "თავისუფალი დემოკრატები" (პირდაპირი: 8%; ირიბი: 4,8%), "დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველო" (პირდაპირი 3,8%, ირიბი 1,4%). "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (პირდაპირი 1,1%, ირიბი 0,7%).

პრეზიდენტის ინსტიტუტის როგორც პირდაპირი (7,1%), ისე ირიბი (7,3%) გაშუქების მონაცემები თითქმის თანაბარია. სხვა სუბიექტების შემთხვევაში, მკვეთრი სხვაობები გაშუქების ფორმებს შორის არ იკვეთება.

დიაგრამა 6.4.2 პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება, პირველი რადიო




კონტენტის ტონი სუბიექტის გაშუქებაში. პირველმა რადიომ ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით თავისუფალი დემოკრატები (14%) და მთავრობა 13% გააშუქა. შედარებით მცირე იყო "ქართული ოცნები"ს (8%), "სახელმწიფო ხალხისთვის" (6%) და "ნაციონალური მოძრაობის" (5%) პოზიტიური კონტენტის ტონი. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით გაშუქებულია კოალიცია „ქართული ოცნება" (25%) და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (23%), ასევე მაღალი მაჩვენებელია მთავრობის გაშუქების ნეგატიურ ტონშიც, რომელიც 17%-ია.

ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონი (97%) "დემოკრატიული მოძრაობის" მიმართ იკვეთება, იმ პირობებში, როცა ნეგატივი 3%, პოზიტივი კი 0%-ია. მაღალია ასევე ახალი პარტიის "სახელმწიფო ხალხისთვის" გაშუქების ნეიტრალური ტონი (94%), იმ პირობებში, როცა პოზიტივი 6%, ნეგატივი კი საერთოდ არ არის. პრეზიდენტის შემთხვევაში ნეგატივიც და პოზიტივიც თანაბარია (5-5%), ძირითადად კი ნეიტრალური გაშუქება (90%) დომინირებს.

მართალია, ცესკოს გაშუქება მწირია, მაგრამ გაშუქების 14 % ნეგატიური ტონია.

დიაგრამა 6.4.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, პირველი რადიო




სუბიექტების წილი დადებით და ნეგატიურ კონტენტში. მთავრობას როგორც პოზიტიური ტონის კონტენტში (53,2%), ასევე ნეგატიურის (37,9%) ყველაზე მაღალი წილი აქვს. ნეგატიური ტონის კონტენტში წილი პოზიტიურში წილს 3 ყველაზე გაშუქებადი პარტიის შემთხვევაში სჭარბობს. ესენია: "ქართული ოცნება" (ნეგატიური 33,3%, პოზიტიური 19,1%), "ნაციონალური მოძრაობა" (ნაგატიური 17,6%, პოზიტიური 6,6%), "რესპუბლიკური პარტია" (ნეგატიური 4%, პოზიტიური 2%). "თავისუფალი დემოკრატების" შემთხვევაში კი პირიქით, პოზიტიური ტონის კონტენტში წილი (10,9%) ნეგატიურში არსებულ წილზე (0,8%) საგრძნობლად მაღალია. ახალი პარტია "სახელმწიფო ხალხისთვის" წილი პოზიტიურ კონტენტში 1,8% მაშინ, როცა ნეგატიური გაშუქება საერთოდ არ იკვეთება, ხოლო მთლიანი გაშუქების 94% ნეიტრალურია.
მცირეა, როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ტონში იმ პარტიების ხვედრითი წილი, რომელთა გაშუქება 1%ზე ნაკლებია.

პოზიტიური ტონის წილში პრეზიდენტის მაჩვენებელი 4,9%, ხოლო ნეგატიურში 2,2%-ია.

დიაგრამა 6.4.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნაგატიურ კონტენტში - პირველი რადიო



## თვისებრივი მონაცემები

„პირველი რადიოს“ ონლაინ გამოცემაში საპარლამენტო კვალიფიციური სუბიექტები ფართოდ არიან წარმოდგენილი. გამოცემა მოვლენებს ძირითადად პლურალიზმის პრინციპების დაცვით აშუქებს, თუმცა სტანდარტულად გვთავაზობს ცალკეულ რესპონდენტებზე დაყრდნობით ინფორმაციას, ხშირად გადამოწმებისა და მოპასუხე მხარის კომენტარის გარეშე. შესაბამისად, გვხვდება ტენდენციური გაშუქების მაგალითები, მანიპულაციისა და ბალანსის დარღვევის, ფაქტობრივი სიზუსტის დარღვევის შემთხვევები.



სიზუსტე/ფოტო-მანიპულაცია. სათაურით „ოცნების კარუსელი, ვანგა და პრემიერი“, გამოცემამ 6 აპრილს გამოაქვეყნა პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის კომენტარი, რომელშიც რესპონდენტი მთავრობაში დაგეგმილ შესაძლო ცვლილებებს უარყოფითად აფასებს. მასალაში არ არის მოყვანილი მთავრობის ოფიციალური პოზიცია, რომელიც უარყოფდა ან დაადასტურებდა კაბინეტში მოსალოდნელ გადაადგილებებს. მიუხედავად იმისა, რომ 5 აპრილს რუსთავი 2-ის ეთერში პარლამენტის ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ ასეთი ცვლილებები არ დაადასტურა[47], პირველი რადიოს 6 აპრილის მასალაში ეს შესაძლებლობა როგორც რეალური ფაქტია მოწოდებული და წარმოდგენილია რესპონდენტის ნეგატიური შეფასება სავარაუდო ფაქტზე. რესპონდენტის მიერ კომენტარში გაკეთებული შეფასებები “სამთავრობო კარუსელის” და ერთ-ერთი გაზეთის[48] “ვანგადქცევის” შესახებ ვიზუალიზებულია ფოტოკოლაჟით, რომელშიც პრემიერ-მინისტრი, ნათელმხილველი ვანგა და კარუსელი ფიგურირებს, რაც შინაარსის მიმართ წინასწარ განწყობას ქმნის. მასალაში არც ის არის მითითებული, თუ რომელ გაზეთს გულისხმობს რესპონდენტი და კონკრეტულად რა ცვლილებების განხორციელებაზეა საუბარი.

ბალანსი/ფოტომანიპულაცია. 6 აპრილს „პირველმა რადიომ“, სათაურით „175 ტონა საწვავი ნარმანიას მერიისათვის“, გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაცია “მედიატორის” ინფორმაცია თბილისის მერიაში საწვავის გადაჭარბებული ხარჯვის შესახებ. მასალა მხოლოდ ერთი წყაროს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციას და შეფასებებს ეყრდნობა და მასში არ არის წარმოდგენილი დედაქალაქის მერიის პოზიცია. მასალას მანქანაში საწვავის ჩასხმის ამსახველ კადრთან ერთად ერთვის თბილისის მერის დავით ნარმანიას 2015 წელს ახალგაზრდული ოლიმპიადის საპრეზენტაციო ღონისძიებაზე, ოლიმპიადის სიმბოლოების ფონზე გადაღებული ფოტო. აღნიშნული ფოტო კავშირში არ არის სტატიის შინაარსთან და მერის გაშარჟების მცდელობას წარმოადგენს.



ფოტომანიპულაცია. 15 ივნისს სათაურით, „სირაქლემა და სარკე – წულუკიანი ეძებს განტევების ვაცს, ოღონდ როგორმე მას რამე არ დაბრალდეს“ პირველმა რადიომ გამოაქვეყნა ექსპერტ გია ხუხაშვილის კომენტარი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილს წინასწარი პატიმრობის საქმეზე ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევა დადგინდა. მასალა ილუსტრირებულია ფოტომონტაჟით, რომელზეც სირაქლემა სარკეში იყურება. ილუსტრაცია მანიპულაციურია და რესპონდენტის მთავრობის მიმართ ნათქვამ ერთ ფრაზას ეფუძნება, სადაც ის მთავრობას ურჩევს, სირაქლემას პოზის ნაცვლად სარკეში ჩაიხედოს.



მანიპულირება რელიგიური გრძნობებით. 26 ივლისს პირველმა რადიომ გამოაქვეყნა მასალა, სათაურით “ახალ სახეებში არიან ადამიანები, ვისაც აშკარად რადიკალური აგრესიული პოზიცია უკავიათ

[47] ლიბერალი, (5 აპრილი, 2016), “გია ვოლსკი: მთავრობაში საკადრო ცვლილებები არ იგეგმება” http://liberali.ge/news/view/21892/gia-volski-mtavrobashi-sakadro-tsvlilebebi-ar-igegmeba
[48] ვანგა – ბულგარელი უსინათლო ნათელმხილველი

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ" . აღნიშნული მასალა არის ფრაგმენტი ტაბლოიდურ გაზეთ „ალიადან“, სადაც რესპონდენტი, იურისტი ვალერი გელბახიანი ქართული ოცნების საპარლამენტო სიის ახალი სახეების ზოგიერთი წევრის ანტიმართლმადიდებლურ და ანტიეროვნულ ქმედებებზე საუბრობს. მისი აზრით, პარლამენტში არ შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი ის პირები, ვინც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვს და ქართულ ღირებულებებს ებრძვიან. მასალა მხოლოდ ერთი მხარის განზოგადებულ კომენტარს შეიცავს, რომელშიც არ არის დაკონკრეტებული, თუ ქართული ოცნების რომელი ახალი წევრის ქმედება იგულისხმება ანტიეროვნულ ქმდებებში. რედაქციის მიერ როგორც სათაურის, ასევე მასალის გამოსაქვეყნებლად შერჩევა, რელიგიური გრძნობებით მანიპულაციას წარმოადგენს და ახდენს დაუსაბუთებელ განზოგადებას, რომ "ქართული ოცნების" ახალი სახეები მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძვიან.

ბალანსი. 31 ივლისს გამოქვეყნებული ინფორმაცია "თავისუფალი დემოკრატების" აქცია გლდანში- პოლიტიკური პარტიის ლიდერები მიმდინარე მშენებლობებში ნარმანიას ძმის ინტერესებზე საუბრობენ", შეეხება გლდანის მე-5 მიკრორაიონში, დავით ჯაბიძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის წინააღმდეგ მიმართულ აქციას, რომელშიც მოსახლეობასთან ერთად თავისუფალი დემოკრატების გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატი ამირან გიუაშვილი მონაწილეობდა. მასალაში მოყვანილია ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების გამოსვლა, რომლის ვინაობა დაკონკრეტებული არ არის და რომელმაც მშენებლობის უკან თბილისის მერის, დავით ნარმანიას ინტერესებზე ისაუბრა. ამირან გიუაშვილი კი მერის ძმის ინტერესებზე ეჭვის დონეზე საუბრობს. მეორე მხარის პოზიცია ან რაიმე ფაქტობრივი მტკიცებულება მშენებლობაში მერის ძმის ინტერესებთან დაკავშირებით ინფორმაციაში წარმოდგენილი არ არის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქების სტანდარტი/კონფიდენციალური წყარო. 14 აპრილს „პირველმა რადიომ“ გამოაქვეყნა სააგენტო „ჯი ეიჩ ენის“ მიერ გასაჯაროვებული კვლევა სათაურით, „ქართული ოცნების“ შიდა კვლევა: „ოცნება“ - 33,2%, „ნაციონალური მოძრაობა“ - 30,7%. აღსანიშნავია, რომ თავად "ქართულ ოცნებას" ეს კვლევა ოფიციალურად არ გაუსაჯაროვებია და ის სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენმა“[49] ექსკლუზიურად, სავარაუდოდ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით მოიპოვა. მართალია, პირველ რადიოს თავის მასალაში კვლევის წყაროდ „ჯი-ეიჩ-ენი“ აქვს მითითებული, მაგრამ არ აქვს აღნიშნული, თუ რა გზით მოიპოვა სააგენტომ შიდაპარტიული კვლევა. რედაქციას არც ქართულ ოცნებასთან გადაუმოწმებია, ადასტურებდნენ თუ არა ისინი კვლევის ავთენტურობას. იმ პირობებშიც კი, თუ რედაქცია დარწმუნდებოდა, რომ კონფიდენციალური გზით მოპოვებული გამოკითხვის შედეგები რეალურია, მას მკითხველისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია როგორც "ქართული ოცნების" პოზიციის, ასევე იმის შესახებ, თუ რა გზით მოიპოვა "ჯი-ეიჩ-ენმა" იგი. პირველ რადიოს თავის პუბლიკაციაში არ აქვს მითითებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ისეთი არსებითი მონაცემები, როგორიცაა ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა, კითხვების ზუსტი ფორმულირება, სავარაუდო ცდომილება, გამოკითხულთა რაოდენობა, კვლევის მეთოდოლოგია და სხვა. აღსანიშნავია, რომ "ჯი-ეიჩ-ენ"-ისა და "პირველი რადიოს" სათაურები იდენტურია და მასში აქცენტი ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის - "ქართულ ოცნებას" (33,2%) და "ნაციონალურ მოძრაობას" (30,7%) - უმნიშვნელო განსხვავებაზე კეთდება.

## 6.5 მარშალპრესი

მარშალპრესის შესახებ: ინტერნეტ-პორტალი მარშალპრესი მედია სივრცეში 2015 წლის 18 თებერვალს გამოჩნდა. Marshallpress.ge-ს შპს მარშალპრეს.ჯი გამოსცემს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი 2015 წლის 6 მაისის მონაცემებით, ინფო 9-ის ყოფილი ჟურნალისტი ოთარ სტეფანიშვილი იყო. 2015 წლის 24 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი ოთარ სტეფანიშვილთან (49%) ერთად მფლობელთა შორის ლუკა ანთიძეც (51%) ფიგურირებს.

### რაოდენობრივი მონაცემები

მთლიანი გაშუქება: მარშალპრესმა საანგარიშო პერიოდში (1 აპრილი -31 ივლისი) საერთო გაშუქებაში (2738 მასალა) ყველაზე დიდი ადგილი მთავრობას (35,7%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (27%) დაუთმო, რაც ჯამურად 62,7%-ს შეადგენს.

ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (13,7%) საერთო გაშუქების მხრივ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ჰქონდა. საარჩევნო სუბიექტებიდან შემდეგ ადგილებზე იყვნენ რესპუბლიკური პარტია - 5,3%, პატრიოტთა ალიანსი - 2% და ახლადშექმნილი პარტიებიდან "სახელმწიფო ხალხისთვის" - 2%.

სხვა კვალიფიციური სუბიექტები მთლიან გაშუქებაში 1% და 1%-ს ქვემო არიან წარმოდგენილი: "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" და "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" (1%), თავისუფალი დემოკრატები 0,4%, კონსერვატიულ პარტია - 0,4%, ეროვნული ფორუმი -0,3% და ლეიბორისტული პარტია 0,3%.
ინსტიტუტებიდან პრეზიდენტის მთლიანი გაშუქების წილი 5,9%-ია, ცესკოს მხოლოდ - 0,2%.

[49] ჯი-ეიჩ-ენი, (14 აპრილი, 2016), ქართული ოცნების" შიდა კვლევა: „ოცნება" - 33,2%, „ნაციონალური მოძრაობა" - 30,7%". http://ghn.ge/com/news/view/151752

დიაგრამა 6.5.1 პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, მარშალპრესი




პირდაპირი და ირიბი გაშუქება. მარშალპრესმა როგორც პირდაპირი (38,4%), ისე ირიბი (32,7%) გაშუქების მხრივ ყველაზე დიდი ადგილი მთავრობას დაუთმო. მაღალია ასევე „ქართული ოცნების“ პირდაპირი (35,3%) და ირიბი (17,9%) გაშუქება.

ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა პირდაპირ და ირიბ გაშუქებას შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშია, როცა ირიბი (26,2%) პირდაპირს (2,5%) აჭარბებს. ირიბი მაჩვენებელი (7,1%) პირდაპირს (4,8%) პრეზიდენტის გაშუქების შემთხვევაშიც აჭარბებს, ისევე როგორც ახლად შექმნილი პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ირიბი: 2,9%, პირდაპირი: 1,2%) შემხვევაში. იდენტური ვითარებაა “თავისუფალ დემოკრატებთან”და "ლეიბორისტებთან" მიმართებითაც (პირდაპირი: 0,1%, ირიბი: 0,6%), რომლებიც შედარებით მწირად არიან წარმოდგენილები. როგორც დიაგრამა 6.5.2 აჩვენებს, სხვა სუბიექტების შემთხვევებში მკვეთრი სხვაობები პირდაპირ და ირიბ გაშუქებას შორის არ იკვეთება.

დიაგრამა 6.5.2 პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქება, მარშალპრესი




კონტენტის ტონი სუბიექტების გაშუქებაში. სხვა სააგენტოებთან შედარებით “მარშალპრესმა” გარკვეული პოლიტიკური სუბიექტები მკვეთრად გამოკვეთილი პოზიტიური ან ნეგატიური ტონით გააშუქა. მაგალითად, ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით წარმოდგენილი იყო მთავრობა (29%), „ქართული ოცნება“ (24%), პრეზიდენტი (16 %), არასაპარლამენტო ოპოზიცია (10%), სხვადასხვა პარტიები, რომელთა ცალკე გაშუქების მაჩვენებელი 1%-ს არ აჭარბებს და ერთიანად არის წარმოდგენილი (10%).

სუბიექტებს შორის ყველაზე მაღალი ნეგატიური გაშუქების ტონი (72%) "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" აქვს, რა დროსაც პოზიტიური მაჩვენებელი 4%-ია. მაღალი ნეგატიური ტონი (24%) იკვეთება ასევე რესპუბლიკური პარტიის მიმართ, რომელსაც 5%-იანი პოზიტიური კონტენტის ტონი აქვს.

მართალია, მთავრობის და "ქართული ოცნების" შემდეგ ყველაზე მაღალი პოზიტიური გაშუქების მაჩვენებელი პრეზიდენტს აქვს (16%), მაგრამ ამავდროულად ნეგატივი საკმაოდ მაღალია (27%). ანალოგიურად პაატა ბურჭულაძის ახალ პოლიტიკურ გაერთიანება „სახელმწიფო ხალხისთვის" - 8 %-იან პოზიტიურ გაშუქებასთან ერთად - 48% ნეგატიური მაჩვენებელი აქვს. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონით "პატრიოტთა ალიანსი" (94%), "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (94%), "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" (92%), "თამაზ მეჭიაური - ერიანია საქართველოსთვის" (88%) არიან გაშუქებული.

დიაგრამა 6.5.3. პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება - კონტენტის ტონი, მარშაპრესი




სუბიექტების წილი სააგენტოს დადებით და ნეგატიურ კონტენტში. მარშალპრესზე ყველაზე მაღალი წილი პოზიტიური ტონის კონტენტში მთავრობას (53,5%) და „ქართულ ოცნებას" (33,7%) აქვს, რაც ჯამურად 87,2%-ია. შედარებით მცირეა პრეზიდენტის (4,7%), "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (2,5%), "რესპუბლიკური პარტის" (1,4%) და სხვა დანარჩენი სუბიექტების (4,2%) პოზიტიური ტონის წილი, რაც ჯამურად 12,8%-ს შეადგენს.

სააგენტო მარშალპრესის ნეგატიური ტონის კონტენტის ყველაზე დიდი მოცულობა (60,5%) "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე" მოდის, რომელსაც მოსდევს პრეზიდენტი (9,6%), "რესპუბლიკურ პარტია" (7,8%), "სახელმწიფო ხალხისთვის" (6,1%). შედარებით დაბალია მთავრობის (4,7%), "ქართული ოცნების" (3,8%), "ლეიბორისტული პარტიის" (1,3%) და ყველა სხვა იმ სუბიექტის მონაცემი (5,1%), ვინც 1%-ზე დაბლა გაშუქდა და დიაგრამა 6.5.4-ზე ჯამურადაა ასახული.

დიაგრამა 6.5.4 პოლიტიკური სუბიექტების გაშუქების წილი პოზიტიურ და ნეგატიუ კონტენტში - მარშალპრესი



## თვისებრივი მონაცემები

მონაცემთა და ქეისების ანალიზი აჩვენებს, რომ სააგენტო „მარშალპრესი“ გამოირჩევა ეთიკური სტანდარტების, ბალანსის, ფაქტობრივი სიზუსტის დარღვევის, ვიზუალური მანიპულაციის პრაქტიკით.

ვიზუალური მანიპულაცია. მანიპულაციური ფოტო და ვიდეო მასალა სააგენტოს მიერ ძირითადად ცალკეული პოლიტიკოსების და სხვადასხვა თემატიკასთან მიმართებით კრიტიკული საზოგადოებრივი განწყობების გასაძლიერებლად გამოიყენებოდა.

მაგალითად, სააგენტომ გამოაქვეყნა ფრანს 24-ისთვის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ 2015 წელს მიცემული ინტერვიუს ფრაგმენტი დამონტაჟებული სახით, სათაურით „მიხეილ სააკაშვილი არაფხიზელ მდგომარეობაში“ (18 აპრილი)[50]. 16 წამიან ვიდეოზე ინტერვიუს[51] მხოლოდ ის მცირედი ფრაგმენტებია დამონტაჟებული, როდესაც ჟურნალისტი რობერტ პარსონსი რესპონდენტს 2 შეკითხვას უსვამს, კადრებში ფოკუსირება კითხვების დასმის მომენტში სააკაშვილის სახის გამომეტყველებაზე კეთდება, გამოტოვებულია კითხვებზე რესპონდენტის პასუხი, ბოლო კადრი კი სააკაშვილის გაღიმებული სახეზე ჩერდება. ვიდეოს თან ერთვის სარედაქციო კომენტარი, სადაც აღნიშნულია, რომ მასალის გამოქვეყნება სოციალურ ქსელში მისი პოპულარობის გამო გადაწყვიტეს, სააკაშვილი კი მასზე სავარაუდოდ არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფება. მასალის სათაურის შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, სათაური კი კადრებით მანიპულაციას და დაუსაბუთებელ სარედაქციო ტექსტს ეფუძნება.




21 ივლისს “მარშალპრესმა” ასევე გამოაქვეყნა ფოტომონტაჟი[52], რომელიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ISIS-ისთან კავშირზე მიანიშნებს. ილუსტრაცია თან ერთვის ინფორმაციას, სათაურით „ფეთულაჰ გიულენის მიერ საქართველოში დაარსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების სია“. სააგენტო „ქართული დასის“ ლიდერზე ჯონდი ბაღათურიაზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ფეთულაჰ გიულენს, რომელიც თურქეთის ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის დედასთან, გიული ალასანიასთან ერთად დაფუძნებული აქვს სასწავლო დაწესებულებები. ინფორმაცია შეიცავს მხოლოდ სასწავლო დაწესებულებების ნუსხას და მასში არ არის საუბარი ისლამურ სახელმწიფოსთან ფოტოზე გამოსახული პირების - ყოფილი პრეზიდენტის, მისი დედის და გიულენის - კავშირზე.






ფოტომანიპულაცია ასევე შეეხებოდა ახალი პოლიტიკური გაერთიანების “სახელმწიფო ხალხისათვის” ლიდერს პაატა ბურჭულაძეს. 16 მაისს სააგენტომ გამოაქვეყნა ტაბლოიდურ გაზეთ “ასავალ-დასავალში” დაბეჭდილი პოეტ რეზო ამაშუკელის კომენტარი, სათაურით „პაატა ბურჭულაძე „რუსთავი 2“-ის ბორდელს მამაშასავით გადაეფარა“[53]. ფოტომონტაჟი, რომელიც თან ახლავს მასალას, ბიოგრაფიული დეტალებით მანიპულაციას ახდენს და ასახავს პარტიის ლიდერისა და საოპერო მომღერლის მიერ არიის შესრულების ფრაგმენტს, კომენტარში კი საუბრია იმაზე, რომ პაატა ბურჭულაძე “ნაციონალური მოძრაობის” სატელიტია და მის დაკვეთას ასრულებს.

[50]მარშალპრესი, 18 აპრილი, 2016. http://marshalpress.ge/archives/32867
[51] France 24, The Interview , 23 February, 2015. http://www.france24.com/en/20150221-interview-mikheil-saakashvili-former-georgian-president-ukraine-putin-poroshenko
[52] http://marshalpress.ge/archives/49610
[53] http://marshalpress.ge/archives/37792



სიძულვილის ენის თავში განხილულია ფოტომონტაჟის ერთი შემთხვევა, რომელიც ჰომოფობიურ კონტექსტს ატარებს (იხ.გვ.?). სააგენტომ 20 აპრილს ასევე მიმართა ფოტომანიპულაციას ჰომოფობიურ კონტექსტში. სტატია, სათაურით, „ერთსქესიანთა ქორწინების რეფერენდუმზე გასატანად ხელმოწერები ვერ გროვდება[54]“ შეეხება ოჯახის დეფინიციის განსასაზღვრად სარეფერენდუმო კითხვის რეგისტრაციის საკითხს, რომელიც რეფერენდუმის გზით კონსტიტუციაში ოჯახის ქალის და მამაკაცის ერთობად განსაზღვრას ისახავს მიზნად. მასალა ილუსტრირებულია ერთ-ერთ უცხოურ ქვეყანაში LGBT Pride-ის დროს გადაღებული ფოტოთი, სადაც მამაკაცი საქორწილო კაბაშია წარმოდგენილი.

ფაქტობრივი სიზუსტე/მიკერძოება. სააგენტო PIA-ს იდენტურად გააშუქა მარშალპრესმა 22 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში ნაციონალური მოძრაობის ლიდერების თბილისიდან ჩაყვანილი სპორტსმენების მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, რომელიც წარმოჩენილი იყო, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასა და ნაციონალური მოძრაობის წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება („ფიზიკური დაპირისპირება კორცხელის საარჩევნო უბანზე“). მასალის თანმხლებ ვიდეო-კადრებში კი ჩანს, როგორ უსწორდებიან ფიზიკურად ნაციონალური მოძრაობის წევრებს უცნობი მამაკაცები.

PIA-ს მსგავსად, გაზეთ “ახალ თაობაზე” დაყრდნობით, გამოაქვეყნა მარშალპრესმაც ცალმხრივი მასალა, იდენტური შინაარსითა და სათაურით „რაში ხარჯავს პაატა ბურჭულაძე ჩვენი მოქალაქეების საქველმოქმედო შენაწირებს“ (20 ივლისი). სტატია, რომელიც სათაურში ბრალს სდებს “სახელმწიფო ხალხისთვის” ლიდერს საქველმოქმედო ფონდ “იავნანადან” თანხების მითვისებაში, კითხვების ფორმით გამოთქვამს ეჭვებს ქველმოქმედების მიზნით შეგროვებული თანხების მითვისებასთან დაკავშირებით. მასალა დაუბალანსებელია, რადგან მასში არც პაატა ბურჭულაძის, არც ფონდის წარმომადგენლის პოზიცია არ არის ასახული.

ფაქტობრივი დასაბუთებისა და ერთ წყაროზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი ბრალდებები ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის მიმართაც, სათაურით “ლეიბორისტული პარტია მსუყედ დაფინანსდა “ნაციონალური მოძრაობისგან - სოსო შატბერაშვილი” (14 მაისი). მასალა ეყრდნობა მხოლოდ “მემარცხენე ალიანსი“-ს ლიდერის და ყოფილი ლეიბორისტის, სოსო შატბერაშვილის კომენტარს, სადაც ის აცხადებს, თითქოს შალვა ნათელაშვილს ავსტრიის ბანკში ასეულობით ათასი ევრო ნაციონალური მოძრაობისგან ერიცხება. მასალა ცალმხირვია და მასში არც ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის პოზიციაა ასახული, არც ფაქტობრივი მტკიცებულებებია მოცემული.

ფაქტობრივი სიზუსტე/მანიპულაციური სათაური. სათაურით, “არანაირი უფლება არ გაქვთ აქ მობრძანდეთ “- ვარშალომიძეს მოსახლეობა დაუპირისპირდა “ (20 ივლისი) მარშალპრესმა აჭარაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის ლევან ვარშალომიძის ამომრჩეველთან წინასაარჩევნო შეხვედრა გააშუქა. მასალის თანმხლებ ვიდეოში ჩანს, რომ უკმაყოფილებას ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდით მხოლოდ შეხვედრაზე მყოფი ერთი მოქალაქე გამოთქვამს. სააგენტო ერთი პიროვნების დაპირისპირებას კანდიდატთან სათაურში მთელ მოსახლეობაზე ანზოგადებს, ხოლო სარედაქციო ტექსტში აღნიშნავს, რომ ე.წ. ოცნების ქალაქის დასახლებაში მისულ ვარშალომიძეს იქ მცხოვრებთა ნაწილი დაუპირისპირდა. როგორც სათაურს, ასევე ტექსტს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი.

მიკერძოება/ტენდენცია. „თავისუფალი დემოკრატების“ გაშუქება საერთო მოცულობაში, მართალია საკმაოდ დაბალია (0.4%), მაგრამ უარყოფითი გაშუქების წილი საკმაოდ მაღალი, რაზეც ქვემოთ მოყვანილი საილუსტრაციო სათაურებიც ცხადყოფს:

> “ღმერთმა დაიფაროს საქართველო ირაკლი ალასანიასნაირი ლიდერისაგან!” – დემურ გიორხელიძე (ნაპრილი); ”რატომ არ დაიკითხა ალასანია? რატომ არ გადადის მასზე პასუხისმგებლობა?” (19 მაისი); „შესაძლოა ირაკლი ალასანია დაიკითხოს“ (23 მაისი); “ზაზა ფირალიშვილმა “თავისუფალი დემოკრატები” დატოვა” (16 ივნისი); “ალასანიას გუნდის წევრებმა პარტია დატოვეს და “ქართულ ოცნებას” შეუერთდნენ” (21 ივნისი); ირაკლი ალასანიას და მის სპეცსამსახურებს მომზადებული ჰქონდათ ჩემთვის ხაფანგი – კვიციანი (14 ივლისი); ალასანიასთან შედარებით, ბოკერიაც კი ზნეობრიობისა და კეთილსინდისიერების განსახიერებაა – გამზარდია (16 მაისი).

სიზუსტე/საზოგადოებრივი აზრის კვლევის სტანდარტი. სათაურით „ქართული ოცნება” – 31%, „ნაციონალური მოძრაობა“ -11% – NDI (13 აპრილი) მარშალპრესმა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებული მონაცემები გააშუქა. კერძოდ, სააგენტოს ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ პარტიების

[54] http://marshalpress.ge/archives/33148

რეიტინგში „ქართული ოცნება“ ლიდერობს და კითხვაზე - ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას - 31% „ქართული ოცნებას“, ხოლო 11% ნაციონალური მოძრაობას ასახელებს. NDI-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების[55] თანახმად კი, აღნიშნულ შეკითხავზე რესპონდენტებს განსხვავებული პასუხი აქვთ. კერძოდ: 16 % ქართულ ოცნებას, ხოლო 15% ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს.

31% ქართული ოცნების სასარგებლოდ გამოკითხვაში სრულიად სხვა კითხვის პასუხად ფიგურირებს. კერძოდ, შეკითხვაზე - ხვალ რომ ასაპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, თქვენი აზრით, რომელი პარტია/გაერთიანება გაიმარჯვებდა - 31% “ქართულ ოცნებას”, ხოლო 11% “ერთიან ნაციონალური მოძრაობას” ასახელებს.

აღნიშნულ ინფორმაციაში საარჩევნო კოდექსის 51(11) მუხლით დადგენილი 11 სავალდებულო რეკვიზიტიდან მხოლო 4 - დამკვეთი, გეოგრაფიული არეალი, რესპონდენტები და ჩატარების დროა მითითებული.

PIA-ს მსგავსად შეცდომაში შემყვანად გააშუქა მარშალპრესმა NDI-ის ივნისის კვლევის მონაცემები, სათაურით „NDI- გამოკითხულთა 57% ხმას იგივე პოლიტიკურ ძალას მისცემს, რომელსაც 2012 წელს მისცა“ (29 ივლისი). ტექსტში არ არის აღნიშნული, რომ 57% მხოლოდ იმ 38%-ის უმრავლესობას ასახავს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, ვის მისცემს ხმას. სავალდებულო რეკვიზიტებიდან აღნიშნულ ინფორმაციაში მხოლოდ 5 - დამკვეთი, მეთოდოლოგია, რესპონდენტების რაოდენობა, გეოგრაფიული არეალი და დროა მითითებული[56].

[55] NDI (მარტი,, 2016), საზოგადოების განწყობები საქართველოში. https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_Public%20political_GEO_vf.pdf

[56] კანონით მედიამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი რეკვიზიტები: 1. კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაცია, 2. დამკვეთი ან დამფინანსებელი; 3. კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა; 4. საველე კვლევის ჩატარების დრო; 5. გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი; 6. რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა; 7. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს; 8. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა; 9. შერჩევის ზომა; 10. ცდომილების ფარგლები; 11. ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე

## 7. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა და სტერეოტიპები სატელევიზიო და ონლაინ მედიაში

4 თვის (1 აპრილი- 31 ივლისი) მონიტორინგის შედეგების თანახმად, გენდერული წარმომადგენლობა როგორც ტელევიზიების პრაიმ თაიმის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში, ასევე ონლაინ მედიაში თითქმის იდენტურია: ტელევიზია: (კაცი -84%, ქალი -16 %), ონლაინ მედია (კაცი -85%მ ქალი - 15%).

ტელე მედიაში გაშუქებული ქალი პოლიტიკოსების უმრავლესობა კველიფიციურ პარტიებს წარმოადგენს (52%), მეორე ადგილზეა მთავრობა (34%), ხოლო დანარჩენი სუბიექტების კუთვნილება ასე გამოიყურება: პრეზიდენტის ინსტიტუტი - 8%, ცესკო - 2%, ახალი პოლიტიკური პარტიები (2%), არსაპარლამენტო ოპოზიცია -1%, დამოუკიდებელი დეპუტატი -1%.

ონლაინ-მედიაში პირველი სამეულის ტენდენცია შენარჩუნებულია, თუმცა გაზრდილია მთავრობის წარმომადგენელი ქალი პოლიტიკოსების წილი და შემდეგი სურათი იკვეთება: კვალიფიციური პარტიები (45%); მთავრობა (42%); პრეზიდენტის ინსტიტუტი (7%); ახალი პოლიტიკური პარტიები (2%); არასაპარლამენტო ოპოზიცია (3%), ცესკო (1%).

დიაგრამა 7.1. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა TV და ონლაინ მედიაში (1 აპრილი- 31 ივლისი, 2016)




სატელევიზიო მედიიდან ქალ პოლიტიკოსებს ყველაზე მეტ დროს (19%) მედია-კავშირი "ობიექტივის" საინფორმაციო გამოშვება უთმობდა, რომელსაც "კავკასია" (18%), რუსთავი 2 (17%), იმედი (17%) და ტაბულა (17%) მოსდევენ.

დიაგრამა 7.2. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა ტელევიზიებში




ონლაინ მედიიდან ქალ პოლიტიკოსებს ყველაზე მეტ ადგილს სააგენტო PIA (19%) უთმობდა, რომელსაც ინტერპრესნიუსი, ნეტგაზეთი და პირველი რადიო თანაბარი მაჩვენებლით (14%) მოსდევდნენ; ყველაზე ნაკლებს კი - სააგენტო მარშალპრესი (12%).

დიაგრამა 7.3. პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა ონლაინ მედიაში



ამასთან, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ქალი პოლიტიკოსების გაშუქების ზრდის ტენდენცია. თუ მონიტორინგის დასაწყისში, აპრილში ტელემედიაში ქალ პოლიტიკოსთა წარმომადგენლობა მხოლოდ 11% იყო, ივლისში ამ მაჩვენებლმა 18% შეადგინა, ხოლო ყველაზე მაღალი (19%) ივნისში დაფიქსირდა. ონლაინ მედიაში ეს მონაცემი 14%-დან მაისში 17%-მდე გაიზარდა.

დიაგრამა 7.4. ქალ პოლიტიკოსთა გაშუქების დინამიკა თვეების მიხედვით (1 აპრილი -31 ივლისი, 2016)




ტელემედიაში წინასაარჩევნო სუბიექტების გაშუქების ანალიზმა გენდერულ ჭრილში აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალ პოლიტიკოსებს მედიაში მცირე დრო ეთმობათ, მათ გაშუქებაში პირდაპირი გაშუქების წილი უფრო მაღალია (77%), ვიდრე კაცი პოლიტიკოსების შემთხვევაში (65%).

დიაგრამა 7.5. ქალ პოლიტიკოსთა პირდაპირი/ირიბი გაშუქება ტელემედიაში




ამასთან, ტელემედიაში ქალი პოლიტიკოსების კონტენტის პოზიტიური(5%) და ნეგატიური (6%) ტონი მცირედად ჩამორჩება მამაკაცი პოლიტიკოსების გაშუქების შესაბამის მაჩვენებლებს - (9% და 8%); შესაბამისად, ქალი პოლიტიკოსები უფრო მაღალი ნეიტრალური ტონით არიან გაშუქებული (89%), ვიდრე მამაკაცი პოლიტიკოსები (83%).

დიაგრამა 7.6. ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების გაშუქების (კონტენტის) ტონი ტელემედიაში




ანალოგიური ტენდენციები იკვეთება ონლაინ-მედიაშიც, თუმცა ამ შემთხვევაში ირიბი გაშუქების მაჩვენებელი ზოგადად უფრო მაღალია, ვიდრე ტელემედიაში. კერძოდ ქალი პოლიტიკოსების პირდაპირი გაშუქება 58%-ია, კაცი პოლიტიკოსების კი - 50%.

დიაგრამა 7.7. ქალი და კაცი პოლიტიკოსების პირდაპირი/ირიბი გაშუქება ონლაინ მედიაში




ონლაინ მედიის შემთხვევაშიც ქალი პოლიტიკოსები 93%-ით ნეიტრალურად არიან გაშუქებულები, რაც აღემატება კაცი პოლიტიკოსების ნეიტრალური გაშუქების მაჩვენებელს (84%). ქალი პოლიტიკოსების პოზიტიური გაშუქება (4%) კი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება კაცი პოლიტიკოსების პოზიტიური გაშუქების მაჩვენებელს (10%).

დიაგრამა 7.8. ქალი და მამაკაცი პოლიტიკოსების გაშუქების (კონტენტის) ტონი ონლაინ მედიაში




ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკა. მედია-გაშუქების თემატურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ტელე-მედიაში ქალი პოლიტიკოსები ყველაზე მეტად შემდეგი 3 თემატური ჯგუფის ფარგლებში არიან გაშუქებული: მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები (20,2%); პოლიტიკური პარტიების ღონისძიებები, კანდიდატების წარდგენები (11,4%), რაც მიმდინარე არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ ქალი კანდიდატების უფრო აქტიურ წარმოდგენასთან უნდა იყოს დაკავშირებული; და საგარეო პოლიტიკის საკითხები (11,1%). საკმაოდ მაღალი პროცენტით (8%) არის ასევე წარმოდგენილი სამხედრო თემატიკა, რაც, მონიტორინგის პერიოდში თავდაცვის მინისტრისა და მისი მოადგილის გენდერული კუთვნილებით იყო განპირობებული.

დიაგრამა 7.9. ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკა ტელე მედიაში




სხვა-ში გაერთიანებული გვაქვს ის სფეროები, რომელთაც 1%-ზე დაბალი გაშუქებით გამოირჩეოდნენ. შესაბამისად, მედია-გაშუქების ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ქალი პოლიტიკოსების გაშუქების წილი ტელე-მედიაში მიზერულია შემდეგი უმნიშვნელოვანესი მიმართულებების მიხედვით - ჯანდაცვა 0,2%; სოციალური საკითხები - 0,9 %; ადამიანის უფლებები და უმცირესობები - 1,4%; განათლება - 2,2%.

ონლაინ -მედიაში ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატური პრიორიტეტები ნაწილობრივ განსხვავებულია - აქ პირველ ადგილზეა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების,

კანდიდატთა წარდგენების თემატიკა (21,5%), მეორე ადგილზეა საგარეო ურთიერთობები – (14,4%), მესამეზე კი – მართლმსაჯულება; სამხედრო თემატიკის გაშუქებას აქაც მაღალი მაჩვენებელი (9,9%) აქვს.

დიაგრამა 7.10. ქალი პოლიტიკოსების გაშუქების თემატიკა ონლაინ მედიაში




ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲝᲞᲔᲑᲘ/ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ. საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი გენდერული სტერეოტიპების შემცველი 4-ვე განცხადების წყარო კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები იყვნენ. განცხადებები კი პოლიტიკური დაპირისპირების ფარგლებში გაკეთდა. 7-მა მედია საშუალებამ გააშუქა ქართული ოცნების საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის კახა კალაძის სტერეოტიპული შეფასება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადების საპასუხოდ გაკეთდა, მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ.

> ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ, ქართული ოცნების საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე: „.. საქმე გვაქვს ჭორიკნობასთან, როდესაც ქალბატონები ჭორაობენ.“ *(რუსთავი 2, იმედი, ტაბულა, IPN; მარშალპრესი, პირველი რადიო, ნეტგაზეთი, 25 ივლისი).*

ქართული ოცნების წევრმა თამაზ მეჭიაურმა, რომელმაც მოგვიანებით დატოვა კოალიცია, გენდერული სტერეოტიპების შემცველი 2 განცხადება რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელთან დაპირისპირებისას გააკეთა. განცხადებები სტრეოტიპების გარდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ნიშნებსაც შეიცავდა.

> ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲘ, "ქართული ოცნება": „ქალბატონს არ შეიძლება ახლა მას თოფი დააჭერინო ხელში და რაღაც გადაწყვეტილების უფლება მისცე“*(რუსთავი 2, ტაბულა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, 11 მაისი)*

> ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲘ, "ქართული ოცნება": „ ქალბატონია და არ მინდოდა, მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მაგრამ, რადგან ეს ქალბატონი ყველაზე მამაკაცურ პოსტს იკავებს, თავს ვალდებულად ვთვლი, თუნდაც ორი სიტყვით ვუპასუხო – „ქალი უნდა იყოს „კუხნაში“, თუ იქ მაინც გამოდგება“ (მარშალპრესი, 10 მაისი).

ჰომოფობიურთან ერთად სექსისტური იყო საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის მერაბ კაჭახიძის ფეისბუქ-კომენტარი, რომელიც სააგენტო „მარშალპრესმა“ უკომენტაროდ გამოაქვეყნა:

> ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ, ქართული ოცნება/ კონსერვატიული პარტია: ” მეგობარი, პარტნიორი – საყვარელი, ნაშა. გეი, ცისფერი – პედარასტი. სექსმუშაკი – ბოზი. შეიცვალა რამე?! კი. ამ კატეგორიამ პარიკმახერით დაწყებული, ბოზით დამთავრებული საზოგადოების ელიტაში გადაინაცვლა! მორალი: ელიტამაც და სინდის – ნამუსმაც ფასი დაკარგა!” (მარშალპრესი, 27 ივლისი).

# 8. სიძულვილის ენა

**რეგულაციები.** ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციის[57] თანახმად, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობით სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, იმ შემთხვევების გარდა, როცა ის მყისიერ, გარდაუვალ და აშკარა ძალადობის საფრთხეს ქმნის. სიძულვილის ენაზე პროგრამული შეზღუდვები მხოლოდ მაუწყებლების შემთხვევაში არის დადგენილი: მაუწყებლობის შესახებ კანონის 56.3 მუხლის თანახმად:

> “იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას”.

სიძულვილის ენის შემზღუდავი სტანდარტები მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიითაც არის დადგენილი. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე, ნორმატიული აქტის სახით არის მიღებული. კოდექსის საფუძველზე 2009 წლიდან მაუწყებლებში შექმნილია თვითრეგულირების ორგანოები (კომისია და სააპელაციო ინსტანცია), რომელიც კოდექსის დებულებათა დარღვევის შემთხვევებს განიხილავს. როგორც ევროსაბჭოს ანგარიშშია[58] აღნიშნული, სიძულვილის ენასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე თვითრეგულირების მექანიზმი ეფექტიანად ყოველთვის არ მუშაობს, რადგან ამ ტიპის საქმეებში მაუწყებლები არაერთგვაროვნად განმარტავენ დაინტერესებული პირის ცნებას და უარს ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციების და პირთა ფართო ჯგუფის მიერ ინიცირებული საჩივრების განხილვაზე.

## რაოდენობრივი მონაცემები

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან სიძულვილის ენის შემცველი 25 განცხადება გაკეთდა და მონიტორინგის ქვეშ მყოფ სატელევიზიო ახალ ამბებსა და ონლაინ მედიაში გავრცელდა (48). ყველაზე მეტი შემთხვევა (17) ჰომოფობიური იყო, რასაც პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გამოხატული შეუწყნარებლობა და ძალადობის წახალისება (5) მოსდევდა, ადგილი ჰქონდა ასევე 1 რასისტულ გამოხატვას, 1 ინდივიდუალურ შეურაცხყოფას და 1 ფსიქიატრიულად დაავადებულ პაციენტთა დისკრიმინაციას, რაც ჟურნალისტის კრიტიკულ ინტერვიუს უკავშირდებოდა. ონლაინ მედიაში გამოქვეყნდა ჰომოფობიური 1 ფოტო მონტაჟი და ერთი ფოტომანიპულაცია.

დიაგრამა 8.1. სიძულვილის ენის ტიპოლოგია წყაროების მიხედვით




57 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997
http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dh-lgbt_docs/CM_Rec(97)20_en.pdf

58 ევროპის საბჭო, (10 დეკემბერი, 2015) ანგარიში საქართველოში ჟურნალისტების ეთიკური უფლებებისა და პასუხისმგებლობის მდგომარეობის შესახებ

ჰომოფობიის ყველაზე მეტ შემთხვევას (13) მმართველი პოლიტიკური კოალიციის – ქართული ოცნების[59] მხრიდან ჰქონდა ადგილი და მის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს და რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობას უკავშირდებოდა, რომელიც ქორწინების ქალის და მამაკაცის ერთობად განსაზღვრას ისახავს მიზნად. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული განცხადებები ძირითადად საჯარო საპარლამენტო განხილვების დროს და რეფერენდუმთან დაკავშირებით მოსახლეობასთან მმართველი პოლიტიკური გუნდის შეხვედრების დროს კეთდებოდა. ჰომოფობიური განცხადებები ქართული ოცნების წარმომადგენლის მხრიდან ასევე ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღესთან 17 მაისთან მიმართებაში გაკეთდა. 2 შემთხვევაში კი ჰომოფობიური განცხადებების წყარო იყო ახალი კოალიციის "თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლები, რომლის ლიდერი ქართული ოცნების დატოვების შემდეგ კვლევაში ცალკე სუბიექტად ფიგურირებს; 2 შემთხვევაში კი "პატრიოტთა ალიანსი".

ქვემოთ მოყვანილია სიძულვილის ენის ცალკეული მაგალითები ტიპოლოგიის მიხედვით.

## ჰომოფობია

ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება: "არასდროს არ ყოფილა რომეო და რომეო, ჯულიეტა და ჯულიეტა, ხომ?.. ეს მაინც არ იწვევს თანაგრძნობას, არ იწვევს თანაგრძნობას იმიტომ, რომ ეს არ არის ბუნებრივი, ეს არის გადახრა, ეს არის ზოგჯერ წამხედურობა, ზოგჯერ სენი, მაგრამ ეს არ არის ორგანული" (27 მაისი).

თამაზ მეჭიაური, ქართული ოცნება: "ფატიან კაცებს ისურვებდით თქვენ ოჯახში? გაბანჯგლულ-წვერებიანებს?" (7 აპრილი).

გოგი თოფაძე, ქართული ოცნება/მრეწველები: „ნუ ალბათ, არავის წარმოგიდგენიათ, რომ მთიულეთში, სვანეთში, ყაზბეგში, რომ ორი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვა, 20 წლის ბიჭი და ერთმანეთს ლოშნით წამოვლენ და თქვენ ამას მოიწონებთ?'' (7 აპრილი).

ზვიად ძიძიგური, ქართული ოცნება/კონსერვატორები: "ბავშვებს აქვთ უფლება, რომ მათი დედები იყვნენ ქალები და მათი მამები – კაცები. ჩვენ უნდა დავიცვათ ბავშვების უფლებები. აუცილებელია ეს მსოფლიოში, სადაც შექმნილია პეპლების, ხვლიკების, ჭიანჭველების დაცვის საზოგადოება" (5 მაისი).

მერაბ კაჭახიძე, ქართული ოცნება/კონსერვატორები: "მეგობარი, პარტნიორი – საყვარელი, ნაშა. გეი, ცისფერი – პიდარასტი. სექსმუშაკი – ბოზი – შეიცვალა რამე?... ტერმინების შეცვლით, არსი არ იცვლება."

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: "ამბობენ, რომ იქნება წამალი, რომელსაც ორსულს გაუკეთებენ და ბავშვი ჰომოსექსუალი აღარ დაიბადება" (24 ივლისი).

სანდრო ბრეგაძე, თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის/ მოძრაობა ეროვნულები: "თუ რეფერენდუმით არ ავკრძალეთ ერთი სქესის პირთა ქორწინება, მაშინ მომავალ პარლამენტში უცხოეთის ზეწოლით ეს გარყვნილება დაკანონდება" (29 ივნისი).

**ძალადობის წახალისება.** პოლიტიკური ნიშნით გამოხატული სიძულვილის ენა 22 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში "ნაციონალური მოძრაობის" წევრებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ინციდენტს უკავშირდებოდა, რასაც ქართული ოცნების წევრების მხრიდან ძალადობის წამახალისებელი მოწოდებები მოჰყვა (3). 1 შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობის წევრების ლინჩის წესით გასამართლების მოთხოვნა "დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველოს" წარმომადგნელმა გამოხატა, ხოლო 1 შემთხვევაში სოციალისტური საქართველოს თავმჯდომარის მხრიდან ძალადობისაკენ მოწოდება იმ კანონპროექტის ავტორების მიმართ გამოიხატა, ვინც საბჭოთა სიმბოლიკის ამკრძალავი კანონპროექტი შეიმუშავა.

ომარ ნიშნიანიძე, "ქართული ოცნება": "ნაციონალების" მიერ პროვოკაციების აცილება არჩევნებამდე შეიძლება, მანამდე მათ ცხვირ-პირი აქვთ დასამტვრევი. უნდა ვაჩვენოთ მათი ადგილი" (23 მაისი).

ბიგლა ბარამიძე, "დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო": "...ხალხი ოცნებობს ლინჩის წესით გაასამართლონ, ოღონდ სააკაშვილი მოიგდონ და ცოცხლად შეჭამენ" (5 ივლისი).

ვალერი კვარაცხელია, "სოციალისტური საქართველო": "სულელური კანონი მიიღო სულელთა ჯგუფმა... მაგ ენას ამ ნამგლით ამოგჭრით და მაგ რეგვენ თავებს მაგ ჩაქუჩით გაგიხეთქავთ" (30 ივლისი).

[59] კოალიციის დაშლის შემდეგ მისი ყოფილი წევრები კვლევაში ახალი პარტიული კუთვნილების მიხედვით არიან წარმოდგენილი.

**ინდივიდუალური შეურაცხყოფა.** ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის მხრიდან ინდივიდუალური შეურაცხყოფა ვიცე-პრემიერ კახი კალაძის მიმართ კორცხელის ინციდენტთან მიმართებით გამოიხატა.

> ეკა ხერხეულიძე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა":„სხვათა შორის, ისიც [ვიცე-პრემიერი კახი კალაძე] გახლავთ კუნთმაგარი და გონებაშეზღუდული ადამიანი, რომელსაც ნამდვილად უჭირს სწორი დასკვნების გამოტანა” (22 მაისი).

**რასისტული გამოხატვა.** რასისტული გამოხატვის წყარო (1) ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე იყო, რომელმაც შემდეგი განცხადება გააკეთა:

> არჩილ გეგეშიძე, აშშ-ში საქართველოს ელჩი: "ფაქტია, რომ ვარსებობთ და რომ არა ეს ტრაქტატი [რუსეთთან], სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბებები და თმები გვექნებოდა".

**ფსიქიურად დაავადებულთა დისკრიმინაცია.** "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ფსიქიურად დაავადებულთა დისკრიმინაცია რადიო თავისუფლების ჟურნალისტის მიმართ გამოიყენა, ამ უკანასკნელის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში წარმართული კრიტიკული შინაარსის ინტერვიუს გამო ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან:

> ნუკრი ქანთარია, "ქართული ოცნება": "შთაბეჭდილება მქონდა, რომ ფსიქიატრიულის პაციენტი დაუსვეს ბიძინა ივანიშვილს”.

## თვისობრივი მონაცემები

**ტელევიზიების მიერ სიძულვილის ენის გაშუქება.** ტელევიზიების დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ პოლიტიკოსების მხრიდან სიძულვილის ენის გამოვლენას, რაც საპარლამენტო განხილვების და მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების დროს კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის ინიციატივის შემოტანას უკავშირდებოდა, რომელიც ოჯახი ქალის და მამაკაცის ერთობად განისაზღვრებას ითვალისწინებს. 12 სიუჟეტიდან, რომელიც პოლიტიკოსთა ჰომოფობიურ განცხადებებს შეეხებოდა, მხოლოდ 3 შემთხვევაში (საზოგადეობრივი მაუწყებელი 2, იმედი 1) არ იყო აღნიშნული, რომ გამოხატვა ჰომოფობიური იყო. რუსთავი 2-ზე, იმედზე, კავკასიასა და ტაბულაზე (6 სიუჟეტი) წარმოდგენილი იყო არასამთავრობოთა განცხადებები, სადაც პოლიტიკოსთა გამოხატვა ჰომოფობიად ფასდებოდა. 3 შემთხვევაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი 2, მაესტრო 1) სარედაქციო ტექსტში მკაფიოდ იყო აღნიშნული პოლიტიკოსთა გაცხადებების ჰომოფობიური ხასიათი.

**ონლაინ მედიის მიერ სიძულვილის ენის გაშუქება.** განსხვავებული ვითარება გამოიკვეთა ონლაინ მედიაში, სადაც მხოლოდ ნეტგაზეთს ჰქონდა აღნიშნული 2 შემთხვევაში რესპონდენტების მიერ გამოყენებული ლექსიკის ჰომოფობიური ხასიათი, ხოლო ინტრეპრესნიუსს 1 შემთხვევაში სათაურში ჰქონდა გამოტანილი ის გარემოება, რომ “თამაზ მეჭიაურმა ლგბტ აქტივისტებსა და ჟურნალისტს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა”.

მარშალპრესმა ონლაინ გამოცემებიდან ყველაზე მეტი (11) ჰომოფობიური შინაარსის მასალა გამოაქვეყნა. ამასთანავე სათაურებად მეტწილად რესპონდენტების ჰომოფობიური ან დისკრიმინაციული შინაარსის ციტატები იყო გამოტანილი. მაგალითად:

> “ამბობენ, რომ იქნება წამალი, რომელსაც ორსულს გაუკეთებენ და ბავშვი ჰომოსექსუალი აღარ დაიბადება”;
>
> “შთაბეჭდილება მქონდა, რომ ფსიქიატრიულის პაციენტი დაუსვეს ბიძინა ივანიშვილს”;
>
> “კიდევ ერთხელ მოხვდებათ გვერდებში, ველით არეულობას!”



ჰომოფობიურ კონტექსტში გაშუქდა მარშალპრესზე დეპუტატ თამაზ მეჭიაურის სიძულვილის ენის შემცველი განცხადება, რომელსაც ფატიანი მამაკაცი ფოტომონტაჟი ახლდა თან. 1 შემთხვევაში კი სააგენტომ ჰომოფობიურ კონტექსტში ფოტო მანიპულაციას მიმართა (იხ. გვ. ?).

აღსანიშნავია, რომ გარდა საპარლამენტო განხილვების დროს გაკეთებული განცხადებებისა, 11 მასალიდან 5-ის წყარო სხვა მედია საშუალება (“ობიექტივი”, საერთო გაზეთი, იბერია, ინტერფაქტნიუსი) იყო. მათ შორის 2 მასალაში ჰომოსექსუალობა როგორც სათაურში, ასევე ტექსტში ავადმყოფობად იყო წარმოდგენილი და არ იყო აღნიშნული, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანზაციამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა ნუსხიდან ამოიღო. 2 მასალაში კი წყარო პოლიტიკოსების ფეისბუკზე გამოქვეყნებული პოსტები იყო.

# რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია მედიამ გაშუქების დროს დაიცვას, კანონმდებლობით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით და საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი არჩევნების გაშუქების სტანდარტები:

- თანაბარი გაშუქება. მნიშვნელოვანია, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს თანაბარი პირობები შეექმნათ და რედაქციებმა შიდა რეგულაციებით განსაზღვრონ და გამოაქვეყნონ სტანდარტი, რომელიც როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური სუბიექტებისადმი ერთგვაროვან მიდგომას დაამკვიდრებს და ცალკეული სუბიექტების საარჩევნო აქტივობების გაშუქების უგულვებელყოფას შერჩევითად არ მოახდენს.
- ბალანსი. ამომრჩეველთა სრულფასოვანი ინფორმირებისთვის მნიშვნელოვანია მედიამ უზრუნველყოს წყაროების მრავალფეროვნება, რათა აუდიტორიას საკითხის მრავალმხრივი პერსპექტივა მიაწოდოს. გაშუქებისას გასათვალისწინებელია პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნება, მათ შორის მმართველი პარტიის და ოპოზიციური სპექტრის და მათი არაერთგვაროვანი პერსპექტივა. ერთი ოპოზიციური პარტიის პოზიციის მთელ ოპოზიციაზე განზოგადება შეცდომაში შემყვანი შეიძლება იყოს, თუ საკითხი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პარტიას არ შეეხება და განსახილველი თემისადმი ოპოზიციურ სპექტრშიც განსხვავებული მიდგომები არსებობს.
- ბალანსი ონლაინ მედიაში. მნიშვნელოვანია, ონლაინ გამოცემებმა ბალანსი ერთ მასალაში უზრუნველყონ და არა ერთიან საინფორმაციო ნაკადში.
- ხელისუფლების აქტივობების გაშუქება. ხელისუფლების აქტივობების გაშუქებისას, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს ალტერნატიული მოსაზრებებიც და მთავრობის საქმიანობის გაშუქება განსხვავებული პერსპექტივის ჩვენებით დაბალანსდეს. მედიამ უნდა განასხვავოს მთავრობის აქტივობებისა და საზოგადოებრივი საჭიროებების გაშუქება პოლიტიკური პროპაგანდისგან.
- დაფინანსებული შინაარსის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია მედია საშუალებებმა ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნონ დაფინანსებული და სარედაქციო მასალები, რათა თავიდან იქნეს აცილებული აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა. ეს სტანდარტი უნდა გავრცელდეს როგორც ცალკეული სახელისუფლებო უწყებების მიერ დაფინანსებულ შინაარსზე, ასევე პოლიტიკური პარტიების და საზოგადოება ინფორმირებული იყოს დაფინანსებული შინაარსის შესახებ.
- სოციალური მედია, როგორც წყარო. დაუშვებელია სოციალური მედიის წყაროდ გამოყენება ინფორმაციის სათანადოდ გადამოწმების გარეშე ან ისეთი მოსაზრებების ტირაჟირებისთვის, რომლებიც რომელიმე სუბიექტზე თავდასხმისთვის გამოიყენება.
- საზოგადოებრივი აზრის კვლევა. მნიშვნელოვანია მედიამ სათანადოდ შეაფასოს კვლევის სანდოობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნების თაობაზე. მედია საშუალებებმა ასევე უნდა დაიცვან წინასაარჩევნო პერიოდში კვლევების გაშუქებისათვის დადგენილი წესები და გამოაქვეყნონ ყველა ის რეკვიზიტი, რომელიც მნიშვნელოვანია აუდიტორიისთვის მონაცემების სრულფასოვნად შესაფასებლად. დაუშვებელია კვლევის შედეგების საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის გამოყენება, მით უფრო იმ პირობებში, როცა გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა საკმაოდ მაღალია.
- გენდერმგრძნობელობა. რესპონდენტების შერჩევისას მნიშვნელოვანია მედია გენდერმგრძნობიარე იყოს და ქალი რესპონდენტების თანაზომადად წარმოდგენით, ხელი შეუწყოს პლურალიზმის უზრუნველყოფას, რაც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობასაც გულისხმობს.
- სიძულვილის ენა. მედიამ თავი არ უნდა აარიდოს პოლიტიკური სუბიექტების და საჯარო პირების სიძულვილის ენის გაშუქებას, რათა მოახდინოს აუდიტორიის ინფორმირება რესპონდენტების ღირებულებათა სისტემის შესახებ. თუმცა, ამავე დროს მედიამ უნდა გააცნობიეროს დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე და აღნიშნოს, რა ტიპის გამოხატვასთან აქვს საზოგადოებას საქმე. ამასთანავე მედიამ თავი უნდა შეიკავოს სათაურებსა და ანონსებში საჯარო პირების სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების უკომენტაროდ გამოტანისაგან. არასაჯარო პირების მხრიდან სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების ტირაჟირებას მედიამ თავი უნდა აარიდოს.